

# ეპატაჟურობა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში

ნინო ცაავა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე შედარებითი  
ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: უცხო ენათა ფილოლოგია და შედარებითი  
ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან ცაგარელი,  
პროფესორი, დოქტორი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

*ედვინება ზეზოს, რასაკვირველია*

## განაცხადი

*როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

ნინო ცაავა, 08.02.2022

## მადლობა

მადლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს სამაგისტრო საფეხურზე სწავლის შესაძლებლობისთვის.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრულ პროფესორს, ბატონ ლევან ცაგარელს, რომლისგანაც თემაზე მუშაობის პროცესში ვიღებდი საჭირო რჩევებსა და უკუკავშირებს. ასევე, დიდი მადლობა მას გულისხმიერებისა და თანადგომისთვის.

მადლობა ჩემს ოჯახს, რომელიც ყოველთვის გვერდით მიდგას და ჩემს მეგობარს თათული თედიაშვილს მხარდაჭერისა და გვერდში დგომისთვის.

## აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა ლიტერატურული ეპატაჟით ინტერესდება. კვლევის მიზანია, დაადგინოს ის სოციალური ფაქტორები, რომლებიც ლიტერატურულ ეპატაჟს განაპირობებენ. ამრიგად, კვლევას საფუძვლად უდევს დაშვება, რომ ლიტერატურული ეპატაჟი სოციალურად კონსტრუირებული ფენომენია. წინამდებარე ნაშრომში დისკურსის კრიტიკული ანალიზის მეთოდებით გაანალიზდება ზაზა ბუჭულაძის *ხსნადი კაფკა*, ერეკლე დეისაძის *საიდუმლო სირობა* და ლაშა ბუღაძის *პირველი რუსი*. აღნიშნული ტექსტების შერჩევას საფუძვლად უდევს, თავად საზოგადოების რეაქცია, რომელიც აჟიოტაჟსა და ამ ტექსტების ეპატაჟურად შეფასებაში გამოვლინდა. დისკურსანალიზურ მიდგომასთან ერთად გამოყენებული იქნება კონტენტანალიზური მიდგომა. ნაშრომში რეცეფციის პროცესი გაანალიზდება კონტენტანალიზური მიდგომების გამოყენებით.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქართული საზოგადოება განსაკუთრებით მგრძობიარეა ისეთი საკითხების მიმართ, როგორებიცაა ენა, ისტორია, რელიგია და ტრადიციები, რადგან ქართველების თვითიდენტიფიკაცია სწორედ ამ ღირებულებებს ეფუძნება და მათ ნორმირებული ხასიათი გააჩნიათ. ქართული რეალობა კი მუდმივად თვითგადარჩენისკენ მებრძოლ ერთეულად ხასიათდება, შესაბამისად, ის ტექსტები, რომლებიც არაფორმალურად დადგენილ საზოგადოებრივ ნორმებს ეწინააღმდეგება, არის გაკიცხული, გარიყული, ამორალურად შეფასებული და უგულვებელყოფილი. ხოლო ის დისკურსები, რომლებიც დომინანტურ როლს ითავსებენ (მაგალითისთვის, რელიგიური, ანტილიბერალური, აპოკალიფსური, ეთნიკურ-ნაციონალისტური, ანტიგლობალური და ა.შ.) და შესაბამისად, ფლობენ სოციალურ ძალაუფლებას, აწესებენ კონტროლს. კონტროლის ერთ-ერთი მექანიზმი კი არის დომინანტ ნორმებთან და დისკურსებთან შეუთავსებელი მხატვრული ტექსტების

ეპატაჟურად, შესაბამისად საშიშად, მიუღებლად და ამორალურად გამოცხადება. წინამდებარე კვლევაში დადგინდა, რომ ლიტერატურული ეპატაჟი არის სოციალურად კონსტრუირებული მოვლენა.

**საკვანძო სიტყვები:** ლიტერატურული ეპატაჟი, სოციალური კონსტრუქტივიზმი, რეცეფცია, დისკურსი, ღირებულებები, ფრეიმები, ქართული ლიტერატურა.

## **Aabstract**

The subject of this research is scandalous literature. The aim of the research is to identify those social factors that make scandalous literature scandalous, therefore the research is based on an idea that scandalous literature is a social construct. In the following research critical discourse analysis method will be used to analyze “Instant Kafka” by Zaza Burchuladze, “last bullshit” by Erekle Deisadze and “first Russian” by Lasha Bugadze. The stories were chosen because they caused increased interest and outrage in the society, which therefore gave the stories the reputation that is mentioned above. Along with the critical discourse analysis method content analysis method will be used. In the research reception process will be analyzed using content analysis method.

The research has shown that Georgian society is especially sensitive when it comes to the topics like : language, history, religion and traditions because they are strongly connected with self-identification of Georgian people and expressing ideas that oppose widely acceptable opinions in those areas is considered to be taboo, therefore the stories that try to break this taboo or go against unwritten rules that are normalized in the society get criticized, rejected, neglected and called immoral. Contrary to the example above the discourses that dominate (for example discourses on religion, anti-liberalism, apocalypses, ethnic-nationalism, anti-globalism and etc.) posses the social power and impose control. One of the ways of imposing control is declaring stories that oppose dominant discourses

scandalous, therefore dangerous, unacceptable and immoral. The research has shown that scandalous literature is a social construct.

**Key words:** scandalous literature, social construct, reception, discourse, values, frames, Georgian literature.

## სარჩევი

შესავალი.....	1
1. ლიტერატურული ეპატაჟი როგორც სოციალური პროდუქტი (თეორიული წანამდღვრები).....	6
2. დისკურსანალიზური და კონტენტანალიზური მიდგომები ლიტერატურათმცოდნეობაში (კვლევის მეთოდი).....	25
2.1. დისკურსისა და ტექსტის ცნების განსაზღვრებისთვის.....	25
2.2. დისკურსის კრიტიკული ანალიზი — CDA.....	32
2.3. მედია-ანალიზი.....	38
2.4. შინაარსის მიმართებითი ანალიზი და მონაცემთა კოდირება.....	40
2.5. ფრეიმინგი.....	44
3. თვისებრივი კონტენტანალიზის შედეგები.....	50
3.1. კონტენტანალიზის პროცესის აღწერა.....	50
3.2. უარყოფითი ფრეიმები.....	52
3.3. რეცეფციის ანალიზის შედეგად გამოკვეთილი დისკურსები და კონტექსტები.....	57
3.4. პოზიტიური ფრეიმები.....	95
4. ეპატაჟური ტექსტების ანალიზი: <i>ხსნადი კაფკა, პირველი რუსი და საიდუმლო სირობა</i> 101	
4.1. ლაშა ბუღაძე <i>პირველი რუსი</i> .....	101
4.2. ერეკლე დეისაძის <i>საიდუმლო სირობა</i> .....	103
4.3. ზაზა ბურჭულაძის <i>ხსნადი კაფკა</i> .....	109
4.4. პოსტმოდერნიზმის ნიშნები ეპატაჟურ ლიტერატურაში.....	118
დასკვნა.....	129
ბიბლიოგრაფია:.....	133
მხატვრული ტექსტები:.....	133
სამეცნიერო ლიტერატურა:.....	133
ქართული სამეცნიერო წყაროები:.....	133
უცხოური სამეცნიერო წყაროები:.....	136



## შესავალი

ლიტერატურული ეპატაჟი არის ის საკითხი, რომელიც ქართულ ლიტერატურულ სივრცეში ყველაზე ნაკლებადაა გამოკვლეული. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია ამ სფეროში არსებული ტენდენციების შესწავლა და ანალიზი. წინამდებარე ნაშრომი წვლილს შეიტანს ამ საკითხის კვლევაში და დაინტერესებულ პირებს დაეხმარება შეიქმნას ზოგადი წარმოდგენა საკითხის გარშემო. კვლევის ობიექტს წარმოადგენს 90-იანი წლებიდან დღემდე შექმნილი ქართული ლიტერატურული ტექსტები, რომლებმაც საზოგადოებაში აჟიოტაჟი გამოიწვიეს. წინამდებარე ნაშრომი იქნება პირველი ნაბიჯი ქართული ლიტერატურის ამ მიმართულებით შესწავლისა. წინამდებარე ნაშრომში გაანალიზდება ზაზა ბურჭულაძის *ხსნადი კაფკა*, ერეკლე დეისაძის *საიდუმლო სირობა* და ლაშა ბუღაძის *პირველი რუსი*. აღნიშნულმა ტექსტებმა საზოგადოებაში გავრცელებისთანავე აჟიოტაჟი გამოიწვიეს და მას არ ჰქონია მხოლოდ სიტყვიერი კრიტიკის ფორმა. ავტორებს საკუთარი ნაწარმოებების გამო ფიზიკურად კი უსწორდებოდნენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში ეპატაჟური ლიტერატურა არის ყველაზე ნაკლებად გამოკვლეული სფერო, ამდენად მის შესახებ მიმოხილვები ფაქტობრივად არ არსებობს. ეს განპირობებულია იმითაც, რომ საქართველოში ეპატაჟური ლიტერატურა 1990-იანი წლებიდან გავრცელდა და ის არსებობის სულ რამდენიმე ათწლეულს ითვლის. შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი პირველი, ვინც ლიტერატურის ეპატაჟით დაინტერესდა არის თამარ მეჭურჭლიშვილი. თამარმა შეასრულა სამაგისტრო ნაშრომი სოციოლოგიის მიმართულებით *თანამედროვე ქართული ლიტერატურის ეპატაჟური გავლენა საზოგადოებაზე*. აღნიშნული კვლევის ამოცანა იყო იმის დადგენა, აქვს თუ არა ზეგავლენა ქართულ საზოგადოებაზე თანამედროვე ქართულ ეპატაჟურ ლიტერატურას. კვლევა

წარმართა ემპირიული სოციოლოგიის მეთოდების შესაბამისად, რაოდენობრივი მონაცემები შეგროვდა თსუ-ს სტუდენტთა გამოკითხვით, ხოლო თვისებრივი მონაცემები — ეპატაჟურად აღიარებულ მწერლებთან ეპიზოდური ინტერვიუების შედეგად, ესენია ერეკლე დეისაძე, ლაშა ბულაძე და პაატა შამუგია. მართალია, წინამდებარე კვლევაში არ არის მოცემული, რა კუთხით და როგორ ახდენს ზეგავლენას ქართული ეპატაჟური ლიტერატურა საზოგადოებაზე, თუმცა კვლევის შედეგად დგინდება, რომ ყველა სახის სიახლე შეიძლება გახდეს ეპატაჟის გამომწვევი, საზოგადოება მგრძნობიარეა ყოველი სიახლის მიმართ; რელიგიური თემები და ისტორიული საკითხების შესახებ წერა იწვევს ეპატაჟს; დროთა განმავლობაში კი ეპატაჟის ძალა შესუსტდება, რადგან იგი ხდება ჩვეულებრივი მოვლენა და სიახლის ეფექტს დაკარგავს. აღნიშნული კვლევა ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სწორედ ეს კვლევა იქცა შთაგონების წყაროდ წინამდებარე კვლევისთვის. ვარაუდი იმის შესახებ, რომ თანამედროვე ქართულ ლიტერატურას ეპატაჟური გავლენა გააჩნია საზოგადოებაზე გახდა საფუძველი იმის დასაშვებად, რომ თუ ტექსტები ზემოქმედებენ ეპატაჟურად საზოგადოებაზე, მაშინ საზოგადოებასაც შეუძლია არათუ ზემოქმედება, არამედ ტექსტების ეპატაჟურ ლიტერატურად მარკირებაც კი.

წინამდებარე ნაშრომში, ასევე, გამოყენებულია დიანა ბოგიშვილის, ირინა ოსეფაშვილის, ელენე გავაშელიშვილის და ნინო გუგუშვილის მიერ ჩატარებული კვლევა სახელწოდებით *ქართული ეროვნული იდენტობა: კონფლიქტი და ინტეგრაცია*, ნანა სუმბაძის *თაობა და ღირებულებები* და ვლადიმერ გამსახურდიას *ქართველთა ეთნიკური იდენტობის ასპექტებისა და სტრუქტურის კვლევა მოდერნულ კონტექსტში*. წინამდებარე ნაშრომში ეს კვლევები გამოყენებულია როგორც ემპირიული მასალა, რომელიც დაგვეხმარება ქართული საზოგადოების მახასიათებლების დადგენაში. ამ კვლევების მიხედვით, საქართველო არის ღრმად კონსერვატიული ქვეყანა, სადაც ეთნო-კულტურული ერთეულები ყველაზე დიდ ღირებულებებს წარმოადგენენ.

წინამდებარე კვლევაში ასევე, გამოვიყენებთ ინტერვიუებს, რეცენზიებს, ფორუმებში არსებულ დისკუსიებსა და ფეისბუქისა თუ სხვადასხვა ბლოგებისთვის დაწერილ კომენტარებს, რაც საშუალებას მოგვცემს, ეპატაჟური ლიტერატურის რეცეფციის პროცესი გავანალიზოთ.

ზოგადად, ქართულ მხატვრულ ტექსტებში, რომლებიც 90-იანებიდან დღემდე შეიქმნა, შეინიშნება ეპატაჟურობის ტენდენცია. არაერთი ქართველი ავტორი იწვევს საზოგადოებაში აჟიოტაჟს თავიანთი ნაწარმოებებით. ჩვენი მიზანია, გავარკვიოთ, რა იწვევს ეპატაჟს თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში და რომელი სოციალური ფაქტორებითაა იგი განპირობებული. წინამდებარე კვლევას საფუძვლად უდევს დაშვება, რომ ლიტერატურის ეპატაჟურობას სოციალური ფაქტორები განაპირობებენ.

ნაშრომში გაანალიზდება მხატვრული ტექსტები, რომლებმაც როგორც უკვე აღვნიშნეთ, უკანასნელ ათწლეულებში თავიანთი ეპატაჟურობით მიიპყრო ყურადღება. მათ საკვლევად გამოვიყენებთ დისკურსის კრიტიკული ანალიზის მიდგომას. სუბიექტები სწორედ დისკურსის მეშვეობით ქმნიან სოციალურ რეალობებს. სწორედ დისკურსის მეშვეობით ხდება კონტროლი და რეგულაცია საუბრის, აზროვნებისა თუ მოქმედების. შეუძლებელია, რომელიმე ენობრივი მოვლენის, — ეს იქნება ტექსტი, ზეპირი მეტყველება თუ ა.შ. — ადკვატური აღქმა, თუკი არ გავითვალისწინებთ მათ დისკურსულ ასპექტებს. შეიძლება ითქვას, რომ დისკურსი მოიცავს ტექსტისა და მისი სიტუაციური ფაქტორების ერთობლიობას. მიგვაჩნია, რომ ტექსტისა და საზოგადოებაში არსებული ლიტერატურული რეცეფციის ანალიზი სრულყოფილი მხოლოდ მაშინ იქნება, როცა ერთდროულად გავანალიზებთ როგორც ტექსტებს, ასევე იმ სიტუაციურ ფაქტორებს, რომლებშიც ეს ტექსტი შეიქმნა და განაგრძობს არსებობას. დისკურსის ანალიზით, ასევე შესაძლებელია სხვადასხვა კულტურაში ამა თუ იმ სოციალური კონტექსტისთვის

(მაგალითისთვის, რელიგიის სფეროში, განათლების სფეროში და ა.შ.) დომინანტი იდეოლოგიების შესწავლა, კვლევა და ანალიზი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წინამდებარე კვლევისთვის მნიშვნელოვანია სოციალურ რეალობაში არსებული ისეთი დისკურსების კვლევა, რომელთა გამოც საანალიზო ტექსტები საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ამდენად, ჩვენ გამოვიყენებთ დისკურსის კრიტიკულ ანალიზს, რათა დავადგინოთ ის ფაქტორები, რომლებმაც საანალიზო ტექსტების გარშემო აჟიოტაჟი გამოიწვიეს. ეს საშუალებას მოგვცემს, ვიკვლიოთ ტექსტებში ასახული დისკურსები, რათა შესაძლებელი გახდეს საანალიზო ტექსტების სოციალურ რეალობასთან შეუთავსებლობის მიზეზების დადგენა.

დისკურსანალიზთან ერთად, ასევე გამოვიყენებთ კონტენტანალიზურ მიდგომას. კონტენტანალიზის საშუალებით, შევისწავლით სტატიებს, ინტერვიუებს, რეცენზიებს, სოციალურ ქსელს, სხვადასხვა ონლაინ-ფორუმში არსებულ კომენტარებსა და დისკუსიებს. მიღებულ მონაცემებს დავამუშავებთ კომპიუტერული პროგრამით AntConc. ანალიზის პროცესში გამოვიყენებთ ფრეიმინგის თეორიას. ფრეიმინგის მეშვეობით დავადგენთ, რომელი დისკურსები იკითხება კონტენტანალიზისთვის შერჩეული მედიამასალებიდან. ფრეიმინგის პროცესში ჩვენთვის მნიშვნელოვანია ფრაზების განსაზღვრა, ხოლო ფრაზების კატეგორიზაციის შემდეგ შევძლებთ კოდირებას, რაც საქმეს უფრო გაგვიმარტივებს და მონაცემებს ორმაგად სანდოს გახდის. ფრეიმინგის თეორია დაგვეხმარება იმის დადგენაში, როგორი ინტერპრეტაციითაა ამბავი აღქმული მასობრივი უდიტორიის მიერ, რითაც გარკვეულ წვლილს შევიტანთ ქართული ლიტერატურის რეცეფციის კვლევაში.

წინამდებარე ნაშრომი შედგება ოთხი თავისგან. პირველ თავში ვიმსჯელებთ ლიტერატურულ ეპატაჟზე როგორც სოციალურ პროდუქტზე. შევხებით ქართული საზოგადოების მახასიათებლებს და შევეცდებით ავხსნათ ის

ფაქტორები, რომლებმაც ტექსტების გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი განაპირობეს. გავანალიზებთ, ქართული საზოგადოების იმ მახასიათებლებს, რომლებიც გახდა მიზეზი ტექსტების ეპატაჟურობისა. ასევე, განვიხილავთ ეპატაჟური ტექსტების ავტორებს როგორც დელიკვენტებს და მათ წინააღმდეგ გამოყენებულ სოციალური კონტროლის მექანიზმს, როგორცაა სანქცია. ასევე, ვიმსჯელებთ საზოგადოებრივ აზრსა და ნორმებზე, რომლებიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ტექსტების ეპატაჟურ ლიტერატურად ქცევისა.

მეორე თავში შევხებით დისკურსანალიზურ და კონტენტანალიზურ მიდგომებს ლიტერატურათმცოდნეობაში. განვსაზღვრავთ დისკურსისა და ტექსტის ცნებებს, ვისაუბრებთ დისკურსის კრიტიკულ ანალიზსა და მედია-დისკურსზე. დავახასიათებთ შინაარსის მიმართებით ანალიზს, ე.ი. რელაციურ კონტენტანალიზს და მონაცემთა კოდირების მეთოდებს. ვიმსჯელებთ ფრეიმინგის თეორიაზე, რომელსაც გამოვიყენებთ საზოგადოებაში მიმდინარე ლიტერატურული რეცეფციის კონტენტანალიზისთვის.

მესამე და მეოთხე თავში გამოვყოფთ მხატვრულ ტექსტებში არსებულ დისკურსებს და ვიმსჯელებთ საანალიზო ტექსტებსა და თვისებრივ კონტენტანალიზზე, ე.ი. გავანალიზებთ საზოგადოებაში მიმდინარე ეპატაჟური ლიტერატურის რეცეფციის პროცესს. ბოლოს კი, ვიმსჯელებთ მხატვრულ ტექსტებსა და სოციალურ რეალობაში არსებულ დისკურსთა წინააღმდეგობრიობაზე, როგორც ლიტერატურული ეპატაჟის გამომწვევ მიზეზზე.

## 1. ლიტერატურული ეპატაჟი როგორც სოციალური პროდუქტი (თეორიული წანამძღვრები)

ტექსტი ეს არის ილუზორული სივრცე, სადაც წინასწარგანწყობების შექმნა შეუძლებელია, ვინაიდან ძნელია იმის ვარაუდი, როგორ უპასუხებს იგი მის გარშემო შექმნილ მოლოდინებს. ამას განაპირობებს ის ფაქტი, რომ კითხვის პროცესი ემყარება ტექსტის აღქმას და შესაბამისად, ის რეციპიენტების მხრიდან სხვადასხვაგვარად აღიქმება (Jauss 1982, 139). ამას განაპირობებს ის, რომ ადამიანებს აქვთ განსხვავებული სააზროვნო სქემები, ამიტომაც ტექსტები საზოგადოებას აღუძრავენ სხვადასხვაგვარ რეაქციებს. თუმცა ერთიდაიმავე სოციალური ჯგუფის წევრთა დამოკიდებულებები, რომლებიც მეტ-ნაკლებად მსგავსი კულტურული სქემებით საზრდოობენ, უმეტესად ერთნაირია. საერთო დამოკიდებულებები კი, ბუნებრივია, აყალიბებს კოლექტიურ სულისკვეთებას, რაც საბოლოო სახით ლიტერატურული ტექსტების რეცეფციის პროცესზე ზემოქმედებს. ამრიგად, როცა ვმსჯელობთ ლიტერატურულ ეპატაჟზე, მნიშვნელოვანია იმ დისკურსული ფონისა და კულტურული სქემების მიმოხილვა, რომლებშიც შეიქმნა კონკრეტული მხატვრული ტექსტები. სწორედ ამიტომაც ლიტერატურული ეპატაჟის როგორც სოციალური მოვლენის საფუძვლები დისკურსებსა და კულტურაში უნდა ვეძებოთ. ამ თავში ჩვენ შევეხებით ქართული საზოგადოებისა და ქართული რეალობის კულტურულ მახასიათებლებს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ავტორის როლი ეპატაჟური ლიტერატურის შექმნაში, რა თქმა უნდა, დიდია. თამარ მეჭურჭლიშვილის მიერ ჩატარებულ ინტერვიუში ერეკლე დეისაძე აცხადებს, რომ მან იცოდა, საზოგადოებაში მის ტექსტებს აჟიოტაჟი მოჰყვებოდა და სწორედ ამ მიზნით შექმნა ტექსტები, რომლებიც საზოგადოების მხრიდან ძლიერ რეზონანსს გამოიწვევდა (მეჭურჭლიშვილი 2018,25). ეს ფაქტი დამატებით ამტკიცებს იმას, რომ ეპატაჟი სოციალური კონსტრუქციაა, ვინაიდან შეუძლებელი იქნებოდა ავტორის მიერ მსგავსი

გათვლების გაკეთება, რომ არ არსებობდეს საზოგადოებაში უკვე დადგენილი ნორმები, რომელთა გადაცდენაც იწვევს აჟიოტაჟს და აღიქმება ეპატაჟურ ქმედებად. თუ რაიმე სახის ქმედებას საზოგადოების მხრიდან არ მოჰყვა რეაქცია, შეუძლებელია, ავტორმა მკითხველის გარეშე მოახერხოს, შექმნას რაიმე ტიპის ტექსტი, მთავარი როლი აკისრია საზოგადოებას, რომელიც ხდება მკითხველი თუ განმკითხველი ამა თუ იმ ტექსტისა. ლიტერატურის ეპატაჟურად აღქმა დამოკიდებულია რეციპიენტებსა და კონკრეტულ კონტექსტებზე. შეიძლება ითქვას, რომ ლიტერატურის ეპატაჟურად მიჩნევა წარმოადგენს სოციალურ რეაქციას გარკვეული სახის მხატვრული ტექსტების მიმართ. ამრიგად, ლიტერატურული ეპატაჟი უფრო სოციალური მოვლენაა, ვიდრე ლიტერატურული. ლიტერატურული ეპატაჟის, როგორც სოციალური მოვლენის მრავალმხრივი შესწავლის შემდეგ შესაძლებელი გახდება თემის სრულყოფილი ანალიზი. ამრიგად, წინამდებარე კვლევისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული საზოგადოების მახასიათებლების განსაზღვრა. ამის გარეშე შეუძლებელია იმ პროცესებზე ვიმსჯელოთ, რომელიც ამ საზოგადოების ფარგლებში მიმდინარეობს. ამ პროცესის საანალიზოდ ვიყენებთ ლიტერატურის სოციოლოგიის მიდგომებს. სოციოლოგიის მთავარი საკვლევო ობიექტი არის სწორედ საზოგადოება. თუ გვსურს, გავანალიზოთ სოციალურ სისტემაში მიმდინარე პროცესები შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ამ მეცნიერებას. სოციოლოგია სწორედაც რომ მეცნიერებაა საზოგადოების შესახებ და ამიტომაც სოციოლოგიას შეიძლება ეწოდოს „საზოგადოებათმცოდნეობა“, „საზოგადოებათმეტყველება“<sup>1</sup>.

პირველი, რასაც ლიტერატურული ეპატაჟის კვლევისას შევხებით, ეს იქნება ქართული საზოგადოების მახასიათებლები და ღირებულებები. ჩვენი კვლევის მიხედვით, ლიტერატურული ტექსტის ეპატაჟურად აღქმის ერთ-ერთი ფაქტორი,

---

<sup>1</sup> ტერმინი ეკუთვნის მურად შონიას, (შონია 2013, 7).

სწორედ ქართული საზოგადოების მახასიათებლებიდან და ღირებულებებიდან გამომდინარეობს.

სოციალური მეცნიერების კვლევებში, განსაკუთრებით ბოლო ერთსაუკუნოვანი პერიოდის განმავლობაში, პოპულარობით სარგებლობს ინდივიდუალიზმ-კოლექტივიზმის კონსტრუქციები. მაგალითისთვის ტერმინები Gemeinschaft (community) და Gesellschaft (society) სოციოლოგიასა და სხვა მომიჯნავე პროფესიებში ხშირად გამოიყენება. ასევე, ალოცენტრიზმი არის ტერმინი, რომელსაც კოლექტიური საზოგადოების გვერდით იყენებენ, ხოლო ინდივიდუალისტურის — იდიოცენტრიზმი (Triandis & McCusker 1990, 1007). ალოცენტრიზმი ხასიათდება ურთიერთდამოკიდებულებებით, ხოლო იდიოცენტრიზმი თვითდამოკიდებულებებით (Triandis & McCusker 1990, 1007). თუმცა ეს ტერმინები ვერ დამკვიდრდა და მათ ნაცვლად ისევ კოლექტივიზმისა და ინდივიდუალიზმის დიქოტომია გამოიყენება.

წინამდებარე კვლევისთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ნანა სუმბაძემ ქართული საზოგადოების ღირებულებათა კვლევაში გამოიყენა ინდივიდუალიზმ-კოლექტივიზმის შკალა. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები „...გადაჭრით მეტყველებენ ახალგაზრდა თაობაში კოლექტივიზმის ღირებულებითი ორიენტაციის შემცირებაზე. ინდივიდუალიზმთან დაკავშირებით მონაცემები ცალსახად ინტერპრეტაციის საშუალებას არ იძლევიან“ (სუმბაძე 2012, 23). ეს შკალა არის საზომი იმ განსხვავებულობებისა, რაც არსებობს როგორც კულტურებს, ასევე ინდივიდებს შორის. ამ შკალით დადგინდა, რომ კოლექტივიზმის ხარისხის საშუალო მაჩვენებელი გამოკითხულ რესპოდენტთა ასაკის მატების პროპორციულად იზრდება. ნანა სუმბაძემ ოჯახისადმი ერთგულებისა და დამოკიდებულებების ქვეშკალების შეჯამებით გამოთვალა საქართველოში კოლექტივიზმის მაჩვენებელი. აღნიშნული მაჩვენებელი შკალაზე 0 დან - 7 მდე მერყეობს. იმისთვის, რომ ანალიზი უფრო შესაძლებელი ყოფილიყო, კვლევაში დააჯგუფეს კოლექტივიზმის დაბალი და მაღალი მაჩვენებლები (0 დან 5 მდე და 6



დან 7 ის ჩათვლით), რის შედეგადაც დადგინდა, რომ „კოლექტივიზმი ხაზოვნად მატულობს ასაკთან ერთად და თაობებს შორის ეს განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (Chi-Square 44.90; df 2;  $p < .001$ )“ (სუმბაძე 2012, 25).

კვლევაში „ეროვნული იდენტობა: კონფლიქტი და ინტეგრაცია“ 18-30 წლის ასაკის გამოკითხულ რესპოდენტთა შეფასებით, ძველი თაობა კოლექტივისტურია, ხოლო ახალ თაობას გააჩნია ინდივიდუალისტური საზოგადოების მახასიათებლები. მათივე შეხედულებით, ქვეყანაში მიმდინარეობს ღირებულებათა გადაფასება ძველ და ახალ თაობებს შორის. აქვე უნდა გავამახვილოთ ყურადღება იმაზე, რომ ამ ასაკობრივ კატეგორიაში მყოფი რესპოდენტების აზრით, საბჭოურმა „ჩაკეტილობამ“ ძველი თაობის ღირებულებებზე მოახდინა ზეგავლენა. ტრადიციული საზოგადოება კი ხასიათდება „ჩაკეტილობით“ (ბოგიშვილი 2016, 92-93). როგორც ვხედავთ, სხვადასხვა კვლევის რესპოდენტებიც გამოყოფენ ასაკობრივ სხვაობას ღირებულებით ორიენტაციებს შორის და აცხადებენ, რომ ძველი თაობა მეტად კოლექტივისტურია. ნანა სუმბაძის კვლევაში კი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლადი არ დაფიქსირდა, შესაბამისად, იმის მტკიცება, რომ ქართულ საზოგადოებაში ახალგაზრდა თაობა სრულად ინდივიდუალისტური ღირებულებების მქონეა შეუძლებელია. თუმცა ნათლად ჩანს ისიც, რომ ახალგაზრდა თაობაში კოლექტივისტური ღირებულებები შემცირებულია უფროს თაობასთან შედარებით. ამავე კვლევის<sup>2</sup> თანახმად, ადამიანების სასურველი თვისებების რანჟირების შედეგად დადგინდა, რომ კოლექტივისტური საზოგადოებისთვის საჭირო ბაზისური მახასიათებლები ჩვენს საზოგადოებაში ნამდვილად არსებობს.

ქართული იდენტობის ფუნდამენტური მახასიათებლები არის: ენა, ისტორია, რელიგია და ტრადიციები (ბოგიშვილი 2016, 71). ერთი მხრივ, ეს მახასიათებლები მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც გვიჩვენებს, რომ „ქართულ ეროვნულ

---

<sup>2</sup> თაობები და ღირებულებები

იდენტობაში კულტურული განზომილება ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე სახელმწიფოებრივი, სამოქალაქო განზომილება (ბოგიშვილი 2006, 152)“, რაკი კულტურული განზომილებების ფუნდამენტური ერთეულები არის სწორედ „ენა, რელიგია, ისტორია და ტრადიციები“ (ბოგიშვილი 2006, 152). აშკარაა, რომ ჩამოთვლილი მახასიათებლები, თავის მხრივ საკმაოდ ძლიერ კულტურულ დისკურსებს ქმნიან და წარმოადგენენ.

მეორე მხრივ, ენა, ისტორია და ტრადიციები ეს არის ის, რაზეც დაფუძნებულია კოლექტივისტური საზოგადოება, ვინაიდან ეს არის ის კომპონენტები, რომლებსაც შეიცავს ეროვნება და ეთნიკურობა. ის, რომ ქართველები ეთნიკურობასთან მიბმული არიან, დასტურდება პირადობის მოწმობიდან ეროვნულობის ამოღების ფაქტის გარშემო დატრიალებული მოვლენებით. ამ გადაწყვეტილებას საზოგადოებაში მწვავე რეზონანსი მოჰყვა. ნაწილი საზოგადოებისა აცხადებდა, რომ ამ გადაწყვეტილებით ქართველებს თვითმყოფადობას, თავისუფლებასა და ქართველობას ართმევდნენ. შეიქმნა პეტიცია, რომლის ინიციატორებიც ითხოვდნენ, პირადობის მოწმობაში „მოქალაქეობის“ პუნქტის ნაცვლად დაბრუნებულიყო „ეროვნულობის“ აღმნიშვნელი გრაფა.<sup>3</sup>

ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინდივიდუალისტურ კულტურებში ჯგუფებს შორის მობილობა ხშირია, ხოლო კოლექტივისტური კულტურებისთვის მნიშვნელოვანია ჯგუფის შიგა სტაბილურობა და ჯგუფებს შორის მიგრაციაც ნაკლებია. კოლექტივისტურ კულტურებში საზოგადოება უფრო კონფორმულია. ასეთი კულტურის წარმომადგენლებისთვის მნიშვნელოვანია ოჯახის მიმართ ერთგულება და როგორც პირადი, ასევე მათზე მიკუთვნებული ჯგუფების უსაფრთხოების დაცვა. ღირებულებების, ნორმებისა და ტრადიციების წინააღმდეგ წასვლა კოლექტივისტური კულტურებისთვის შეიძლება ითქვას, რომ საფრთხესთან ასოცირდება, რის გამოც მათ აღარ აქვთ უსაფრთხოების განცდა.

---

<sup>3</sup> იხ. <https://manifest.ge/main/item/1967> (20.12.2021)

შესაბამისად, ისინი მტრობას უცხადებენ იმ ფაქტორებს, რომელთა გამოც მათი სიმყუდროვე და უსაფრთხოება დაირღვა, მათ შორის მხატვრულ ტექსტებსა და მათ ავტორებსაც.

კოლექტივისტურ საზოგადოებაში უმნიშვნელოვანესი როლი გააჩნია ოჯახს. ოჯახი ქართველებისთვის მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს, რაც არაერთი კვლევით დასტურდება (გამსახურდია 2016, 135) (სუმბაძე 2012, 29-30) (სხირტლაძე 2015,64).

წინამდებარე კვლევისთვის მნიშვნელოვანია *ქართველთა ეთნიკური იდენტობის ასპექტებისა და სტრუქტურის კვლევა მოდერნულ კონტექსტში* გამოყოფილი ქართული საზოგადოების მახასიათებელი ღირებულებები, რომელთა შორისაა (გამსახურდია 2016, 149):

- სექსუალური ტაბუ როცა ინტიმურ საკითხებზე საუბარი უხერხულობას ქმნის. თავად საკითხი კი ტაბუირებულია. სექსუალობის შესახებ საჯარო სივრცეში საუბარი აჟიოტაჟს იწვევს. ასევე, მოიპოვება ერთმანეთისგან მკვეთრად დიფერენცირებული წარმოდგენები ქალურობისა და მამაკაცურობის შესახებ. „მაჩოიზმი“, ე.ი. მამრობითი სქესის მხრიდან მკვეთრად გამოხატული აქტიურობა, კონსერვატიულ საზოგადოებაში მისაღები ქცევაა. არატრადიციული ორიენტაციის მქონე პირები, მიუხედავად ბოლო დროს შედარებით მზარდი მიმდებლობითი ტენდენციებისა, მარგინალიზებულები არიან, თავად საკითხი კი საზოგადოებაში ტაბუირებულია.
- რელიგიისა და ნაციონალიზმის იგივეობრიობა - ქართული საზოგადოებისთვის ქართველი არის მართლმადიდებელი ქრისტიანი. ქართველებისთვის რელიგია მნიშვნელოვანი ღირებულებაა და მისთვის რელიგიური კუთვნილების ჩამოშორება ქართველობის დაკარგვის ტოლფასია.

- უშინაარსო ტრადიციულობა \_ როცა საზოგადოება საუბრობს ტრადიციების დაცვაზე და რეალურად არ გააჩნია საკმარისი ცოდნა წარსულის შესახებ, რაც მათ რაციონალურად მსჯელობის საშუალებას მისცემდა.

შესაბამისად, ქართული საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი მახასიათებლები და ღირებულებებია სექსუალური ტაბუ, რელიგიისა და ნაციონალიზმის იგივეობრიობა, სხვების პატივისცემის დამსახურება, ოჯახისა და უახლოესი წევრებისადმი ერთგულება, ჯგუფშიდა ჰომოგენიზაციის შენარჩუნება, ჯგუფშიდა ფავორიტიზმი, სხვა ჯგუფებისადმი დისტანცირება, სტაბილურობა, ენა, ისტორია, ოჯახი, რელიგია, ტრადიციების დაცვა და ნორმებისადმი მორჩილება.

ამრიგად, როცა ქართული საზოგადოებისთვის აქტუალური ღირებულებები კოლექტივისტური ხასიათის მატარებელია, ეს ნიშნავს, რომ ქცევა საზოგადოების მხრიდან სწორედ ამ ღირებულებების შესაბამისად იქნება მართული. სწორედ კოლექტივისტურ საზოგადოებებში ქცევა უმეტესად რეგულირდება ჯგუფური ნორმებით. კოლექტივისტურ კულტურებში ინდივიდთა ქმედებები განპირობებულია იმ წესებით, რომლებსაც საზოგადოება ადგენს. შეიძლება ითქვას, რომ კოლექტივისტურ კულტურებში ქცევა სოციალური ნორმებითაა გაჯერებული. ინდივიდუალისტურ კულტურებში კი ქცევა დამოკიდებულია პირად მოწონება-არმოწონებაზე (Triandis & McCusker 1990, 1007). ისეთი ქცევები, კი რომლებიც ჯგუფურ ნორმებში ვერ თავსდება სოციალურ კონტროლს ექვემდებარება.

სოციოლოგიური სწავლებების მიხედვით, **სოციალური კონტროლი** საჭიროებს ძალაუფლებას, ძალაუფლება კი გაბატონებული ჯგუფებისა თუ ინსტიტუციების ხელშია. ძალაუფლება დროისა და სივრცის კონტროლით წვრთნის მორჩილსა და თვინიერ სხეულებს. იმისთვის, რათა დავადგინოთ, ვის ეკუთვნის გაბატონებული ძალაუფლება, პასუხი უნდა გავცეთ შეკითხვებს, ვინ განსაზღვრავს ქცევას დევიანტურად, ე.ი. ვინ განსაზღვრავს, რომელ ქცევას უნდა დაერქვას დევიანტური

და ვინ უნდა გამოცხადდეს დევიანტად? საქმე ისაა, რომ „თუ გინდა იცოდე ვინ გაკონტროლებს, გაიგე, ვისი კრიტიკა არ შეგიძლია“<sup>4</sup>. საზოგადოება ან დომინანტი ინსტიტუციები, რომელთა კრიტიკა და დადგენილი ნორმებიდან გადახვევა დანაშაულად ითვლება, ბუნებრივია, სწორედ ის ძალებია, რომლებიც სოციალურ კონტროლს ახორციელებენ. შესაბამისად, მათ გააჩნიათ ძალაუფლება. ზოგადად, სოციალური კონტროლი ხორციელდება რელიგიური, სამთავრობო და პროფესიული ორგანიზაციების მიერ, ხალხს ამოფარებული მასების, ინდივიდების და ისეთი პროდუქტების საშუალებით, როგორებიცაა ფოლკლორი, ტრადიცია, ცერემონიალი, პოეზია და ხელოვნების ნიმუშები (Ross 1896, 534). კულტურული სივრცის, საზოგადოების მახასიათებლებისა და დისკურსების კვლევის შემდეგ შესაძლებელი გახდება, გაირკვეს, ვინ და რა ძალები ახორციელებენ სოციალურ კონტროლს ქართულ სინამდვილეში.

სოციალურ კონტროლს, ბუნებრივია, გააჩნია დადგენილი ნორმები. კოლექტივისტურ კულტურებში ინდივიდთა ქმედებები განისჯება ჯგუფური ზნეობრივი ნორმებით, რომლებსაც იყენებს საზოგადოება მისი წევრების გასაკონტროლებლად. სოციალური კონტროლი არის მექანიზმი, რომლითაც საზოგადოება ცდილობს უკვე არსებული სოციალური ნორმების გამყარებასა და ამ ნორმებიდან შესაძლებელი გადაცდენების აღკვეთას (კალჭუნი 2008, 282). საზოგადოების ხელში იგი არის მექანიზმი, რომელიც მიმართულია სხვათა ქცევების რეგულირებისა და დევიაციური ქცევის აღმოფხვრისაკენ. სოციალური სტრუქტურა ვერ იარსებებს სოციალური კონტროლის გარეშე, იგი დაიშლება. სოციალური კონტროლი არის სოციალური კონსტრუქციის ერთ-ერთი ფორმა (International Council on Human Rights Policy 2010,9) და ის არის ისეთ რესურსთა ერთობლიობა, რომელსაც ფლობს საზოგადოება, წინასწარ დადგენილი ნორმების შესაბამისად, ადამიანების ქმედებათა სამართავად (Boudon & Bourricaud 1989, 331).

---

<sup>4</sup> <https://www.azquotes.com/quote/1316756> (25.12.2021).

ზოგჯერ სწორედ სოციალური წესრიგი გვევლინება საზოგადოებრივი აზრის ჩამომყალიბებლად, შაბლონური, დისკრიმინაციული და ჯგუფში მყოფი დომინანტი ძალაუფლების მქონე სუბიექტთა ნორმების გამტარად, ხოლო მიუღებელი და არათავსებადი დისკურსის შემთხვევაში კი დამსჯელ ძალად, რომელიც აწესებს სანქციებს დევიანტის წინააღმდეგ, რიცხავს მას ჯგუფიდან, ე.ი. აყენებს „აუტსაიდერის“<sup>5</sup> (Becker 1973, 3) (ჯგუფგარე) პოზიციაში. ამ შემთხვევაში კი საქმე ეხება არაფორმალურ სოციალურ კონტროლს. როგორც აღნიშნულიდან ჩანს, არსებობს სოციალური კონტროლის ორი ტიპი: ფორმალური და არაფორმალური. ფორმალურ სოციალურ კონტროლს პოლიცია, ხოლო არაფორმალურ სოციალურ კონტროლს საზოგადოება ახორციელებს (Ross 1896, 519). საბოლოოდ კი სოციალური კონტროლი ეს არის ჯგუფის ნორმებისა და ამ ნორმების დაცვის პროცესში განხორციელებული სანქციების ერთიანობა. იგი ორიენტირებულია დევიანტური ქცევის პრევენციისა და დევიანტის დასჯა-გამოსწორებისკენ. იმისთვის, რომ სოციალური კონტროლი როგორც მექანიზმი ამოქმედდეს, აუცილებელია საზოგადოებრივი აზრის ჩამომყალიბება კონკრეტული საკითხის გარშემო, რათა განისაზღვროს, რომელი ქცევა ექვემდებარება სოციალურ კონტროლს და რა ფორმით. საზოგადოებრივი აზრი შემოსაზღვრავს ადამიანთა ყოფიერებას.

**საზოგადოებრივი აზრი** არის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც საზოგადოება ინდივიდზე სოციალურ კონტროლს ახორციელებს (Donsbach & Traugott 2008, 3). მისი ერთი კონკრეტული და საზოგადოდ მოწონებული განმარტება არ არსებობს. საზოგადოებრივი აზრის შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისტორიკოსებისთვის, რადგან სწორედ საზოგადოებრივი აზრი არის მნიშვნელოვანი ელემენტი სოციალური ცვლილებების ასახსნელად. სოციოლოგებს კი იგი აინტერესებთ როგორც სოციალური ძალა, რომელიც გავლენას ახდენს ინდივიდის ქცევაზე საჯარო სფეროში, ან ისინი ხედავენ

---

<sup>5</sup> „აუტსაიდერში“ იგულისხმება დელიკვენტი, დევიანტი, პირი, რომელიც ჩადის დევიანტურ ქმედებას

საზოგადოებრივ აზრს როგორც ელემენტს ადამიანთა სოციალურ აღქმაში. მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში, ბევრი სოციოლოგი საზოგადოებრივ აზრს შეისწავლიდა როგორც „მასობრივი საზოგადოების“ საკმაოდ საშიშ ფენომენს (Donsbach & Traugott 2008,1-2).

შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებრივი აზრი, გარკვეული საკითხის გარშემო საზოგადოების მიერ გამოხატული ცალკეული შეხედულებების, დამოკიდებულებებისა და რწმენა-წარმოდგენების ერთობლიობაა. ეს არის ის ძლიერი ძალა, რომელიც მოქმედებს ისეთ სივრცეებში როგორებიცაა კულტურა, მოდა, ლიტერატურა, ხელოვნება, მარკეტინი, საზოგადოებრივი ურთიერთობები და ა.შ.<sup>6</sup> საზოგადოებრივი აზრი არის სხვადასხვა თემისა და პროცესების ირგვლივ გამოხატული კოლექტიური დამოკიდებულებები (Janda, Berry & Goldman 2011,138). იგი მნიშვნელოვანი კონცეფციაა სოციალური კონტროლისა და საზოგადოებაში ნორმების აღსრულების თეორიებში (Donsbach and Traugott 2008,2). საზოგადოებრივი აზრი გამოხატავს იმ ნორმებს, რომელიც სოციალურ რეალობაში არსებობს.

ნებისმიერ საზოგადოებას გააჩნია დადგენილი **ნორმები**, რომლებიც მიმართულია მასზე დაქვემდებარებულ ინდივიდთა ქმედებების რეგულირებისკენ. ნორმათა სისტემა ასახავს იმ ემპირიულ რეალობას და მასში მიმდინარე პროცესებს, სადაც იგი იქმნება და ყალიბდება. საზოგადოებრივი აზრიც სწორედ ნორმებით იქმნება. კოლექტიური ცნობიერება ყალიბდება გარკვეული სოციალური ფაქტორების ზეგავლენით. ეს ფაქტორები კი შეიძლება იყოს მორალი, ტრადიციები, კანონი, წეს-ჩვეულებები და სხვ. ამრიგად, კოლექტიური ცნობიერება აყალიბებს მოქმედებისა და აზროვნების წესებს, მიღებული ნორმების შესაბამისად.

სიტყვა „ნორმა“ ლათინურიდან მომდინარეობს და „წესს“, „ნიმუშს“ აღნიშნავს. დევიაციაც ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ქართულად, ითარგმნება, როგორც

---

<sup>6</sup> იხ. Britannica <https://www.britannica.com/topic/public-opinion> ( 5.11.2021).

„გადახრა“, „წესიდან გადახრა“ (შონია 2013, 77). მართალია, დევიაცია როგორც გადახრა არაერთი მნიშვნელობით გამოიყენება, თუმცა სოციოლოგიაში იგი უმთავრესად ატარებს სოციალური გადახრის მნიშვნელობას. სოციალური გადახრა ნიშნავს საზოგადოებაში არსებული ნორმებიდან გადაცდენას ან მათ დარღვევას. „ნორმა“ და „დევიაცია“ ანტაგონისტური წყვილებია. ფისკეს თანხმად, ნორმა არის საზოგადოების მიერ გამოყენებული შემზღუდავი მექანიზმი. მორალური პრინციპი კი არის იგივე დირექტიული ძალა, რომელმაც შეიცვალა მასშტაბი და იქცა უნივერსალურ ვალდებულებად (Fiske 1992, 704). საზოგადოებრივი ნორმა აყალიბებს მორალურ პრინციპებს, რათა დაავალდებულოს თავისი ჯგუფის წევრები, შეასრულონ ნორმები.

საზოგადოება, მუდმივად აყალიბებდა ნორმებს და ქმნიდა წესებს, მათ შორის ნორმატიულ კანონებსაც, რათა განესხვავებინა ერთამენთისგან კანონიერი და უკანონო, ნორმალური და დევიატური, სწორი და არასწორი, მორალური და ამორალური და ა.შ. ანალოგიურად, საზოგადოება აყალიბებდა სანქციებსაც. ნორმები, შეიძლება ითქვას, რომ დამოკიდებული ცვლადებია. ისინი ხშირად გამოიყენება როგორც სოციალური კონტროლის ინდიკატორი (Janowitz 1975, 88). ე.ი. ნორმა დამოკიდებულია სოციალურ კონტროლზე და მის მიერაა განსაზღვრული. ასევე, „ნორმა- ამა თუ იმ სიტუაციაში ქცევისა და მოქმედების განმსაზღვრელი გზამკვლევა. ის ღირებულებებზე უფრო ვიწრო მნიშვნელობისაა“ (კალჭუნი 2008, 164), ე.ი. ეს გზამკვლევები\_ნორმები, ადამიანებს ჰკარნახობს, კონკრეტულ სიტუაციაში როგორია სწორი და როგორია არასწორი ქცევა. ნორმები განაპირობებენ ღირებულებების გააქტიურებას, რაც საბოლოოდ წარმოიქმნება ამა თუ იმ ქმედების სახით. შეიძლება ითქვას, რომ ნორმები ღირებულებებთან შედარებით ნაკლებად მყარია, ვინაიდან ისინი გარკვეული სიტუაციიდან, შემთხვევებიდან ან მოვლენებიდან გამომდინარეობენ, შესაბამისად, მათი ცვლილება შესაძლებელია, განსხვავებით ღირებულებებისაგან. ღირებულებების შეცვლა უფრო დიდი და რთული პროცესია. მიუხედავად



არამდგრადობისა ნორმების გავლენა საზოგადოებრივ პროცესებზე ძლიერია (კალჭუნი 2008, 161).

ნორმები იქცევიან წესებად, რომლებიც შემდეგ კანონმდებლობის სახით გვევლინებიან. კულტურულ ნორმათა დიდი ნაწილი უფრო მეტად იმპლიციტური ხასიათისაა. ე.ი. ჯგუფს აქვს მოლოდინი მისი წევრების მიერ ჯგუფისთვის სასურველი ქცევის განხორციელებისა. დადგენილი ნორმებიდან გადახრა რელიგიაში აღიქმება „სიავედ“, ფსიქოლოგიაში — „ავადმყოფობად“, ხოლო სამართალთან მიმართებით დევიაცია „არაკანონიერ“ აქტად განისაზღვრება. ამის მიუხედავად რიგი მეცნიერებისა (Durkheim 1984; Hirsh 2001) მას ბუნებრივ და უფრო მეტიც, გარდაუვალ მოვლენად მიიჩნევენ. კულტურა მასში აკუმულირებული ცოდნით, ფიქრისა და მოქმედებისთვის საჭირო რესურსებით ამარაგებს თავის წევრებს და აწვდის მათ საზომებს სხვათა მოქმედებების შესაფასებლად (კალჭუნი 2008, 26).

სოციალურ თეორიებში (მაგ. სოციალურ კონსტრუქტივიზმში) სოციალური ნორმის ცნების გამოყენება მნიშვნელოვანია საზოგადოებების ფუნქციონირების ანალიზისთვის. ეს განსაკუთრებით ეხება ტრადიციულად სტაბილურ საზოგადოებებს. სტაბილური ან მცირედ ცვალებადი ნორმები წარმოადგენს სტაბილური საზოგადოების თვითმმართველობის მექანიზმთა მნიშვნელოვან კომპონენტს (Coleman 1990, 242). საქართველო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტრადიციული სახელმწიფოა, სადაც ცვლილებები ნელი ტემპით მიმდინარეობს. შესაბამისად, ეს განმარტება რელევანტურია ქართული რეალობისთვისაც.

იმისათვის, რათა შევიტყოთ, რა სახის ნორმები მოქმედებს ამა თუ იმ საზოგადოებაში, საჭიროა გადავხედოთ ისტორიულ მოვლევებს და დავადგინოთ ის დისკურსები, რომლებიც გაბატონებული იყო შესაბამის ისტორიულ პერიოდში, რადგან სწორედ გაბატონებული დისკურსები ქმნიან სოციალურ ნორმებს, ხოლო ქცევას განსაზღვრავენ როგორც დევიანტურს.

დევიაცია, რომ სოციალურ მოვლენებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია, ამას სოციოლოგიის ერთ-ერთი სფერო, კერძოდ კი დევიანტოლოგია მიუთითებს. დევიანტოლოგია, ბუნებრივია, შეისწავლის საზოგადოებაში მიმდინარე დევიაციურ პროცესებს, მის გამომწვევ მიზეზებსა და ყველაფერ იმას, რაც დევიაციას უკავშირდება.

საზოგადოდ, ნორმიდან გადახრილი ეწოდება ქმედების ისეთ ფორმას, რომელიც კულტურულ ან სოციალურ ნორმებსა და ღირებულებებს ეწინააღმდეგება (კალჭუნი 2008, 240). ე.ი. დევიანტურად ითვლება ის ქცევა, რომელიც არღვევს სოციალურად განსაზღვრულ კრიტერიუმებს. არ არის აუცილებელი დევიანტურად შეფასებული ქმედება იყოს კანონსაწინააღმდეგო. მარტივად რომ ვთქვათ, სოციალური გადახრა არის ჯგუფის წესების შეუსრულებლობა (Becker 1973, 9).

დიურკჰეიმი დევიაციის ორ სოციალურ ფუნქციას გამოყოფს: 1. ის, რომ საზოგადოება ქცევის „მიუღებლად“ განსაზღვრის პარალელურად ადგენს, რა არის მისთვის „მისაღები“; 2. დევიანტური ქცევა ზრდის ჯგუფშიგა სოლიდარობას (Durkheim 1984, 11). სოლიდარობა კი კოლექტიური საზოგადოებისთვის ფუნქციურად მნიშვნელოვანი ელემენტია. საზოგადოების ტიპი კი განსაზღვრავს იმას, როგორი ზეგავლენა ექნება დევიაციას მიმდინარე პროცესებზე, ე.ი. მოგვევლინება სოციალური ცვლილებების კატალიზატორად, თუ განამტკიცებს უკვე არსებულ წესებს.

რობერტ მერტონმა შეიმუშავა სტრუქტურული რღვევის თეორია. ამ თეორიის მიხედვით, დევიაცია არის არჩევანი, რომელიც კეთდება მაშინ, როცა არ მოიპოვება ან ნაკლებად მოიპოვება ლეგიტიმური საშუალებები კულტურულად გამართლებული მიზნის მისაღწევად (Merton 1968, 194-195). მერტონის სტრუქტურული რღვევის თეორია არის სოციოლოგიური მიდგომა, რომელიც

დევიაციის მიზეზად თავად საზოგადოებას და მასში გავრცელებულ ნორმებს ასახელებს (Merton 1968).

ბეკერის აზრითაც, გადახრების შემქმნელები თავად სოციალური ჯგუფები არიან. სოციალური ჯგუფები ქმნიან გადახრებს ჯერ კიდევ მაშინ, როცა ადგენენ იმ წესებს, რომელთა დარღვევაც დევიაციად მიიჩნევა, მაშინაც, როცა ამ წესებს კონკრეტული ადამიანების ქცევებს არგებენ და მათ აუტსაიდერებად მიიჩნევენ. ამრიგად, გადახრა არ არის ადამიანის მიერ ჩადენილი ქმედების ხარისხი, არამედ ეს არის სხვათა მიერ წესებისა და სანქციების გამოყენების შედეგი „დამნაშავის“ მიმართ (Becker 1973,10). ყოველთვის, როცა საზოგადოება მიიჩნევს რაიმე აქტს დევიაციად, ამით იგი ამტკიცებს ჯგუფის საზღვრებს და ამავდროულად, ამდაფრებს დარღვეული ნორმის ავტორიტეტს, რადგან ნორმას ძალა მხოლოდ მაშინ აქვს, როცა აქტიურად გამოიყენება (Erikson 1962, 310). ამრიგად, საჭიროა დევიანტებისა და დევიაციების არსებობა იმ ჯგუფისთვისაც, რომლებიც მათ წინააღმდეგ მოქმედებენ. უნდა აღნიშნოს ის ფაქტიც, რომ ისტორიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები რევოლუციური მოძრაობების ან სწორედ იმ პიროვნებების მიერ განხორციელდა, რომლებიც თავის დროზე მიიჩნეოდნენ „დევიანტებად“, „მოკისმომგვრელებად“ ან თუნდაც „კრიმინალებად“ (Boudon & Bourricaud 1989, 82). მართალია, დევიაცია არღვევს სოციალურ სისტემას, თუმცა ის ამავდროულად სოციალური სისტემისთვის პოზიტიური ფუნქციის მატარებელიცაა. შეიძლება ითქვას, რომ დევიაცია ამბივალენტური ცნებაა. დევიანტური ქცევა სოციალურ ცვლილებებსაც იწვევს და ლიტერატურული დევიაციის განხილვა ამ კუთხითაცაა შესაძლებელი.

ახსნა-განმარტებითი თეორიების<sup>7</sup> მიმდევრები იზიარებენ მოსაზრებას, რომ დანაშაული და გადახრები სოციალურად არის აგებული (Goode 2015, 8). ყველა კრიმინალისტმა და სოციოლოგმა იცის, რომ დანაშაული და ნორმიდან გადახრები

---

<sup>7</sup> ახსნა-განმარტებითი თეორიებია პოზიტივისტური, ინტერაქციონისტული, კონსტრუქტივისტული, სტრუქტურალიზმი და ა.შ.

სოციალური და კულტურული კონსტრუქციებია (Goode 2015, 563). მაგალითისთვის, კონსტრუქტივისტები დევიაციის განსაზღვრებასა და თავად ქმედებას იკვლევენ როგორც სოციალური კონტროლის შედეგს (Goode 2015, 564). კონსტრუქტივისტული ალტერნატივები თანამედროვე სამყაროში წარმოადგენენ დომინანტურ თვალსაზრისებს დევიაციის სოციოლოგიაში (Dotter 2015, 110). ამ კუთხით, დევიაცია არის ის მახასიათებელი, რომელიც მიეწერება კონკრეტულ ქცევას. ეს მიწერა გამომდინარეობს ადამიანების მიერ დადგენილი იმ ნორმებიდან, რომელიც განისაზღვრება როგორც „მოსაწონი და სწორი“. არ მოიპოვება ერთმნიშვნელოვანი კრიტერიუმები, რომლებიც ქცევას აფასებს როგორც ნორმიდან გადახრილს. შესაბამისად, ძნელია ზუსტად განსაზღვრა იმისა, როგორია დევიატური ქცევა. დევიატები ხშირად, თუმცა არა ყოველთვის, საზოგადოების მხრიდან არიან კრიტიკის ობიექტები, და მათ ხშირად გამობენ და სჯიან (Goode 2015, 3).

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ სოციალურ მეცნიერებებში ერთმანეთისგან განირჩევა მტრული და ინსტრუმენტული აგრესია. აგრესიული ქმედება არის წინასწარგანზრახული აქტი, რომელიც მიმართულია სხვისთვის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზიანის მიყენებისკენ. ინსტრუმენტული აგრესია კი არის აგრესიის ის ფორმა, რომელიც ასევე ისახავს მიზნად სხვისთვის ზიანის მიყენებას, თუმცა აგრესიის ეს ფორმა მიზნის მიღწევის საშუალებაა და არა ტკივილის მიყენების მოტივით განხორციელებული ქცევა (არონსონი 2014, 245-246). სეიმურ ფეშბახის დაკვირვებით (Seymour Feshbach), ადამიანთა უმეტესობას უძნელდება სხვისთვის განზრახ ზიანის მიყენება, სანამ მის დეკუმანიზებას ვერ შეძლებს (არონსონი 2014, 285). არონსონის აზრით, ამგვარი თვით-გამართლება ადამიანს საშუალებას აძლევს, იმოქმედოს აგრესიულად (არონსონი 2014, 285). მსხვერპლის დეკუმანიზება მიზნად ისახავს ბოროტების ან/და ზიანის მიყენების ლეგიტიმაციას. ამრიგად, როცა ვმსჯელობთ მწერლებზე როგორც დელიკვენტებზე და მათ მიმართ ამოქმედებულ სანქციურ ზომებზე, მნიშვნელოვანია ყურადღების

გამახვილება იმ ეპითეტებსა და კონტექსტებზე, რომლებითაც ხდება ავტორების ჯერ დეჰუმანიზაცია და შემდეგ მათთვის სანქციის დაწესება. ამ გზით სანქციის გამცემები თვით-გამართლების სტადიაში არიან და საკუთარ ქმედებას არა ძალადობრივად და დანაშაულად, არამედ სწორ ნაბიჯად მიიჩნევენ, რაკი სწამთ, რომ მათ დასაჯეს ცუდი, ამორალური, საშიში და საზიანო პიროვნება. თვით-გამართლება ემსახურება იმას, რომ სხვისთვის ზიანის მიყენების ეს პროცესი უმტკივნეულო ან ნაკლებ მტკივნეული იყოს. ამის ანალიზს ჩვენ უფრო დაწვრილებით რეცეფციის კვლევის პროცესში ვეცდებით.

**დევიანტი** არის დევიაციის განმხორციელებელი სუბიექტი. ჩარლზ გორინგმა დევიანტების შესწავლის მიზნით ჩაატარა ექსპერიმენტი, სადაც იკვლია დევიანტებისა და სხვა მოქალაქეების თავის ქალის მოყვანილობა. შედეგებმა ცხადყო, რომ მათ შორის არანაირი განსხვავება არ არსებობს (კალჰუნი 2008, 250). ადამიანური ქცევა, მისი რთული ხასიათიდან გამომდინარე, ვერ აიხსნება მხოლოდ ბიოლოგიური საფუძვლებით. ეს პრინციპი მოქმედებს მაშინაც, როცა სახეზეა რთული ბიოლოგიური მდგომარეობები (მაგ. შიზოფრენია და სხვა...). საქმე ის არის, რომ ემპირიული რეალობა და სოციალური გარემო ასრულებენ მნიშვნელოვან როლს ბიოლოგიური ფაქტორების გამოვლენის ფორმებისა და არგამოვლენის პროცესში (კალჰუნი 2008, 251). გამომდინარე აქედან, როცა დევიანტებს მოიხსენიებენ როგორც არანორმალურებს და გიჟებს, ეს ყოველთვის სიმართლეს არ შეესაბამება, გარდა ცალკეული შემთხვევებისა, როცა ნორმიდან გადახრას საფუძვლად ფსიქოლოგიური გადახრები უდევს. ამდენად, ეს შეფასებები მხოლოდ აგრესორის თვითგამართლებას ემსახურება.

ბეკერმა ნაშრომში „აუტსაიდერები“ განავითარა თეორია, რომლის თანახმადაც დევიაციას იწვევს ძალაუფლების მქონე ჯგუფთა უნარი და სურვილი, იმისა რომ სხვები მათ მიერ დადგენილ ქცევის შაბლონებში მოაქციონ. ბეკერს მიაჩნდა, რომ დევიაცია და დევიანტობა ეს არის სანქციათა შედეგი, რომელსაც დომინანტი ჯგუფები ნორმათა დამრღვევებს უწესებენ. ბეკერის მიხედვით, პოლიტიკურ-

ეკონომიკური სადავეების ფლობა არის საშუალება სხვებზე საკუთარი ნორმებით ზემოქმედებისა. ასევე, მიიჩნევა ისიც, რომ დევიანტების გამოვლენისა და პირთა დევიანტად გამოცხადების ძალაუფლება ე.წ. „მორალისთვის მებრძოლებს“ გააჩნიათ (Becker 1973, 3-5; 154-155). შეიძლება, ნებისმიერი ის პიროვნება, რომელიც არ იცავს ნორმებს, განვიხილოთ როგორც დევიანტი და ქცევის თავისებურება, როგორც დევიაცია (Goffman 1986,167). ბეკერი დევიანტს აღნიშნავს ტერმინით „აუტსაიდერი“. აუტსაიდერი ეს არის „ჯგუფის წესებიდან გადახრილი“ პიროვნება (Becker 1973,3). რაც ნიშნავს იმას, რომ დანარჩენი წევრების მიერ ის აღარ აღიქმება ჯგუფის ნაწილად და მარგინალიზებულია, გარიყულია და დასჯილია დევიანტური ქცევის გამო. თუ ინდივიდი ჯგუფის ნორმებს არღვევს, ის იქცევა დევიანტად, რის შემდეგაც მას რეფერენტული ჯგუფიდან რიყავენ. საბოლოოდ, დევიანტობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც სოციალური სისტემების ნორმების შესაბამისი ქცევის წარმოებისას პერსონალური და სოციალური კონტროლის კრახის ქცევითი შედეგი, რომლებსაც თან ახლავს დისციპლინური სანქციები (Reiss 1951, 196).

**სანქცია** ეს არის საზოგადოების მხრიდან ნორმის დამრღვევების წინააღმდეგ მიმართული რეაქცია (Goode 2015,3). კოულმენის თანახმად, სანქცია ეს არის საზოგადოების რეაქცია ცალკეულ ქმედებებზე. ის აქტიურდება მაშინ, როცა ინდივიდი ან ასრულებს ან არასრულებს ჯგუფის წესებს (Coleman 1990, 242). როცა საზოგადოებაში ფიქსირდება დევიანტური ქცევა, რომელიც უგულებელყოფს მის ძირითად ღირებულებებს და ნორმებს, ეს ნიშნავს, რომ სოციალური კონტროლი დაირღვა, რომელიც როგორც წესი, მოქმედებს ქცევის მიღებული ფორმების შესანარჩუნებლად. სოციალური კონტროლი საკუთარი ძალაუფლების გამოყენებითა და სანქციების დაწესებით ცდილობს სტაბილურობის შენარჩუნებას (Becker 1973,59). არაფორმალურ სანქციას აწესებს საზოგადოება (მაგ. გარიყვა, მარგინალიზება). ფორმალური სანქცია კი ეს არის მაგ. პატიმრობა.

საზოგადოების მიერ უზნეობად აღქმული ქმედებები ყოველთვის მძაფრ რეაქციებს იწვევს. ვინაიდან „ზნეობრიობა ადამიანებისთვის საკრალური და ხელშეუხებელი ღირებულებებია... ისინი, ვინც ზნეობრიობის ჩარჩოს სცილდება, საზოგადოებისაგან გარიყულნი, განკიცხულნი, დასჯილნი არიან (კალჰუნი 20 08, 165).“ ნორმების დაუმორჩილებლობა იწვევს სანქციებს ან გარეგან ძალდატანებას, რომელიც მიმართულია ნორმების შესრულებისკენ. ნორმების დაცვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ჯგუფის არსებობისა. ნორმიდან გადახვევა კი ამ არსებობასა და სტაბილურობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. როდესაც საზოგადოება გრძნობს, რომ მისი არსებობა საფრთხეშია, მაშინ თვითგამოხატვის ღირებულებებზე მეტად გადარჩენის ღირებულებები ხდება წამყვანი. იმისათვის, რომ ეს საფრთხე შემცირდეს და რეალობა მეტად პროგნოზირებადი გახდეს საზოგადოება დგამს თვითგადარჩენისკენ მიმართულ ნაბიჯებს. იგი ცდილობს უფრო მკაცრად დაიცვას ტრადიციული კულტურული ნორმები, რათა გადარჩეს (Inglehart & Weltzel 2005).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კონსტრუქტივისტული პერსპექტივიდან ნორმიდან გადახრა არის **იარლიყი, სტიგმა** და არა ქცევის ფორმა. ეს იარლიყი გამოიყენება გარკვეული აუდიტორიის მიერ ქცევისა და აქტორების მიმართ (Goode 2015, 564). სტიგმა ჩნდება მაშინ, როცა საქმე გვაქვს დევიაციასთან, შესაძლოა ანომალიასთანაც (ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური და ა.შ.), თუმცა სოციალური სტიგმა მიემართება დევიაციისა და მარგინალიზაციის პროცესს. ვაისის თანახმად, სტიგმა გვევლინება ატრიბუტად საზოგადოების ხელში. სტიგმა ხშირად განიხილება, „როგორც ფიზიკური ატრიბუტი“ (Weiss 2014,279). გოფმანისთვის სტიგმა სოციალური ფენომენია, ხოლო სტიგმატიზაცია სოციალური პროცესი (Goffman 1986). სტიგმა, როგორც წესი, სოციალური პროცესია, რომელსაც თან ახლავს უარყოფითი შედეგები, გარიყვა, დევალვაცია და ა.შ. (Weiss 2014, 280). როგორც უკვე აღვნიშნეთ, სტიგმატიზაცია იწვევს სტიგმატიზებული პიროვნების მარგინალიზებას.

მარგინალიზებული ადამიანები განიცდიან სოციალურ ზეწოლას, დისკრიმინაციას და ფიზიკურ ანგარიშსწორებასაც კი.

„სტიგმატიზაცია“ სიტყვასიტყვით „დადამღვას“(ბერძნ.) ნიშნავს. ძველ საბერძნეთში სტიგმა მიემართებოდა საზოგადოებიდან გარიყულ და მიუღებელ წევრებს, მაგალითისთვის მონებს, კრიმინალებს და ა.შ. თანამედროვე სამყაროში სტიგმა სოციალური მარგინალიზაციისა და გარიყვის ინსტრუმენტად გამოიყენება. ისინი ვინც სტიგმატიზირებულნი არიან ხშირად ხდებიან გარიყვისა და დასჯის სამიზნენი (Thomas & Nair 2011,159). ისევე, როგორც ეპატაჟური ტექსტების ავტორები, რომლებიც ჯერ გაირიყნენ „ჩვენ“ - ჯგუფიდან და შემდეგ მათ მიმართ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფები დაიწყო.

სტიგმატიზაციის პროცესი ეს არის „ინდივიდის მდგომარეობა, რომელიც დისკვალიფიცირებულია სრული სოციალური მიღებისგან“ (Goffman 1963,11) სტიგმატიზაციის პროცესში ემპირიული რეალობიდან კონკრეტული სოციალური კატეგორიები გამოირიცხებიან, ამ პროცესში, შესაძლოა, კულტურამ განსაზღვროს თუ რომელი ატრიბუტია მიუღებელი და რომელი უნდა იყოს სტიგმატიზირებული (O'Brien & Major 2005,395-96).

საბოლოოდ შეიძლება ვთქვათ, რომ სტიგმატიზებისთვის ადამიანების შერჩევა და მათთვის იარლიყების მიწებება სოციალური პროცესია (Link & Phelan 2001,368), ისევე, როგორც ლიტერატურული ტექსტების ეპატაჟურობა.



## 2. დისკურსანალიზური და კონტენტანალიზური მიდგომები ლიტერატურათმცოდნეობაში (კვლევის მეთოდი)

### 2.1. დისკურსისა და ტექსტის ცნების განსაზღვრებისთვის

ნებისმიერი სახის ინსტიტუტსა თუ სოციალურ ჯგუფს გააჩნია თავისი ღირებულებები და მნიშვნელობები, რომლებიც მუდმივად კვლავწარმოების პროცესში არიან. დისკურსი ამ მნიშვნელობებსა და ღირებულებებს ენასა და მეტყველებაში გამოხატავს. დისკურსის ცნება პოლისემიურია. იგი გვხვდება სხვადასხვა ავტორთან. მართალია, დისკურსს ერთი კონკრეტული განსაზღვრება არ აქვს, მაგრამ გააჩნია კატეგორიები. სწორედ ამ კატეგორიების მეშვეობითაა შესაძლებელი მისი განსაზღვრა. დისკურსი პასუხობს კითხვებს — „როგორი დისკურსი?“ ან „ვისი დისკურსი?“. კითხვებზე პასუხის გაცემით ჩვენ შევძლებთ დისკურსის განსაზღვრას. უფრო მეტიც, დისკურსის ანალიზის შედეგად შესაძლებელია ტექსტს მიღმა დისკურსული პროცესის დანახვაც.

კულტურისა და სოციალური კვლევები, ასევე პუბლიცისტიკაც დისკურსზე მსჯელობისას პოსტსტრუქტურალისტური სკოლის წარმომადგენელი ფრანგი ფილოსოფოსის მიშელ ფუკოს მიდგომით ხელმძღვანელობენ. ფუკოს თეორიის მიხედვით, დისკურსი არა მხოლოდ ის მექანიზმია, რომლის მეშვეობითაც იქმნება მორჩილების სისტემა და თავს იჩენს მსოფლიოში არსებული კონფლიქტები, არამედ დისკურსი თავად წარმოადგენს ბრძოლის ობიექტს. ფუკო დისკურსს განიხილავს როგორც საყოველთაო ძალაუფლების მექანიზმების ერთობას, სადაც დისკურსი არის ის ენობრივი პრაქტიკა, რომელიც ახორციელებს ძალაუფლებას (Foucault 1981, 70). ძალაუფლების განხორციელება დისკურსში კი ნიშნავს, რომ ძალაუფლების მქონე საზოგადოება აკონტროლებს ძალაუფლების არმქონეებს (Fairclough 1989, 46).

სოციალურ რეალობაში მოიპოვება არაერთი სახის დისკურსი, რომელთა კვლავწარმოება მუდმივად ხდება. ყოველი ახალი დისკურსი იფილტრება და გადარჩევის შემდეგ კონკრეტული მიმართულებები ენიჭება, რათა სხვა დისკურსებმა მისი გაუვნებელყოფა ვერ მოახერხონ. სოციალურ ველში დისკურსები ერთმანეთს ებრძვიან, ეწინააღმდეგებიან და გამორიცხავენ. თითოეული დისკურსი ყოველთვის ცდილობს მისთვის უცხო და შეუთავსებელ დისკურსზე ზემოქმედებას. დომინანტი დისკურსი ცხრილავს და აუქმებს ანტიდისკურსებს (ანტიდისკურსებში იგულისხმება ოპოზიციური ან ალტერნატიული ანტიდისკურსები). ამისთვის იგი ახორციელებს გარკვეული სახის პროცედურებს, ეს პროცედურებია :

- **აკრძალვა** (ტაბუირება) — დომინანტი დისკურსი არასასურველი დისკურსის აკრძალვას ტაბუს დადებით, დისკურსის გამხმინანებელი სუბიექტისთვის საუბრის, აზრის გამოხატვის და სხვა უფლებების ჩამორთმევით ახორციელებს.
- **მარგინალიზაცია** (იზოლირება) – მარგინალიზაციის შემთხვევაში გამხმომვანებელი სუბიექტის გამოცხადება ხდება შემლილად, ეშმაკისეულად, ირაციონალურ პიროვნებად, მახინჯად და მსგავსი უარყოფითი კონოტაციის მქონე სიტყვებით მისი მარკირება. თავად დისკურსი კი მდაბალი ხარისხის ფენომენად ცხადდება.
- **აპრიორი ჭეშმარიტების ფლობა** — ამ შემთხვევაში საჯაროდ ხდება მარგინალიზაციის ლეგიტიმაცია. დომინანტი დისკურსის მატარებლები არასასურველ და არათავსებად დისკურსს ღირებულების არმქონედ და „სახიფათოდაც“ კი აცხადებენ (Foucault 1977, 11-18).

ამრიგად, დისკურსი არ არის ნეიტრალური ხასიათის წარმონაქმნი, მას კონსტრუქციული მექანიზმი აქვს: იგი მონაწილეობს სოციალური რეალობის შექმნის პროცესში. მეტიც, სოციალურ რეალობას დისკურსები აწარმოებენ. ისინი

გვევლინებიან როგორც ძალაუფლების მატარებელი მექანიზმები, რომლებიც, ერთი მხრივ, აკონტროლებენ საზოგადოებას, ხოლო, მეორე მხრივ, აუქმებენ ან დომინირებენ<sup>8</sup> უცხო ან მათთვის მიუღებელ დისკურსებზე.

ყველა სოციალური ჯგუფი ადგენს წესებს და ცდილობს მათ შესრულებას. სწორედ ეს სოციალური წესები განსაზღვრავენ მათთვის შესაფერის სიტუაციებსა და ქცევის წესებს. ამრიგად, ზოგი ქმედება განისაზღვრება როგორც „სწორი“, ხოლო ზოგი იკრძალება როგორც „არასწორი“ (Becker 1997, 3). ფუკოს თეორიის მიხედვით, გამონათქვამები განსაზღვრული ინსტიტუციური ძალის მქონე მოსაზრებებია. ეს მოსაზრებები მიიჩნევა ჭეშმარიტებებად, თუ ისინი ემორჩილებიან დისკურსული ფორმირების განსაზღვრულ წესებს (Foucault 1977, 26). ჭეშმარიტების ფლობის ნებას მხოლოდ დომინანტი დისკურსები ინარჩუნებენ და დისკურსი სოციალურ რეალობას უკვე ნორმირებული წესებით არეგულირებს. თუ აღმოჩნდა ისეთი ადამიანი, რომელიც არ აპირებს თავისი ცხოვრება სხვის მიერ შექმნილ წესებს დაუქვემდებაროს, ამით იგი სავარაუდოდ დაარღვევს საყოველთაოდ მიღებულ სოციალურ კანონებს. ამგვარ ადამიანს ჯგუფი აღიქვამს როგორც განდგომილს (ინგლ. „outsider“ - ჯგუფს გარეთ მყოფი) (Becker 1997,1). ვან დეიკიც აღნიშნავს, რომ ხშირად დისკურსის მიერ წარმოებული იდეოლოგია არის პოლარიზებული დიქტომიით — „ისინი“ / „ჩვენ“ (van Dijk 1998, 25), რაც ნიშნავს იმას, რომ არსებობენ გარკვეულ სოციალურ ჯგუფში მიღებული და ჯგუფიდან გარიცხული სუბიექტები. ჯგუფიდან წევრების გარიყვას, ასევე ჯგუფის წევრებისა და ჯგუფის გარეთ მყოფი სუბიექტების დიქტომიას რუთ ვოდაკი „გამორიცხვის რიტორიკას“ (rhetoric of exclusion) უწოდებს (Wodak 2003,133).

დისკურსი არა მხოლოდ საზოგადოებას, არამედ ცალკეულ ტექსტთა არსებობასაც არეგულირებს. ის ადგენს ნორმებს, რომელთა ფარგლებშიც განისაზღვრება,

---

<sup>8</sup> ვან დეიკი „დომინანტობას“ განსაზღვრავს როგორც გარკვეული საზოგადოებრივი ჯგუფის მხრიდან საზოგადოებრივი ძალაუფლების ბოროტად გამოყენების პრაქტიკას (van Dijk 2008,6).

რომელი პოზიცია, აზრი ან ფუნქციაა ჭეშმარიტი, დასაშვები და რომელი უნდა იქნას განდევნილი, უარყოფილი საზოგადოების მიერ. იგი აკონტროლებს გამხმომავანებელი სუბიექტის მეტყველებას და იმას, რისი თქმა შეიძლება მოცემულ ვითარებაში და რისი არა. კულტურის თეორიაში აღიარებულია, რომ სოციალური აქტორები, ე.ი. გამხმომავანებელი სუბიექტები ინტერაქციაში შედიან ერთმანეთთან და ამ ინტერაქციის პროცესში იყენებენ იმ ქცევის მოდელებსა და ნორმებს, რომლებიც მათ კულტურულ რეალობაში არსებობენ. კომუნიკაციისთვის საჭირო თემებს კი მათ სწორედ დისკურსები აწვდიან. ამრიგად, ცალკეულ ინდივიდში აისახება საზოგადოებრივი ფორმირების პროცესები (Link 2006, 407). კომუნიკაციის პროცესში მნიშვნელოვანია ენის დისციპლინირება, რადგან ენა ითავსებს დისკურსული „პოლიციის“ როლს (Foucault 1977, 25). ეს ნიშნავს იმას, რომ ენა გამოთქვამს ეპისტემეს<sup>9</sup>, იდეოლოგიისა თუ ინსტიტუციების მიერ განსაზღვრულ ცნებებს. ენას აქვს უნარი, დომინანტური დისკურსული ძალაუფლების მიერ წარმოებული პროდუქტი სად აზრად წარმოაჩინოს. ენა რეალიზდება ტექსტების მეშვეობით. ამრიგად, ტექსტებში შესაძლებელია იდეოლოგიური, ეპისტემური თუ ინსტიტუციური დისკურსების ამოკითხვა. დისკურსს არა მხოლოდ ძალაუფლებრივი სისტემები და მათი ბრძოლის არეალი გადააქვს ენაში, არამედ თავად დისკურსია ის, რისთვისაც და რა საშუალებითაც წარიმართება ბრძოლა. დისკურსი თავად წარმოადგენს ძალაუფლებას. ამასთან, დისკურსს აწარმოებენ და აკონტროლებენ განსაზღვრული ინსტიტუციები და სისტემები (Foucault 1977, 11). ამრიგად, ცოდნა დისკურსულადაა შემოსაზღვრული. დოგმატიზებული ენა კი აღმნიშვნელებსა და აღსანიშნებს დიქტომიურად ყოფს — ღირებულებითისა და არაღირებულებითის ჭრილში. ღირებულებითია ის აღმნიშვნელ-აღსანიშნები, რომლებსაც ამ სტატუსს დომინანტი იდეოლოგიური დისკურსი ანიჭებს, შესაბამისად, არაღირებულებითია ის აღმნიშვნელ-აღსანიშნები, რომლებიც

---

<sup>9</sup> ტერმინი ეკუთვნის მიშელ ფუკოს და აღნიშნავს იმ ცრურწმენებსა და ვარაუდებს, რომლებიც ყოველი ეპოქის აზრებს შემოსაზღვრავენ.

დომინანტური იდეოლოგიის მიღმა არსებობენ. ვან დეიკის კონცეფციის მიხედვით, იდეოლოგია ყოველთვის არ არის უარყოფითი კონოტაციის მქონე ცნება (van Dijk 2001, 14). თუმცა, დომინანტური იდეოლოგიები ახორციელებენ სიტყვის რიტუალიზაციას. ამ პროცესში დისკურსული ცოდნის გამხმარებელ სუბიექტებს განსაზღვრული ფუნქციები ეკისრებათ და იქმნება დოქტრინული ჯგუფები, რის შედეგადაც წარმოიქმნება დისკურსული საზოგადოება. დისკურსული საზოგადოების უმთავრეს მიზანს ინსტიტუციების მიერ წარმოებული დისკურსების შენახვა ან მათი კვლავწარმოება წარმოადგენს (Foucault 1977, 27). აღნიშნული პრინციპები ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც იდეოლოგიურად დეტერმინირებული აღმნიშვნელ-აღსანიშნები სახელდებისას რეციპიენტს მიანიშნებენ იმაზე, სად არის ე.წ. „ჭეშმარიტი“ და სად „მდაბალი“ ღირებულებები, ე.ი. ახორციელებენ მის იდეოლოგიზებას დომინანტი დისკურსებით ნაკარნახევი კონსტრუქციების მიხედვით. ჩვენს შემთხვევაში აღნიშნული პრინციპი დაგვეხმარება კონტენტანალიზის შედეგების ინტერპრეტაციაში.

ფუკოს თეორიაში დისკურსი და იდეოლოგია ერთი და იმავე საზრისის მქონე ცნებებია და მეცნიერი მათ აიგივებს კიდევ. იგი მიიჩნევს, რომ იდეოლოგიური მანიპულაციები მთავრობების მიერ კონტროლდება. ხოლო საზოგადოებასა და სუბიექტს თავისი პიროვნული მორალის შესაბამისად დაუმორჩილებლობით ან თანამონაწილეობით წვლილი შეაქვს დისკურსის ფორმირებაში (Foucault 1981, 49). იდეოლოგია<sup>10</sup> ისევე კარგად შეიძლება ემსახუროდეს წესწყობილებისა ან სოციალური დომინაციის დამყარებასა და შენარჩუნებას, როგორც ბრძოლისა და წინააღმდეგობის ორგანიზებას (van Dijk 2001, 14).

---

<sup>10</sup> ნაშრომში ვეყრდნობით ვან დეიკისეულ განსაზღვრებას, რომლის მიხედვითაც, იდეოლოგია არის სოციალური შემეცნების განსაკუთრებული ფორმა, რომელიც გაზიარებულია გარკვეული ჯგუფების მიერ (van Dijk, 2001:12).

დისკურსი სწორედ ზემოთ აღწერილი მოქმედების პრინციპებით ახერხებს ინდივიდთა კვლავწარმოებას. სწორედ ეს არის დისკურსის ეფექტი. დისკურსის ეფექტებს იეგერი და მაიერი ორ ჯგუფად ყოფენ: პირველი, როცა დისკურსი აწარმოებს ინდივიდუალურ, ან მასობრივ ცნობიერებას და მეორე, როცა დისკურსი განაპირობებს ქმედებას (Jäger & Maier 2009, 37). მეორე ეფექტი, შეიძლება ითქვას, პირველიდან გამომდინარეობს, რადგან სწორედ ცნობიერებით განისაზღვრება, როგორ მოიქცევა სუბიექტი.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში დისკურსი გვესმის როგორც სოციალური გარემოსა ან იდეოლოგიურ პოზიციებთან დაკავშირებულ ცნებათა და გამონათქვამთა ერთობა. ასევე, ჩვენთის მნიშვნელოვანია ტექსტის ცნების განსაზღვრა, რაკი წინამდებარე ნაშრომში ტექსტუალური ანალიზის მეთოდებით ვიკვლევთ სოციალური მედიის მომხმარებელთა კომენტარებს, დისკუსიებს, ბლოგებს, რეცენზიებს და ა.შ. ტექსტის ცნებას მკვლევრები სხვადასხვაგვარად განსაზღვრავენ. ლათინურად „textum“ („ტექსტი“) ნიშნავს „ნაქსოვს“, „ნაშენებს“, ხოლო „textus“ — „ქსოვას“, „გადაბმას“.

ტექსტად შეიძლება იწოდებოდეს როგორც რამდენიმე ასეული გვერდის მოცულობის ნაწარმოები, ასევე ორი ან ორზე მეტი თემატურად ურთიერთდაკავშირებული წინადადება. ზღვრულ შემთხვევებში კი ტექსტის როლის შესრულება შეუძლია წინადადებასაც (თევდორაძე 2011, 27).

ნინო თევდორაძე ტექსტს დისკურსის პროდუქტად მიიჩნევს (თევდორაძე 2010, 57). მსგავსად განსაზღვრებას ავითარებს ნორმან ფერკლაუფი. მისი აზრით, ტექსტი პროცესზე უფრო მეტად პროდუქტია, რომელიც დისკურსის შემადგენელ ნაწილად გვევლინება (Fairclough 2001, 20).

ტექსტები შეიძლება მივიჩნიოთ დისკურსული სამყაროს ფრაგმენტებად. ტექსტი არ არსებობს დამოუკიდებლად, იგი ყოველთვის რომელიმე დისკურსს განეკუთვნება და მას ახმიანებს. ამრიგად, თითოეული ტექსტი ხასიათდება დისკურსულობით (Adamzik 2004, 253).

ფერკლაუფისთვის კი ტექსტი არის უმნიშვნელოვანესი ლინგვისტური კატეგორია, რადგან მასში აისახება იდეოლოგიური ბრძოლები (Fairclough 2001, 20). მისი კონცეფციის მიხედვით, ტექსტი წარმოადგენს სოციალური ინტერაქციის მხოლოდ მცირე ნაწილს. შესაბამისად, ტექსტების ანალიზს იგი დისკურსის ანალიზის შემადგენელ, მაგრამ არა სრულ, ნაწილად მიიჩნევს. იგი განასხვავებს ანალიზის ორ სახეობას — „ექსტერნულს“ და „ინტერნულს.“ „ინტერნულის“ ანუ „შინაგანის“ შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთ საანალიზო ერთეულებთან, როგორებიცაა: სემანტიკური, გრამატიკული, ლექსიკური და ფონოლოგიური ურთიერთმიმართებები. ხოლო, „ექსტერნული“, „გარეგანი“ ანალიზი თავის თავში მოიცავს ტექსტის კვლევას სოციალურ მოვლენებთან, სოციალურ პრაქტიკებთან და სოციალურ სტრუქტურებთან მიმართებით. ფერკლაუფის აზრით, ტექსტის „ექსტერნალურობის“ ნაწილია ინტერტექსტუალობაც (Fairclough 2003, 35-37).

ზიგფრიდ იეგერიც მიიჩნევს, რომ ტექსტები უკავშირდებიან კონტექსტებს, ამდენად მათი ანალიზი უნდა განხორციელდეს სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით. იეგერის აზრით, მნიშვნელოვანია ტექსტის თითოეული ფრაგმენტის კომპლექსური ანალიზი. შედარებით მცირე რაოდენობის ტექსტების ანალიზის შემთხვევაშიც კი თავს იჩენს განმეორებადი კანონზომიერებები, რომლებიც მკვლევარს ეხმარება, შეისწავლოს დისკურსის შემადგენელი ელემენტები. ცალკე აღებულ ტექსტებს არ შეუძლიათ ძლიერი ეფექტის მოხდენა საზოგადოებაზე (Jäger & Maier 2009, 46). ამის უნარი გააჩნია დისკურსს. დისკურსული ძალა მნიშვნელოვანი ერთეულია, რადგან სწორედ ეს ძალა ასაზრდოებს კოლექტიურსა და ინდივიდუალურ ცნობიერებას, რომელიც, თავის მხრივ, ქმნის სოციალურ რეალობას. ტექსტი კი არის კულტურის ფენომენი, რომელიც თავის მხრივ, დაკავშირებულია კულტურის სხვა მოვლენებთან. ამრიგად, ტექსტის გასაგებად საჭიროა, არა მხოლოდ ენაში ჩაღრმავება, არამედ კულტურის ანალიზიც. ტექსტს არ გააჩნია ობიექტური თვისებები. იგი დამოკიდებულია მკითხველის ინტერპრეტაციასა და იმ მნიშვნელობებზე,

რომლებსაც იგი ტექსტს თავად ანიჭებს. შესაბამისად, ის მნიშვნელობები, რომლებსაც ტექსტში რეციპიენტი ამოიკითხავს, უმეტესად პიროვნულია და შეიძლება განსაზღვრული იყოს სხვადასხვა კონტექსტითა და დისკურსით. როდესაც საქმე ეხება სკანდალს, შოკს, აჟიოტაჟს, რომლებიც საზოგადოებაში კონკრეტული ტექსტებითა და ავტორებითაა აღძრული, მიზეზი იმ კულტურულ და სოციალურ ფონში უნდა ვეძებოთ, რომელიც საზოგადოებრივ ცნობიერებაში არსებობს.

## 2.2. დისკურსის კრიტიკული ანალიზი — CDA<sup>11</sup>

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დისკურსი საკვლევ ველში მიმოხეული ცალკეული გამონათქვამებისგან შედგება. ანალიზის პროცესში კი ხდება მათი კლასიფიკაცია და შესაბამისი დისკურსული სივრცისთვის მიკუთვნება. დისკურსის ანალიზი კრებითი ტერმინია, ე.ი. იგი აერთიანებს სხვადასხვა სახის მიდგომებს, რომლებიც მომდინარეობენ განსხვავებული დისციპლინებიდან. დისკურსული ანალიზის არაერთი მეთოდი არსებობს. ფერკლაუფი ამ მეთოდებს ორ ჯგუფში ანაწილებს იმის მიხედვით არის თუ არა ანალიზი ტექსტზე ორიენტირებული. დისკურსის ანალიზი, რომელიც არ არის ტექსტზე ორიენტირებული იკვლევს ტექსტის სოციო-ისტორიულ კონტექსტებს, ხოლო ანალიზი, რომელიც ორიენტირებულია ტექსტზე, უფრო მეტად ინტერესდება ტექსტის ლინგვისტური მახასიათებლებით. ფერკლაუფი მიიჩნევს, რომ დისკურსის კრიტიკული ანალიზი ორივე მათგანს უნდა აერთიანებდეს (Fairclough 2003, 2). ასევე, დისკურსის ანალიზის პროცესში მნიშვნელოვანია პასუხი გავცეთ შეკითხვას, თუ რატომ შეიქმნა კონკრეტული სახის თეზისი თუ გამონათქვამი და რატომ არა სხვა სახის, რატომ შეირჩა

---

<sup>11</sup> CDA \_ Critical Discourse Analysis



მოცემული ტიპი და არა სხვა (Foucault 1981, 42). აქ კიდევ ერთხელ ჩანს კავშირი დისკურსსა და საზოგადოებაში არსებულ კონტექსტებს შორის. ანალიზის პროცესში მნიშვნელოვანია ვიკვლიოთ დისკურსული მოვლენები სოციალურ კონტექსტთან მიმართებით. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დისკურსის გარეშე სოციალური რეალობა ვერ იარსებებს.

მიშელ ფუკოს მიხედვით, კვლევის პროცესში ყურადღება არ უნდა მივაქციოთ სუბიექტს, ვინაიდან არა სუბიექტები დისკურსს, არამედ დისკურსები აწარმოებენ სუბიექტებს. ამდენად, ის უფრო მნიშვნელოვანია, რომ ვიკვლიოთ თუ როგორ აწარმოებს დისკურსი ცოდნას და გავაანალიზოთ დისკურსის ან ობიექტთა სფეროს ჩამოყალიბების პროცესი. ფუკოსთვის სუბიექტის კვლევა მნიშვნელოვანია ისტორიულ ჭრილში. უნდა აღინიშნოს, რომ ფუკო არ უარყოფს სუბიექტის როლს, უბრალოდ, ისტორიულ და სოციალურ კონტექსტში ანალიზებს ინდივიდის ჩამოყალიბების პროცესს.

ნებისმიერი ტიპის დისკურსისთვის მნიშვნელოვანია სოციალური სუბიექტების არსებობა. ისინი მოქმედებენ დისკურსულ ველში, საკუთარი სოციალური კონტექსტებით და გვევლინებიან დისკურსის თანაშემოქმედებად, ამავდროულად ინტეგრირდებიან დისკურსში. ამდენად, დისკურსის ანალიზით არ ვიკვლევთ მხოლოდ დისკურსულ ცოდნებსა და პრაქტიკებს, არამედ დისკურსებში მოქმედი სუბიექტების მიერ შექმნილ სოციალურ რეალობასაც. დისკურსი გარკვეული კუთხით, ანთროპოცენტრისტული მოვლენაა, რომელიც სამყაროს სუბიექტურ ინტერპრეტაციას ახდენს. ეს სუბიექტურობა განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ გამხმოვანებელი სუბიექტი მეტყველების პროცესში ენას ითავისებს და საკუთარ პიროვნებას არგებს. ამდენად, რეალობის ტექსტად ინტერპრეტირების პროცესი სუბიექტურობით ხასიათდება. ეს მახასიათებელი კი მეტყველ სუბიექტს უქმნის იმგვარ ნიადაგს, რომ მას ინფორმაციით მანიპულირება შეუძლია. არცერთ ინდივიდს არ შეუძლია მარტივად შეეწინააღმდეგოს დომინანტ დისკურსს. ყველა

ერთად მონაწილეობას იღებს დისკურსის წარმოებაში, მაგრამ ცალკეული სუბიექტები თუ ჯგუფები დისკურსს სრულად ვერ აკონტროლებენ. დისკურსი წარმოშობის შემდეგ თვითწარმოებადი ხდება. თუმცა არსებობს ინდივიდები თუ ძალები, რომლებსაც მეტნაკლებად შეუძლიათ დისკურსზე ზემოქმედება. ამის მიზეზი შესაძლოა ის პრივილეგიებია, რომლებიც ამ ჯგუფებსა თუ ინდივიდებს სხვებთან შედარებით გააჩნიათ. დისკურსი იკვლევს ამ მიმართებებს.

დისკურსის ანალიტიკური კვლევის ერთ-ერთი ტიპია CDA\_ დისკურსის კრიტიკული ანალიზი. ვოდაკის მიხედვით სიტყვა „კრიტიკული“ სხვადასხვაგვარად განიმარტება, მათ შორისაა მონაცემების სოციალურ კონტექსტში ჩასმა (Wodak 2002, 9). ჩვენი კვლევისთვის სწორედ ეს განსაზღვრებაა მნიშვნელოვანი. CDA იწყება ვარაუდით, რომ ენა ყოველთვის სოციალურია და რომ დისკურსი ერთი მხრივ ასახავს, მეორე მხრივ კი აშენებს სოციალურ სამყაროს (Rogers 2011, 1)<sup>12</sup>. ფერკლაუფი გამოყოფს დისკურსის კრიტიკული ანალიზის სამ მახასიათებელს, ესენია: ტექსტის, დამუშავებისა და სოციალური ანალიზი (Fairclough 1989). CDA \_ს ცენტრალური ცნებას კი ძალაუფლება წარმოადგენს, უფრო კონკრეტულად კი ჯგუფების ან ინსტიტუციების სოციალური ძალა. ჯგუფები მაშინ ფლობენ ძალაუფლებას (მეტად ან ნაკლებად), თუ მათ შეუძლიათ (მეტად ან ნაკლებად) აკონტროლონ სხვა ჯგუფების (და მათი წევრების) ქმედებები და შეხედულებები (van Dijk 2008, 88). კრიტიკული დისკურსის ანალიზის შესახებ არსებული თეორიები ნორმან ფერკლაუფმა, თონ ვან დეიკმა, რუს ვოდაკმა და სხვებმა ლანკასტერის უნივერსიტეტში შეიმუშავეს. უფრო კონკრეტულად კი დისკურსის კრიტიკული ანალიზი სამი მიმართულებით განვითარდა, ესენია ვან დეიკის მიერ ჩამოყალიბებული სოციალურ-კოგნიტული მოდელი, ვოდაკის დისკურსის ისტორიული მიდგომა და ფერკლაუმის სოციალურ-კულტურული მიდგომა. სოციალურ კოგნიტური მოდელი ყურადღებას ამახვილებს დისკურსსა

---

<sup>12</sup> Quoted in Paltridge, Brian. 2012. *Discourse Analysis*. 2<sup>nd</sup> edition. London: BLOOMSBURY

და საზოგადოებას შორის არსებულ კოგნიტურ კავშირებზე. ფერკლაუფის სოციალურ-კულტურული მიდგომა იკვლევს დისკურსში იდეოლოგიის გამოვლენის ნიშნებს. მკვლევრის მიხედვით, ანალიზი მხოლოდ მაშინ იქნება სრულყოფილი და ადეკვატური, როცა მოხდება დისკურსის, ტექსტისა და სოციალურ-კულტურული პრაქტიკის ერთდროულად შესწავლა და ანალიზი. შესაბამისად, აღნიშნული მოდელი ეფუძნება სისტემურ ფუნქიურ ლინგვისტიკას. ფერკლაუფის მიხედვით, ტექსტი ეს არის მულტიფუნქციური წარმონაქმნი, ხოლო ლინგვისტური ანალიზი მნიშვნელოვანია დისკურსში მონაწილე აქტორთა შორის ურთიერთობების დასადგენად (Fairclough 1992, 101). დისკურსის კრიტიკული ანალიზი სამეტაპიანია:

- **აღწერა** ის ეტაპია, რომელიც ტექსტის ფორმალურ მხარეს ასახავს.
- **ინტერპრეტაცია** ტექსტსა და ინტერაქციას შორის არსებულ ურთიერთობებს ადგენს. ეს ეტაპი ტექსტს აღიქვამს, როგორც წარმოების პროცესის პროდუქტს და, როგორც საინტერპრეტაციო რესურსს.
- **ახსნა** უკავშირებდა ინტერაქციისა და სოციალური კონტექსტების ურთიერთმიმართებას. წარმოების პროდუქტებისა და ინტერპრეტაციების სოციალურად განსაზღვრულობასა და მათ სოციალურ ეფექტებს (Fairclough 1989, 26).

რაც შეეხება დისკურსის ისტორიულ ანალიზს ის ისტორიულთან ერთად მოიცავს სოციოლოგიური და პოლიტიკური სფეროს კონტექსტების კვლევებსაც. ვოდაკს მიაჩნია, რომ სწორედ კონტექსტია ის, რაც წარმოადგენს ტექსტის სწორად გაგების საშუალებას (Wodak 2002, 63). სწორედ ამიტომაც CDA პირველ რიგში, შეისწავლის ტექსტებს და იმ სოციალურ პროცესებს, რომლებიც ზემოქმედებენ ტექსტებსა თუ ინდივიდებზე. ამდენად, ანალიზის პროცესში მუდმივად ოპერირებენ როგორც ისტორიის, ასევე ძალაუფლებისა და იდეოლოგიის კატეგორიები (Wodak 2002, 3). აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წინამდებარე კვლევა არ ეყრდნობა დისკურსის კრიტიკული ანალიზის, რომელიმე ერთ კონკრეტულ მიდგომას, ტექსტებისა და

სოციალური რეალობის გასაანალიზებლად დისკურსის კრიტიკული ანალიზისგან ჩვენ ვიღებთ ცალკეულ მეთოდებსა თუ ინსტრუმენტებს. რაც ჩვენს კვლევას უფრო სრულყოფილს ხდის.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ დისკურსის კრიტიკული ანალიზი იკვლევს კავშირებს ენასა და იმ სოციო-პოლიტიკურ კონტექსტებს შორის, რომელშიც ხდება ამ ენის გამოყენება. CDA შეიძლება შეიცავდეს დეტალურ ტექსტუალურ ანალიზს და შემდეგ გადაინაცვლოს მონაცემების ახსნასა და ინტერპრეტაციაზე (Paltridge 2012, 186). თანამედროვე სამყაროში ადამიანებს არ აქვთ სრული თავისუფლება ისაუბრონ და წერონ ის რაც, სადაც, როგორც და ვისთანაც უნდათ. მასები იმართებიან გარკვეული ინსტიტუციონალური ცოდნით, ან ძალაუფლების მქონეთა მიერ. უფრო მეტიც

ძალაუფლების არ მქონეებს სიტყვასიტყვით ეუბნებიან „სათქმელი არაფერია“, არავინ ილაპარაკოს, ან უნდა გაჩუმდეს როცა ძალაუფლების მქონეები საუბრობენ, ... უმეტესი ფორმალური, საჯარო ან ბეჭდური დისკურსის ტიპებში (მათ შორის მასმედიაში) ნაკლები ძალაუფლების მქონეები, როგორც წესი, არიან მხოლოდ რეციპიენტები. (van Dijk 2008, 31)

და ეს ხდება მაშინ, როცა

ძალაუფლების მქონე ჯგუფები და მათი წევრები აკონტროლებენ ან აქვთ წვდომა დისკურსული როლების, ჟანრების, სტილების და საქმიანობების სულ უფრო ფართო და მრავალფეროვან დიაპაზონზე. (იქვე)<sup>13</sup>

კრიტიკული დისკურსის ანალიზი ენის საშუალებით სწორედ სოციალურ იერარქიასა და ძალაუფლებას შეისწავლის. CDA-ს კვლევის პროცესში მნიშვნელოვანია თეორიული და ემპირიული მასალების ერთობლივი კვლევა და ისტორიული ფონის გათვალისწინება. ამ მეთოდით მკვლევარი ცდილობს გამოაშკარაოს სოციალური პრობლემები, აჩვენოს ხალხს ის რეალური

---

• <sup>13</sup> (van Dijk 2008, 31)

მნიშვნელობა რასაც ტექსტი ეხება, ასევე გაანალიზოს სოციალურ მოვლენებში, ტექსტებსა თუ დისკურსებში გამოვლენილი ძალაუფლების ფორმები და ადამიანებს მისცეს მოტივაცია ებრძოლონ ძალთა დისბალანსს, უსამართლობასა და არადემოკრატიულ პრაქტიკას.

კვდას მიზანია შეისწავლოს საანალიზო ტექსტისა და სოციო-კულტურული სტრუქტურების ურთიერთმიმართებები. სოციალურ გარემოსთვის დისკურსის როლის გამოვლენა შესაძლებელია მხოლოდ ანალიზის მეშვეობით (Fairclough 2001, 234). ეს იმას ნიშნავს, რომ ის არ არის თავისთავად ნათელი ან იმთავითვე ექსპლიციტური მოვლენა. სოციალურ გარემოში დისკურსის გამოვლენას სჭირდება საფუძვლიანი ანალიზი. დისკურსის კრიტიკული ანალიზი არის მძლავრი რესურსი, სხვა რესურსებთან ერთად, რეალობაში მიმდინარე ცვლილებების საანალიზოდ (Fairclough 2001, 229). სოციალური რეალობა და მასში მიმდინარე ცვლილებები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტექსტებში აისახება. ამდენად, ყველა ტექსტის საფუძველს წარმოადგენს ნორმები და ღირებულებები, რომლებიც უფრო ხშირად „ხედვის მიღმა“ და დაფარული რჩება. კრიტიკული დისკურსის ანალიზის მიზანია გამოავლინოს ყურადღების მიღმა დარჩენილი ან დაფარული ღირებულებები და პოზიციები (Paltridge, 2012, 186).

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სოციალურ ინსტიტუტებს გააჩნიათ სოციალური კონტროლის მექანიზმები, გამომდინარე აქედან, აღნიშნულ ინსტიტუტებს აქვთ შესაძლებლობა საზოგადოებაში შეინარჩუნონ „კონსესუსი“. აღნიშნულმა კონცეპტმა შემდგომში შეიძინა კონფორმულობის მახასიათებლები და დომინირების ელემენტები. საზოგადოების ხელში სოციალური კონტროლი გახდა მექანიზმი, რომელიც თავისი ჯგუფის წევრების კონფორმულობის ხარისხის განმსაზღვრელი და ქცევის მარეგულირებელია.

სოციალური კონტროლი არის ნაკრები იმ მატერიალური და სიმბოლური რესურსებისა, რომლებსაც განკარგავს საზოგადოება, რათა უზრუნველყოს მისი

წევრების ქცევების შესაბამისობა აღიარებულ, დადგენილ წესებსა და პრინციპებთან (Boudon & Bourricaud 1989, 331).

პარსონსმა სოციალური კონტროლი თარგმნა, როგორც “Herrschaft” (ინგლ. Domination), მაქს ვებერი კი მუდმივად იყენებდა ტერმინს „imperative control” (იმპერატიული/მბრძანებლური კონტროლი) (Boudon, Bourricaud 1989, 330). სოციალური კონტროლის პროცესში ხდება დევიანტური ქცევისთვის წინააღმდეგობის გაწევა. პარსონსის მიხედვით, დევიაცია ეს არის აგენტის ქცევა მიმართული ინსტიტუციონალიზებულიად ნორმირებული შაბლონების საწინააღმდეგოდ (Parsons 1991, 169). როდესაც ჯგუფი რომელიმე წევრს გარიცხავს ეს ნიშნავს, რომ ის დელიქვენტად, გარიცხვის მიზეზი კი დევიაციდ აღიქმება.

დელიქვენტობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც სოციალური სისტემების ნორმების შესაბამისი ქცევის წარმოებისას პერსონალური და სოციალური კონტროლის კრახის ქცევითი შედეგი, რომლებსაც თან ახლავს დისციპლინური სანქციები. (Reiss 1951, 196)

დევიაციას ან დევიანტურ ქცევას შედეგად ყოველთვის არ მოჰყვება დანაშაულის ჩადენის აქტი. ამრიგად, დევიაცია შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ქცევა, რომელიც წინააღმდეგობაშია საზოგადოდ მიღებულ ნორმებთან თუ ღრუბულებებთან. დევიაცია, შესაძლოა გახდეს ცვლილებების საფუძველიც, მაგალითისთვის ლიტერატურულმა დელიქვენტობამ შესაძლოა შექმნას ახალი მიმდინარეობები და ლიტერატურული ჟანრები.

### 2.3. მედია-ანალიზი

დეფლორი და დენისი აღნიშნავენ, რომ თანამედროვე ადამიანის ცხოვრების კვლევა მედიის როლის გათვალისწინების გარეშე წარმოუდგენელია. დღევანდელობაში ადამიანები დამოკიდებულნი არიან მედიის არსებობაზე,

მედიის პროდუქტსა და მედიაკონტენტზე (დეფლორი, დენისი 2009, 5). ეს შეხედულება ეხება ქართულ რეალობასაც, ამას ადასტურებს საქსტატის<sup>14</sup> მიერ 2020 წლის ივლისში ჩატარებული ბოლო კვლევის ანგარიში, შინამეურნეობაში ინტერნეტის გამოყენების ძირითადი მიზნების შესახებ. მონაცემებიდან ჩანს, რომ რესპოდენტების თითქმის უმრავლესობა 95,2 % ინტერნეტს ძირითადად სოციალური ქსელებისთვის იყენებს. განსხვავება მცირეა ასაკს შორისაც, 15-29 წლის რესპოდენტთა 98,6 %, 35-59 წლის 96,2 % და 60 წლის და უფროსი ასაკის 83,6 % ინტერნეტს ძირითადად სოციალური ქსელებისთვის იყენებენ.<sup>15</sup> შესაბამისად, ინტერნეტის მომხმარებლები სოციალური ქსელების მეშვეობით ყოველდღიურად ეცნობიან არაერთ მედიაკონტენტს. თონ ვან დეიკის მიხედვით, თანამედროვე სამყაროში წარმოებული მედიაკონტენტები უფრო მეტად იდეოლოგიურ ხასიათს ატარებს, ვიდრე ინფორმაციულს. იდეოლოგია კი იმ პრინციპების, ნორმებისა და ღირებულებების ერთიანობაა, რომლებიც განსაზღვრული ჯგუფების ინტერესთა რეალიზაციისა და ლეგიტიმაციისთვის გამოიყენება (van Dijk 2010, 115). ამრიგად, თანამედროვე მედიაკონტენტი დომინანტი დისკურსის მანიპულაციური რეალიზაციის საშუალებასაც წარმოადგენს.

ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანია მასმედიის კულტურული თეორია, ვინაიდან მედიატექსტების სრულად კვლევა სწორედ ამ მიდგომის ფარგლებშია შესაძლებელია. დენის მაქუეილს აქვე შემოაქვს მასაუდიტორიის (mass audience) ცნება. იგი არ წარმოადგენს არც ბრბოს, არც რაიმე სახის ჯგუფს და არც უბრალოდ საზოგადოებას. მასაუდიტორია ეს არის ერთმანეთისთვის უცნობი ადამიანების ჰეტეროგენულ-დისპერსიული ერთობა, რომლებსაც ერთმანეთთან მასპროდუქტი

---

<sup>14</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

<sup>15</sup> <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/106/sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebis-gamoqeneba-shinameurneobebshi>

აერთიანებთ (McQuail, 2010, 53-54). ადამიანების, რომლებიც ხშირად მოიხმარენ სოციალურ ქსელებს, სწორედ მასაუდიტორიად გვევლინებიან.

სოციალური ქსელები ქმნიან ელექტრონული დისკურსებს. ამდენად, მედიის კვლევა შეუძლებელია განხორციელდეს დისკურსული ანალიზის გარეშე. ჰერინგის მიხედვით, ელექტრონული დისკურსი არის ტექსტური მეტყველების სახეობა. მკვლევარი შეტყობინებას, რომლის წაკითხვაც მყისიერად ხდება სინქრონულს<sup>16</sup> უწოდებს, ხოლო იმას რისი წაკითხვაც მოგვიანებით ხდება ასინქრონულს<sup>17</sup> (Herring 1996, 1). ჩვენთვის აქედან მნიშვნელოვანი ის არის, რომ პირადი მიმოწერაც, კომენტარებიც, ფორუმზე განხილვებიც და ა.შ. ატარებენ დისკურსულ ხასიათს და შესაბამისად მათში დისკურსების ამოკითხვა შესაძლებელია. ვიზუალური მასალები, რომელსაც განეკუთვნება მედიაანალიზის სფეროც, საზოგადოების რეპრეზენტაციას წარმოადგენენ. ამდენად, მათი შესწავლა მნიშვნელოვანია იმ ფაქტორების დასადგენად, რის გამოც გარკვეული სახის ლიტერატურა ეპატაჟურად მიიჩნევა და საზოგადოების გარკვეული ნაწილის პროტესტს იწვევს.

## 2.4. შინაარსის მიმართებითი ანალიზი და მონაცემთა კოდირება

კომუნიკაციის პროდუქტების გამოკვლევისას, რასაც განეკუთვნება მედია ტექსტები, კონტენტანალიზი ყველაზე ხშირად გამოყენებადი კვლევის მეთოდია. მსგავსი პოპულარობის მიზეზი კი ის ვალიდური, მყარი და სანდო შედეგებია, რომელიც მიიღება ამ მეთოდის გამოყენების შედეგად. რელაციური

---

<sup>16</sup> IM (instant messaging) ე.წ. სწრაფი შეტყობინება (მაგ. ჩატი)

<sup>17</sup> მაგ. მეილები, ბლოგპოსტები, ვებგვერდები და ა.შ.



კონტენტანალიზი მკვლევრის ყურადღების მიღმა არ ტოვებს ტექსტის თუნდაც მცირე ელემენტსაც კი, ამდენად, შინაარსის საკვლევად რელაციური კონტენტანალიზი ერთ-ერთი ყველაზე მოხერხებული და სანდო მეთოდია. კონტენტანალიზი რეფლექსიურ მიდგომას განეკუთვნება, რაც საშუალებას მოგვცემს დავაკვირდეთ და ამავდროულად ვიკვლიოთ ის დისკურსები, რომლებიც ექსპლიციტურად თუ ლატენტურად დევს სოციალური ქსელის მომხმარებელთა საუბრებში, დისკუსიებში, კომენტარებში, რეცენზიებში, ბლოგებში თუ ა.შ.

კონტენტანალიზი წარმოადგენს პროცედურას, რომლის დროსაც ხდება ტექსტუალურად არსებული ინფორმაციის შინაარსის კვლევა, რათა მისი მნიშვნელობების ანალიზი შესაძლებელი გახდეს. ვინაიდან,

“... ტექსტს ვილაციისთვის გააჩნია რაღაც მნიშვნელობა. ტექსტი იწარმოება ვილაციის მიერ სხვა ვილაციისთვის, რათა მიენიჭოს მნიშვნელობები, ეს მნიშვნელობები სწორედ ამიტომ არ უნდა დარჩეს ყურადღების მიღმა... (Krippendorff 2004, 19).“

კონტენტანალიზი ეს არის კვლევითი ტექნიკა, რომელიც მონაცემებსა და მათ კონტექსტს შორის მყარ მიმართებებს ადგენს (იქვე)<sup>18</sup>. რობერტ ფილიპ ვებერის განმარტებით კი კონტენტანალიზი არის კვლევის მეთოდი, რომელიც იყენებს მთელ რიგ პროცედურებს, ტექსტიდან სწორი დასკვნების გამოსატანად. ეს დასკვნები ეხება, როგორც შეტყობინების ადრესანტებს, ასევე ადრესატებს და თავად შეტყობინებასაც (Weber 1990, 9). კონტენტ-ანალიზის პროცესში საანალიზო ტექსტებში არსებული სიტყვები გაცილებით მცირე მოცულობის კატეგორიებში ერთიანდება (Weber 1990, 15).

აღნიშნული მეთოდი ტექსტებიდან ან ნებისმიერი მნიშვნელობის მქონე სხვა შინაარსიდან ცდილობს დასაბუთებული და სარწმუნო დასკვნების გამოტანას. კრიპენდორფის მიხედვით, კი ნებისმიერ სახის წერილობითი კომუნიკაციები

---

<sup>18</sup> Krippendorff 2004:19

არიან ტექსტები იმ გაგებით, რომ ისინი უნდა იყოს წაკითხვადი, ინტერპრეტირებული და აღქმული არა მხოლოდ ანალიტიკოსების, არამედ სხვათა მხრიდანაც (Krippendorff 2004, 30). კომენტარების, დისკუსიებისა და ნებისმიერი სახის მცირე ზომის ტექსტების ანალიზი, მიუხედავად მოცულობისა შესაძლებელია მედიატექსტების კვლევის ნებისმიერი მეთოდით, მათ შორის კონტენტანალიზის მეთოდითაც. კონტენტანალიზით შესაძლებელია ნებისმიერი სახის ტექსტისა თუ წერილობით მასალის დამუშავება. ეს კვლევითი მიდგომა მნიშვნელოვანია იმდენად რამდენადაც მისი გადამოწმება მარტივადაა შესაძლებელი, მაგალითისთვის კოდებისა და კატეგორიების გამოყენებით, ანუ მას გააჩნია სანდოობის მაღალი ხარისხი.

არსებობს კონტენტ ანალიზის სამი სახეობა : სიხშირითი, რელაციური და სინთეზური. სიხშირითი კონტენტ ანალიზის შემთხვევაში ის გამოიყენება, როგორც რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ისეთი ცვლადების ანალიზი როგორცაა სიხშირე, კორელაცია, სტატისტიკური კორელაცია და ა.შ. რელაციური კონტენტანალიზი სიხშირითი კონტენტანალიზის საპირისპიროდ გამოიყენება, როგორც თვისებრივი კვლევის მეთოდი. რელაციური კონტენტანალიზის დროს ხდება ტექსტის სიმბოლოების ანალიზი, მათი დეკოდირება, კონტექსტის ინტერპრეტაცია და ა.შ. სიხშირითი კონტენტ ანალიზის შემთხვევაში, თუ კვლევითი მიდგომა დედუქციურია, რელაციური კონტენტანალიზი იყენებს ინდუქციას, კოდირების სქემა მუშავდება უშუალოდ ანალიზის პროცესში და არა მანამდე. რელაციური კონტენტანალიზის მიზანს წარმოადგენს ტექსტის ინტერპრეტაცია და ახსნა. სინთეზური კი როგორც თვისებრივ, ასევე რაოდენობრივ კვლევის მეთოდებს იყენებს. ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანია კონტენტანალიზის რელაციური სახეობა (White & Marsh 2006, 34-37). თვისებრივი, რელაციური კონტენტანალიზი საშუალებას მოგვცემს ტექსტის გარკვეული ერთეულები რამდენიმე კატეგორიას მივაკუთვნოთ. მედიატექსტების ანალიზის პროცესში გამოვიყენებთ შინაარსობრივ კორელაციას, რომელსაც

მივანიჭებთ ნომინალურ კოდებს. აღნიშნული მეთოდი შეესაბამება რელაციური კონტენტანალიზსაც. გამომდინარე აქედან, მნიშვნელოვანია განვმარტოთ თუ რას ნიშნავს იგი.

კოდირება წარმოადგენს კონტენტანალიზის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. კოდირების პროცესში საანალიზო სიტყვები ან ტექსტის ნაწილები მიეკუთვნებიან იმ კატეგორიებს, რომელთა საშუალებითაც ხდება მათი ანალიზი. კოდირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პროცესია რელაციური კონტენტანალიზის შემთხვევაში. კოდირების დროს იქმნება გარკვეული სახის საოპერაციო ერთეულები, რომელთა საფუძველსაც შინაარსობრივი კორელაციები და ჩანაცვლება წარმოადგენს. შინაარსობრივი კორელაციის შემთხვევაში კოდირება ხდება თავად ტექსტში არსებული ტერმინებით, ხოლო ჩანაცვლების შემთხვევაში საოპერაციო ერთეულთა კატეგორიზაცია ურთიერთჩანაცვლების დაშვების ფონზე ვითარდება. კოდირების პროცესში გამოვიყენებთ შინაარსობრივი კორელაციის მოდელს, რაც საშუალებას მოგვცემს მედიატექსტების ინტერპრეტაცია ტექსტშივე არსებული ტერმინებიდან გამომდინარე მოვახდინოთ. ე.ი. არ მოგვიწევს საოპერაციო ერთეულების შერჩევა ტექტებს მიღმა ასოციაციური კავშირების მოძიებით. ეს მიდგომა დაგვეხმარება ტექსტის ავტორის განზრახვის ადეკვატურ ინტერპრეტაციაში. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ადამიანის ცნობიერებაში არსებული კოდების გამოყენებით ხდება რთული მენტალური სქემის აგებ. ეს მენტალური სქემები ენაში ლატენტური შინაარსის მქონე გამონათქვამებად ფორმულირდება. ამდენად, არსებობს როგორც მკვეთრად ექსპლიციტური, ასევე იმპლიციტური შინაარსის მატარებელი კოდები, რომელთა დეკოდირებისა და ანალიზის საუკეთესო საშუალებად ფრეიმინგი გვევლინება.

## 2.5. ფრეიმინგი

კონტენტანალიზის პროცესში სწორედ ფრეიმინგის თეორიას გამოვიყენებთ. მასკომუნიკაციაში აღნიშნული თეორია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ხშირად გამოყენებადი მიდგომაა. ჩარჩოს/ფრეიმის კონცეფცია - არის ტრანსტექსტუალური ანალიზის დონე. ტრანსტექსტუალური ანალიზის პროცესში ხდება სხვადასხვა გამონათქვამებსა თუ კონტექსტის მქონე ტექსტებში მიმართებებისა და მსგავსებების კვლევა. სიტყვა „ფრეიმი“ იგივე ჩარჩო, ტექსტს რაღაც კონკრეტული შინაარსით შემოსაზღვრას. ჩარჩოები შემოწერენ ტექსტებს, გვეუბნებიან რა არის მნიშვნელოვანი და რა უნდა გავანალიზოთ. ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანია ის თუ რა ჩარჩოები იკითხება კონტენტ-ანალიზის პროცესში, რაც დაგვეხმარება ერთი მხრივ, დავინახოთ თუ როგორია ლიტერატურის რეცეფციის პროცესი საზოგადოებაში და მეორე მხრივ, გავანალიზოთ თუ რა იწვევს საანალიზოდ აღებული ტექსტების მიმართ ეპატაჟურ დამოკიდებულებას.

რობერტ ენთმანის მიხედვით, მედიაკონტენტებში ხშირად ვაწყდებით ცალმხრივი ფრეიმინგის მაგალითებს, როცა სიმართლის სრულად ჩვენება არ ხდება, შერჩეულია რეალობა, რომელიც ნაწილობრივ რეალიზდება მედიატექსტში. ფრეიმები საკუთარ ტექსტებში რეალობის მხოლოდ გარკვეულ ასპექტებს ასახავენ და სხვა ასპექტებს გადაფარავენ (Entman 1993, 52). ცალმხრივი ფრეიმინგის დროს კი ხდება ფავორიტი მხარის შეხედულებების ჩვენება (Entman 2010, 392). ფრეიმინგი განსაზღვრავს იმას, თუ რა შინაარსობრივი დატვირთვა მიენიჭება მოვლენებს. ფრეიმები ზემოქმედებენ სუბიექტების შეხედულებებზეც და მათ ყურადღებას მიმართავენ კონკრეტულ საკითხებზე ან უბიძგებენ გარკვეული შეხედულებების ჩამოყალიბებისკენ. ისინი განსაზღვრავენ რეციპიენტთა ქცევებსა და მათ ატიტუდებს (Chongand, Druckman 2007, 101). ასევე იმას, თუ როგორ ინტერპრეტაციას მიანიჭებენ რეციპიენტები სხვადასხვა სახის ამბებს.

ფრეიმინგის სწორედ იმ მიზანს ემსახურება, რომ დაადგინოს, თუ რა ინტერპრეტაციითა და როგორაა გადააზრებული გარკვეული სახის მოვლენა, თუ ამბავი. სტიგმატიზაციც, სწორედ ცალმხრივი ფრეიმების მეშვეობით ხდება. მოვლენებს სწორედ ფრეიმები ანიჭებენ მნიშვნელობებს, ისინი გადმოსცემენ საზოგადოების მიერ აღიარებულ პრინციპებს, რომლებიც სამყაროს მოწყობაში და საზოგადოებრივი რეალობის კონსტრუირებაში მონაწილეობენ. ფრეიმები ქმნიან გააზრებისთვის საჭირო სემანტიკურ მოდელებს, რომლებიც სიღრმისეულად იაზრებენ იმას, რასაც ტექსტის საშუალებით გადმოგვცემს მეტყველი, გამხმოვანებელი სუბიექტი. მეტყველი სუბიექტი აგებს კონსტრუქციებს ტექსტში, რათა გადმოსცეს მნიშვნელობები. რეციპიენტი კი ცდილობს მათ გაშიფრვას რათა ზუსტად აღიქვას ის კონტექსტი, რის გადმოცემასაც ტექსტი ემსახურებოდა (Fillmore 1982, 120).

ფრეიმინგის შეტყობინებები, როგორც წესი, ძლიერ კულტურულ რეზონანსს იწვევს, რადგანაც რეციპიენტს ის ახსენებს წარსულში შენახული კონცეპტების ახლანდელიობასთან შესაბამისობას ან შეუსაბამობას. ენთმანი ფრეიმებს აიგივებს საკვანძო სიტყვებთან და აღნიშნავს, რომ ფრეიმინგი რეალობის გარკვეული საკითხების წინ წამოწევას გულისხმობს (Entman 2009, 177). ფრეიმთა ერთობლიობა გარკვეული სახის ქსელს ქმნის, რომლებიც კვანძებისა და ამ კვანძებს შორის მიმართებებისგან შედგება. ამ ქსელში არსებული თითოეული კვანძი გარკვეული სახის ცნებას აღნიშნავს (Yule 1996, 85-87)

ენტმანი აყალიბებს ფრეიმის კონცეფციას (Entman 1993, 52), რომლის მიხედვითაც ფრეიმები ახდენენ :

- პრობლემის იდენტიფიკაციას, ე.წ. საკვანძო სიტყვების მეშვეობით.
- პრობლემის გამომწვევი მიზეზების განსაზღვრას
- ზნეობრივ შეფასებას
- რეკომენდაციებს

ენტმანი აქვე აღნიშნავს, რომ არ არის აუცილებელი ყველა ტექსტში ფრეიმინგის ოთხივე ფუნქცია ჩანდეს ან მკვლევარმა ყველა გამოიყენოს (იქვე), ამდენად ჩვენთვის პირველი ორი ფუნქციაა მნიშვნელოვანი, რომელიც პრობლემის განსაზღვრასა და მიზეზების დადგენაში დაგვეხმარება. ენტმანს მიაჩნია, რომ კულტურა ფრეიმების მარაგია, ზუსტად კი

კულტურა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ემპირიულად დემონსტრირებადი საერთო ფრეიმების ნაკრები, რომლებიც მულავენდება დისკურსასა და სოციალურ გაერთიანებებში მყოფი ადამიანების აზროვნებაში (Entman 1993, 53).

გამომდინარე აქედან, საზოგადოებრივი აზრისა და დისკურსების კვლევა, შესაძლოა, გაიგივდეს კულტურის კვლევასთან ან მის განუყოფელ ნაწილად იქცეს.

მედიის მხრიდან მიწოდებული ფრეიმების გაუაზრებლად მიღება ახასიათებს საზოგადოების იმ მასას, რომელსაც კონკრეტული საკითხის შესახებ არასაკმარისი ცოდნა გააჩნია. თუ რეციპიენტებში ჯერ არ არის ჩამოყალიბებული ასოციაციები, მაშინ ახალ ამბებსა და მედია პროდუქტებში არსებული ფრეიმები რეციპიენტებში აყალიბებენ ახალ ასოციაციებს. ფრეიმინგის გამოყენებით ჩვენ დავადგენთ თუ რომელ ფაქტებზეა აქცენტი გაკეთებული, რომელია უგულვებელყოფილი და რა კონტექსტითაა სიტყვები გადმოცემული. აქედან გამომდინარე, სწორედ ფრეიმები გვკარანხობენ რა არის გამხმოვანებელი სუბიექტისთვის მნიშვნელოვანი და რას უნდა მივაქციოთ ყურადღება ანალიზის პროცესში. ფრეიმებს ყოფენ, როგორც დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ცვლადებად. ნებისმიერ შემთხვევაში ფრეიმები შეისწავლიან სოციალურ დისკურსში ჩარჩოების ფორმირების პროცესსა და სოციალურ ელიტებში მათ მიმღებლობას. საზოგადოებაზე ფრეიმინგის ეფექტი დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე როგორცაა კულტურული კონტექსტი, ნორმები და ღირებულებები. დრაკმანის მიხედვით, ფრეიმინგის ეფექტის გამოყენება მაშინაა ღირებული, როდესაც გვინდა აღვწეროთ რაიმე საკითხი ან რაიმე სახის მოვლენა. ფრეიმის ეფექტთან კი საქმე მაშინ გვაქვს, როცა საკითხის ან მოვლენის აღწერისას მომხსენებლები ხაზს უსვამენ პოტენციურად მნიშვნელოვან

მოსაზრებათა ქვეჯგუფებს, რომელზე დაყრდნობითაც ინდივიდებმა უნდა ააგონ საკუთარი მოსაზრებები (Druckman 2001, 1042). იმ შემთხვევაში კი, როცა საქმე გვაქვს აუდიტორიასთან, რომელიც საკითხს კარგად არ იცნობს, მაშინ სწორედ მომხსენებლების, გამხმომავანებელი სუბიექტების მოსაზრებები ხდება სიტუაციაში გარკვევის საშუალება, რაც მათ მოსაზრებებს არაობიექტურს ხდის და მზა სააზროვნო პატერნების უპირობო მიმღებლებად აქცევს.

ფრეიმინგის თეორიაზე დაყრდნობით ჩვენ შევძლებთ სოციალურ ქსელებში არსებულ კონტენტებში გამოვავლინოთ საანალიზო ტექსტების გარშემო არსებული ტენდენციები, რომელთა დეკოდირების საშუალებითაც გავაანალიზებთ საზოგადოებაში მიმდინარე ლიტერატურული რეცეფციის პროცესსაც.

ჩარჩოს ასევე უწოდებენ ფიქსირებულ, სტატიკურ სქემებს. ეს სქემები, ანუ ჩარჩოები გაზიერებულია სხვადასხვა ჯგუფის წევრების მიერ (Yule 1996, 85). იულებს დისკურსის ანალიზისა და ჩარჩოების უკეთ გასაგებად მოჰყავს სახლის ქირავნობის მაგალითი. როცა ინდივიდს სურს იქირაოს სახლი, მას გონებაში წინასწარვე აქვს სქემები, რომლებიც ცნება „სახლს“ უკავშირდება. სახლს უნდა გააჩნდეს შემდეგი სახის აუცილებელი კომპონენტები, როგორცაა საძინებელი, სამზარეულო, საპირფარეშო, სააბაზანო. თუმცა არის შემთხვევები, როცა განცხადებებში არ არის ღიად მოცემული აქვს თუ არა ეს კომპონენტები სახლს. ქირავნობის მსურველი გონებაში ქმნის „სახლის“ სქემებს, ყველა აუცილებელი კომპონენტით. ბინის მფლობელი, ავტომატურად გულისხმობს, რომ მკითხველი, როცა წაიკითხვას განცხადებას „ვაქირავებ ბინას, 500 დოლარად“, შეავსებს გამოტოვებულ; ინფორმაციას და მიხვდება, რომ 500 დოლარი არის ერთი თვის და არა მაგალითად ერთი წლის ღირებულება. მსგავსი ბუნდოვანი განცხადებები ქმნიან გაუგებრობას, ვინაიდან შეიძლება ქირავნობის მსურველმა ჩათვალოს რომ 500 დოლარი არის ბინის ერთი კვირის ან ერთი წლის ღირებულება. ამ

შემთხვევაში, საქმე გვაქვს განსხვავებულ სააზროვნო ჩარჩოებთან ანუ განსხვავებულ სააზროვნო სქემებთან. იული ამ მაგალითით აჩვენებს, რომ შესაძლოა სხვადასხვა ინდივიდების მიერ დისკურსი განსხვავებულად ინტერპრეტირდეს. ეს დამოკიდებულია სააზროვნო სქემებზე. იული დინამიურ სააზროვნო სქემებს სკრიპტებს უწოდებს (Yule 1996, 86). სკრიპტი წარმოადგენს სუბიექტის წინარე ცოდნის სტრუქტურას, რომელიც მოვლენათა ჯაჭვებისგან შედგება. როგორც წესი მოვლენები სწორედ სკრიპტების მეშვეობით ინტერპრეტირდება. ზოგადად მიიჩნევა, რომ როცა ინდივიდი კომუნიკაციაში მონაწილეობს, მან იცის კონტექსტებში არსებული სკრიპტების შემადგენელი ელემენტები. აქედან გამომდინარე, კომუნიკაციის პროცესში ხშირად სკრიპტების ყველა დეტალს ღიად არ აფიქსირებენ, ისინი იგულისხმებიან. საერთო კულტურის მქონე ადამიანებში არსებობს თანაზიარი სკრიპტები, რომლებიც მათ საშუალებას აძლევს გამოთქვან უფრო მეტი ინფორმაცია, იმ შემთხვევაშიც კი როცა ღიად არ არის მოცემული სკრიპტების ყველა დეტალი. თუმცა სხვადასხვა კულტურის მქონე ადამიანებში მსგავსი სახით კომუნიკაცია იმავე შედეგითა და ეფექტით შეუძლებელია. კომუნიკაციური გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა, რომ სუბიექტმა დაასახელოს სკრიპტის უმეტესი ელემენტი მაინც (იქვე). წინააღმდეგ შემთხვევაში ერთნაირი ფონური ცოდნის არ არსებობის გამო, კომუნიკანტები ინტერაქციის პროცესში სირთულეებს გადააწყდებიან. სწორედ ფონურ ცოდნაში არსებული სკრიპტები ქმნიან აღქმის სქემებს, რის საშუალებითაც ადამიანი სამყაროს და მასში მიმდინარე პროცესებს შეიმეცნებს. ამაზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ, თუმცა მნიშვნელოვანია აქვე აღვნიშნოთ, რომ სუბიექტთა ფონური ცოდნა, სამყაროს ახსნისა და აღქმის ჩარჩოები, კულტურით არის შემოსაზღვრული და მისითვე განისაზღვრება. იულია ამას „კულტურულ სქემებად“ მოიხსენიებს (Yule 1996, 87). კულტურული სქემები სუბიექტის გამოცდილებებითა და ცოდნით მიიღება. სკრიპტის ცნების ანალოგიურია ტოპოსის ცნებაც. შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში ტოპოსი



განისაზღვრება, როგორც ლიტერატურული მოტივი ან ტრივიალური ჭეშმარიტება. სოციალურ მეცნიერებებში კი ტოპოსი აღნიშნავს სააზროვნო პატერნებს. პატერნები არსებობენ სოციუმში და წარმოადგენენ საზოგადოებრივი ცოდნის მნიშვნელოვან ნაწილს (Knoblauch 2000, 658). ტოპოსები, შეიძლება ითქვას, რომ დისკურსული გამონათქვამების საკვანძო ელემენტებია. ვენგელერის მიხედვით, ტოპოსებში თავმოყრილია საზოგადოებრივი ცოდნა, რომელიც დისკურსების ფარგლებში ექსპლიციტურადაა გაცხადებული ან ლატენტური შინაარსის მქონე გამონათქვამებში ვლინდება (Wengeler 2007, 165).

სკრიპტებისა და ფონური ცოდნის არსებობა ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადც დაგვეხმარება ავხსნათ თუ რატომ განსხვავდება ქართული და ინგლისურენოვანი ლიტერატურული ეპატაჟი ერთმანეთისგან. ჩვენი კვლევის ფარგლებში რელაციური კონტენტანალზის პირობებში სხვადასხვა ფრეიმების ფარგლებში გავაანალიზებთ მოცემულ მნიშვნელობებს. გაანალიზებული იქნება როგორც აშაკარა, ასევე ლატენტური კონტენტის შემცველი ფრეიმები, რომელთა წარმოჩენაც ავტორის მიერ წინასწარ არ იყო განზრახული.

## 3. თვისებრივი კონტენტანალიზის შედეგები

### 3.1. კონტენტანალიზის პროცესის აღწერა

კონტენტანალიზის პროცესში გავიარეთ შემდეგი ეტაპები:

1. მონაცემები შევიყვანეთ AntConc-ის პროგრამაში (რათა არ გამოგვრჩენოდა თუნდაც ყველაზე მცირე საანალიზო ერთეული)
2. AntConc-ის საშუალებით განვსაზღვრეთ უარყოფის ლექსიკური ერთეულების ანალიზისთვის საჭირო ცვლადები და გამოვყავით კოდები
3. განვსაზღვრეთ უნივერსუმი - ე.ი. საკვლევი საკითხი შემოვსაზღვრეთ კონტექსტური ფრეიმებით
4. გენერალური ერთობლიობიდან გამოვყავით პოპულაციათა ჯგუფები, ე.ი. განვსაზღვრეთ თემასთან შესაბამისი საანალიზო ერთეულები, ფრეიმები (ე.ი. გამოვყავით სიტყვათა და ფრაზათა გარკვეული სახის სეგმენტები)
5. შევქმენით კოდირების ბარათი, რომელმაც საშუალება მოგვცა, წარგვემართა კოდირების პროცესი და დაგვედგინა კოდირების სანდოობის კოეფიციენტი.
6. შევქმენით ანალიტიკური კატეგორიები, რომლებსაც მივანიჭეთ ნომინალური კოდები. ეს ნომინალები თავად ტექსტშივე არსებულ სიტყვებსა და ფრაზებს წარმოადგენდნენ, რომლებიც მიღებულ იქნა დეტალური ტექსტუალური ანალიზის შედეგად.
7. ფრეიმები და კოდები ერთმანეთს დავუკავშირეთ, და ამისთვის გამოვიყენეთ შინაარსობრივი კოლერაციის მეთოდი.
8. რაკი ძალიან ბევრი საანალიზო ერთეული მივიღეთ, ანალიზის გამარტივების მიზნით მონაცემები შევკვეცეთ. გარკვეული კოდები, რომლებიც შინაარსობრივად მსგავს კატეგორიებს განეკუთვნებოდნენ, გავაერთიანეთ.

9. ამ კოდების თემატური ანალიზის პროცესში გამოვყავით წამყვანი ფრეიმები, განხორციელდა მათი ინტერპრეტაცია და კლასიფიცირდა უარყოფით/დადებით ფრეიმებსა და ამ ფრეიმებში ამოკითხული შესაბამისი დისკურსებისა და უარყოფითი ლექსიკური ერთეულების ფარგლებში.

კოდირების ბარათში ყურადღება გავამახვილეთ შემდეგ საკითხებზე:

1. რა სახის ფრეიმები თავს იჩენს რეცეფციის პროცესში? (ეს შეიძლება იყოს დადებითი, უარყოფითი, ამბივალენტური, ნეიტრალური და ა.შ.)
2. თითოეულ ფრეიმში რა სახის დისკურსების ამოკითხვაა შესაძლებელი?
3. როგორია მეტაფორები, რომელთა საშუალებითაც მოიხსენიებენ ეპატაჟურად აღიარებულ ლიტერატურას?
4. როგორია მეტაფორები, რომელთა საშუალებითაც მოიხსენიებენ ეპატაჟურად აღიარებულ ავტორებს?
5. სოციალური კონტროლის რომელი აგენტები წარმოჩნდება რეცეფციის პროცესში?
6. როგორია ეპატაჟური ავტორებისა და მათი ტექსტების წინააღმდეგ გამოკვეთილი სანქციები?
7. რა არის ის ლინგვისტური ხერხები, რომლებიც ჭარბობს რეცეფციის პროცესში?
8. რა ფუნქციას ასრულებს ლინგვისტური ერთეულები დისკურსულ დონეზე?

ფრეიმინგის თეორიის საშუალებით განვსაზღვრეთ ის ფრეიმები, რომლებშიც განთავსდა ეპატაჟურ ლიტერატურასთან დაკავშირებული დამოკიდებულებები. იმ მონაცემთა კოდირებამ, რომლებშიც შეკვეცის შემდეგ რამდენიმე კატეგორია გამოიყო, საშუალება მოგვცა, დავგენახა ზოგადი ტენდენცია იმის შესახებ, რომელ „ფრეიმებში“ თავსდება ეპატაჟური ლიტერატურისადმი დამოკიდებულება თანამედროვე ქართულ რეალობაში. მონაცემები განაწილდა ორ ზოგად —

პოზიტიურსა და ნეგატიურ ფრეიმში. თითოეულ ფრეიმში გამოიყო ის დისკურსები და კონტექსტები, რომლებიც შესაბამის ფრეიმში იკითხება.

### 3.2. უარყოფითი ფრეიმები

კონტენტანალიზის შედეგად გამოიკვეთა ორი ზოგადი ფრეიმი, უარყოფითი და დადებითი ფრეიმები, რომლებიც საკითხს ორ უკიდურეს პოლუსზე ათავსებენ. შუალედური, ნეიტრალური ან ამბივალენტური დამოკიდებულებები არ შეინიშნება. რაც ნიშნავს იმას, რომ დამოკიდებულებები ლიტერატურული ეპატაჟის მიმართ მკვეთრად პოლარიზებულია.

კონტენტანალიზის პროცესში მნიშვნელოვანია ეპატაჟური ტექსტების ლიტერატურული ღირებულების საკითხი. ის ფაქტი, რომ მსგავსი ტექსტები მოწონებას არ იმსახურებენ, მიიჩნევა თავად ეპატაჟური ტექსტების ლიტერატურული ღირებულებიდან გამომდინარე ფაქტორად: „ეს არის არანაირი ლიტერატურული ღირებულებით დატვირთული პროზა.“<sup>19</sup> მიიჩნევა, რომ სწორედ ლიტერატურული ღირებულების არმქონე წიგნების გავრცელების გამო „ბნელდება“ საზოგადოება. ამ „დაბნელების“ საფუძველს კი თავად ეპატაჟური ტექსტის ავტორები წარმოადგენენ. შესაბამისად, როცა მათ მიმართ სიძულვილის ან შეურაცხყოფის შემცველი კომენტარები იწერება, ეს თავად ამ ავტორების ბრალეულობაა. ეს მოსაზრება გარკვეული სახით ეპატაჟური ლიტერატურის ავტორებს საზოგადოების მანკიერებებზე პასუხისმგებლობას აკისრებს.

ხალხს თუ მწერლები ლიტერატურულად ღირებულ, ნამდვილ წიგნებს არ სთავაზობენ ხალხიც ბნელდება თანდათან... და რადგან ამ დაბნელების საფუძველი

<sup>19</sup><http://arilimag.ge/%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%94-%E1%83%93%E1%83%94%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%9A%E1%83%9D/>

თვითონ „მწერლები“ არიან (ვინც თავის თავს მწერლებს უწოდებენ), ხალხთან რა პრეტენზიები აქვთ.....<sup>20</sup>

ერეკლე დეისაძე თავისი კრებულის შესახებ *საიდუმლო სირობა* ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ მის მოთხრობებს ამ კრებულში დიდი ლიტერატურული ღირებულება არ გააჩნიათ: „დღემდე იმ 90-გვერდიან ბროშურაზე საუბრობენ, რომელიც ლიტერატურული თვალსაზრისით დიდ ღირებულებას არ წარმოადგენს.“<sup>21</sup>

ლიტერატურული ღირებულების პარალელურად გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა ავტორი თავის შემოქმედებასთან არის გაიგივებული. პირველ პირში დაწერილი ეპატაჟური მოთხრობები მკითხველში ტოვებს განცდას, რომ ავტორი ჰყვება თავის ამბავს. ძნელია იმაზე მსჯელობა, იქნებოდა თუ არა ნაკლებ სკანდალური, მაგალითად, ერეკლე დეისაძის *საიდუმლო სირობა* მესამე პირში რომ დაწერილიყო, თუმცა ეს ნაკლებად სავარაუდოა, რადგან ეს მხოლოდ ერთ ფაქტორს ჩამოაშორებდა ამ მოთხრობას იმ ნეგატიური ნარატივებიდან, რომლებიც ამ ტექსტის გარშემო უხვად არსებობს. სავარაუდოდ ტექსტი მაინც ეპატაჟური გამოვიდოდა. ფაქტი კი ერთია, მკითხველები ხშირად ტექსტებს ავტორებთან და მათ ბიოგრაფიასთან აიგივებენ: „საიდუმლო სირობა თავის ცხოვრებაზეა.“<sup>22</sup>

„წერა თვითგანწმენდის ერთ-ერთი საშუალებაა.“<sup>23</sup> / „ჩინური საქონლის მსგავსად, ყველას გადაგდებულ ნაგავს ნამდვილად ვერ დავიგროვებ ტვინში“<sup>24</sup> — ეპატაჟური ლიტერატურა მიიჩნევა ნაგვად და თვითგანწმენდის საშუალებად. ზემოთ მოყვანილი ციტატები *საიდუმლო სირობას* და მის ავტორს მიემართება. აქ

<sup>20</sup> <https://kvirispalitra.ge/article/18626-datho-gorgiladze-qtsignebis-datsva-erotiuli-pasazhebis-gamo-khalkhis-sibneleze-miuthithebsq/>

<sup>21</sup> <http://geworld.ge/ge/3719/>

<sup>22</sup> <https://www.facebook.com/biblusi.ge/photos/a.392844352863/10155209937767864/>

<sup>23</sup> <http://arilimag.ge/%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%94-%E1%83%93%E1%83%94%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%9A%E1%83%9D/>

<sup>24</sup> <https://forum.ge/?s=adc71ec90c1c99a7558c4019b6e7d02d&f=18&showtopic=34112852&st=0>

გადმოცემულ ამბებს საზოგადოება აიგივებს ავტორის ბიოგრაფიასთან, რომელსაც თითქოს სურს, წერით იმ ცოდვებისგან განთავისუფლდეს, რომელიც აწუხებს დედისა და დის მიმართ. მხატვრული ტექსტი არ უდრის ავტორის ბიოგრაფიას (თუ ტექსტი მემუარს არ წარმოადგენს, თუმცა აქაც არ არის აუცილებელი სრული სინამდვილის დაცვა, ვინაიდან მხატვრული ტექსტი არ ნიშნავს ისტორიოგრაფიას, რომელმაც ზუსტად უნდა გაითვალისწინოს რეალობა და ასახოს იგი). შეუძლებელია ამ აქსიომის შესახებ დავა, თუმცა მაინც უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ერეკლე დეისაძეს და საერთოდ არ ჰყავს, ამრიგად, ის ვერ მოჰყვებოდა ამბავს თავისი არარსებული დის შესახებ.

მხატვრული ტექსტი არამხოლოდ იგივდება ავტორის ბიოგრაფიასთან, არამედ მიიჩნევა, რომ ეპატაჟური ლიტერატურა ავტორის ტრავმული წარსულისა და ფსიქიკური აშლილობის პროდუქტია: „seriozuli fsiqikuri problemebi aqvs. albat ragac dzalian mdzime gadaitana, rac msgavs fiqrebsa da grdznobebs agudravs,“<sup>25</sup> „ძალიან მძიმედ არის ავად.“<sup>26</sup>

არსებობს კატეგორია სოციალური მედიის მომხმარებლებისა, რომლებიც თანხმდებიან, რომ ლაშა ბუღაძე ნამდვილად ნიჭიერი მწერალია, თუმცა ამავედროულად არსებობს „არაღვთისგან ბოძებული ნიჭიერება“<sup>27</sup>. ლაშა ბუღაძის ტექსტს ერეკლე დეისაძისგან განსხვავებით, არ უწუნებენ ლიტერატურულ ღირებულებას და მას ნიჭიერ მწერლად მოიხსენიებენ, თუმცა ეს ნიჭი ღვთისგან ბოძებულად არ მიიჩნევა, ამიტომ მისი ტექსტი საშიშად აღიქმება, ვინაიდან ბოროტის შთაგონებითაა დაწერილი, ისევე როგორც ლიტერატურული ეპატაჟის სხვა ნიმუშები.

„ცხოველური (გნებავთ, ინსტიქტური) ცნება ეპატაჟი ადამიანური ცნება მორალის პირდაპირპროპორციული და მხარდაჭერილია. აი ჩვენთან, მოაზროვნე

<sup>25</sup> <https://aniland.wordpress.com/2010/05/03/ek/>

<sup>26</sup> <https://forum.ge/?s=adc71ec90c1c99a7558c4019b6e7d02d&f=18&showtopic=34112852&st=0>

<sup>27</sup> <https://forum.ge/?f=29&showtopic=34070414>

ორფეხებთან კი, ერთი სრულიად გამორიცხავს მეორეს.“<sup>28</sup> — ამრიგად, ეპატაჟი მიიჩნევა მორალს გადაბიჯებულ ქმედებად, შესაბამისად ავტორები, რომლებიც ეპატაჟურ წიგნებს წერენ — ამორალურებად.

ხშირია ის ფაქტები, როცა არა მხოლოდ ავტორის ამორალურად გამოცხადება, არამედ მისი დეჰუმანიზაციაც ხდება. დეჰუმანიზაცია ადამიანების ძალადობრივ ქმედებებს ლეგიტიმაციას ანიჭებს. რეცეფციის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ იმ ტექსტებში, სადაც დეჰუმანიზაციის ტენდენციები შეინიშნება, შეურაცხყოფას, სიმულვილის ენას, მუქარასა თუ ძალადობისკენ მოწოდებას ყოველთვის წინ უსწრებს ავტორების დეჰუმანიზაციის ფაქტი. როგორც ჩანს, ადამიანებს უჭირთ, მიაყენონ სხვას ტკივილი ან შეურაცხყოფა, ვიდრე მას ყოველგვარ ადამიანურ სახეს არ ჩამოაშორებენ. დეჰუმანიზებული ადამიანის მიმართ კი შედარებით მარტივია აგრესიის გამართლებაც და გამოყენებაც. ისინი უფრო მარტივად ხდებიან ზიზღის ობიექტები, არა როგორც ადამიანები, არამედ საშინელი, დეგრადირებული არსებები: „Atana ar maq am arsebis“<sup>29</sup>. “დეგრადირებული არსება“<sup>30</sup>. დეჰუმანიზაცია ხშირად უკიდურეს ფორმასაც იღებს და ადამიანის გასაგნებას იწვევს: „რა დეისაძე? ვინ კი არა რა.“<sup>31</sup>

ერთ-ერთი რიტორიკული შეკითხვა კი შემდეგნაირად ჟღერს: „რა განსხვავებაა ადამიანსა და განვითარებულ ცხოველს შორის?“<sup>32</sup> ეს კონკრეტული კითხვა, ბუნებრივია, ემსახურება ეპატაჟური ლიტერატურის ავტორების დეჰუმანიზაციას და მათ მოიაზრებს არა ადამიანებად, არამედ განვითარებულ ცხოველებად.

---

<sup>28</sup> <http://demo.ge/index.php?do=full&id=512>

<sup>29</sup> <https://www.facebook.com/biblusi.ge/photos/a.392844352863/10155209937767864/>

<sup>30</sup> <https://www.facebook.com/biblusi.ge/photos/a.392844352863/10155209937767864/>

<sup>31</sup> <https://www.facebook.com/biblusi.ge/photos/a.392844352863/10155209937767864/>

<sup>32</sup> <https://kvispalitra.ge/article/18626-datho-gorgiladze-qtsignebis-datsva-erotiuli-pasazhebis-gamo-khalkhis-sibneleze-miuthithebsq/>

„ღორი, მაგრამ ღორს რას ვერჩი“<sup>33</sup>. „ყვავიი!!! დაგვჩხავის აქ თავის ბინძურ აზრებს“<sup>34</sup>  
„sacodavi gamura xar !!! verc qartvelob ... \*\*\*\*“<sup>35</sup> — ზოომორფული ხატების გამოყენება დეჰუმანიზაციის კიდევ ერთი მაგალითია. აქვე აშკარავდება, რომ ქართველობა მხოლოდ ეროვნული მარკერი არ არის. მას სჭირდება მორგება და გათავისება, რათა ქართველმა „ქართველოს“. ქართველობა კი ნიშნავს იმ ნორმების შესრულებას, რომლებიც ქართულ საზოგადოებაში მოქმედებს. ის ავტორები კი, რომლებიც ქმნიან ეპატაჟურ ლიტერატურას, არ მოიაზრებიან ქართველებად, პატრიოტებად და ეროვნულად მოაზროვნე მამულიშვილებად. ისინი აღიქმებიან ზნედაცემულ ადამიანებად, მათი შემოქმედება კი სიბინძურესთან ასოცირდება: „დაილია ხალხო ქართულად, ეროვნულად მოაზროვნე მამულიშვილები? მონახეთ, მოიყვანეთ ზნეობრივი ადამიანები, რატომ აპიარებთ და ამკვიდრებთ ამ სიბინძურეს“.<sup>36</sup>

მნიშვნელოვანია ანალიზის შედეგად გამოვლენილი შემდეგი ტენდენციაც: პირის ნაცვალსახელთაგან ყველაზე ხშირად გამოყენებულია პირველი პირის მხოლოდითი რიცხვის ნაცვალსახელი მე (192), პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელი ჩვენ (91) და პირველი პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი ჩემი (75)<sup>37</sup>. ეს მონაცემები მიანიშნებს იმაზე, რომ ეპატაჟური ლიტერატურა პიროვნულობასთან კავშირშია აღქმული და „მე“ თვითობას უკავშირდება. შესაბამისად, საზოგადოება განსაკუთრებით მგრძნობიარეა ამ საკითხის მიმართ. ლიტერატურულ ეპატაჟს, როგორც დევიანტურ ქცევას, საზოგადოება პირად შეურაცხყოფად და ღირსების შელახვად აღიქვამს:

„... თამარი რომ ძალიან ლამაზი იყო ისიც ეჭვქვეშ დააყენა რატომღაც ლაშა ბულაძემ და ეგეც მეწყინა“<sup>38</sup>.

<sup>33</sup> <https://akrili.ge/?=adc85ec701=344&s#comments>

<sup>34</sup> <https://akrili.ge/?=adc85ec701=344&s#comments>

<sup>35</sup> <https://www.facebook.com/rustavi2/posts/1979383612105714/>

<sup>36</sup> <https://www.facebook.com/biblusi.ge/photos/a.392844352863/10155209937767864/>

<sup>37</sup> ბუნებრივია, აქ არ შესულა თავად ავტორების მიერ მიცემული ინტერვიუები, სადაც ისინი პირველ პირში საუბრობდნენ საკუთარ ტექსტებზე.

<sup>38</sup> <https://forum.ge/?f=29&showtopic=34070414>



„მახსოვს ჩემი მეგობარი მოვიდა და აივანზე მდგომს მომიყვია ისტორია რომ გამოვიდა წიგნი სახელწოდებით „საიდუმლო სირობა“, ეს ისე აღმიწერა მეგონე ჩემზე ეწერა იმ წიგნში ცუდები...“<sup>39</sup>

საპატრიარქოში სტუმრობისას ლაშა ბულაძეს ერთ-ერთმა სასულიერო პირმა განუცხადა, რომ მის შვილიშვილს თამარი ჰქვია და ლაშა ბულაძემ მის შვილიშვილსაც მიაყენა შეურაცხყოფა, როცა დაწერა მოთხრობა *პირველი რუსი*.<sup>40</sup> ამრიგად, ეპატაჟური ლიტერატურა ამ შეთხვევაშიც პირად შეურაცხყოფასთან ასოცირდება.: „ეს წიგნი და აქცია<sup>41</sup> მთელი ქართველი ერისთვის შეურაცხმყოფელია.“<sup>42</sup> ეპატაჟური ტექსტი არა მხოლოდ პიროვნულ, არამედ ეროვნულ შეურაცხყოფად მიიჩნევა.

### 3.3. რეცეფციის ანალიზის შედეგად გამოკვეთილი დისკურსები და კონტექსტები

განწყობებს რაიმე ტექსტის მიმართ დისკურსული ცოდნები აყალიბებს. თუ მხატვრულ ტექსტში არსებული დისკურსები და მახასიათებლები არ მოვიდა თანხვედრაში იმ დისკურსულ ცოდნასთან, რომლითაც მკითხველია გაჯერებული, მაშინ ეს ტექსტი აღიქმება როგორც ეპატაჟური. მეტიც, იმისთვის, რათა საზოგადოების მხრიდან ტექსტი ეპატაჟურად შეფასდეს, სულაც არ არის საჭირო, ეს ტექსტი მათ წაკითხული ჰქონდეთ, ამისთვის ისიც საკმარისია, რომ დისკურსული ძალაუფლების მქონე პირებმა აღიარონ ეს ტექსტი ეპატაჟურად, რის შემდეგაც ამ დისკურსული ძალაუფლების კონტროლის ქვეშ მყოფი სხვა

<sup>39</sup> <https://www.goodreads.com/book/show/19309066>

<sup>40</sup> <https://forum.ge/?f=29&showtopic=34070414>

<sup>41</sup> საქმე ეხება ერეკლე დეისაძის წიგნის *საიდუმლო სირობასა* და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ გამართულ აქციაზე, სადაც მხარს უჭერდნენ გამოხატვის თავისუფლებას.

<sup>42</sup> <http://www.media.ge/ge/portal/news/37201/>

ინდივიდები ტექსტს ასევე შეაფასებენ როგორც ეპატაჟურს. საქმე ისაა, რომ ცალკეული დისკურსული ძალაუფლების მქონე სუბიექტებისა თუ ჯგუფების მხრიდან გავრცელებული დისკურსები ხდება თვითწარმოებადი, რომელიც შემდეგ ინტერნალიზდება ამ დისკურსული ცოდნით გაერთიანებულ ადამიანებში. ამ შემთხვევაში ტოპოსები, ე.ი. სააზროვნო პატერნები, რომლებიც გააჩნიათ ადამიანებს და, რომლებიც დისკურსულადაა კონსტრუირებული, განსაზღვრავენ მათ ქცევას. დამოკიდებულებები მხატვრული ტექსტების მიმართ გვევლინება დისკურსის პროდუქტად, რაკი სწორედ ის სოციალური აგენტები, რომლებიც ინტერაქციაში შედიან ტექსტთან, ქმნიან სოციალურ რეალობას თავიანთი დისკურსული ცოდნებიდან გამომდინარე. ამ სოციალურ რეალობაში კი ტექსტი, რომელიც სცდება ნორმად ქცეულ ღირებულებებსა და დომინანტი დისკურსების მიერ გავრცელებულ ცოდნებს, აღიქმება ეპატაჟურად. ამრიგად, მნიშვნელოვანია იმ დისკურსებისა და კონტექსტების გამოყოფა, რომლებიც რეცეფციის პროცესში წარმოჩნდება.

### ანტიგლობალური დისკურსი.

es aris batonebo tqveni evropa da globalizacia. yvelani etmanets<sup>43</sup> rom vemsgavsebit ase davemsgavset garyvnil evropas. rogor ar grcxveniat da ar geshiniat<sup>44</sup>

evropao, globalizacio, liberastobao, yvelafris tqmis da yvelafris ketebis uflebao gaidzaxian araferi nacionaluri ama tar undat es \*\*\*\*\*<sup>45</sup>. gaufasures tradiciebi da qartveloba. avadmyofi \*\*\*\*\*<sup>46</sup>

გლობალისტებო მიდი ახლა და კიდევ იმახეთ გამოსავალი ევროპაშიაო. ეს შემოგიგდოთ ევროპამ. წადით რა და მოგვმორდით გადაშენდით იმ თქვენ ევროპაში!!!!<sup>47</sup>.

<sup>43</sup> ციტატებში აღმოჩენილი ყველა შეცდომა დაშვებულია დედანში

<sup>44</sup> <https://akrili.ge/?=adc85ec701=344&s#comments>

<sup>45</sup> აქ და ქვემოთ ფიფქებით აღნიშნულია უცენზურო სიტყვები

<sup>46</sup> <https://akrili.ge/?=adc85ec701=344&s#comments>

<sup>47</sup> <https://akrili.ge/?=adc85ec701=344&s#comments>

გლობალიზაცია ჩვეულებრივი იდეოლოგიაა, თავისი „კარლ მარქსებითა და ენგელსებით და მამათმავალი ლენინებით“ და თვლის“რომ ტრადიციებისადმი ერთგულება საზოგადოების განვითარებას ხელს უშლის“<sup>48</sup>

— ეს არის ის ძირითადი ანტიგლობალური გზავნილები, რომლებიც კონტენტ-ანალიზის შედეგად წარმოჩნდა. ანტიგლობალური დისკურსის ფარგლებში გლობალიზაცია არის იდეოლოგია, რომელიც ტრადიციებს ებრძვის. აქვე თავს იჩენს შიში იდენტობის დაკარგვისა და გაქრობისა. ამრიგად, საზოგადოება დამაბულია და შეშინებულია, როცა გლობალიზაციის ნარატივების პირისპირ დგება. ბუნებრივია, რომ გლობალიზაციის კვალდაკვალ ხდება იდენტობის საკითხების აქტუალიზაცია. გლობალიზაციის ფონზე ეპატაჟური ლიტერატურა ევროპიდან შემოგდებულ პროდუქტად მიიჩნევა. ამის ფონზე ისმის მოწოდებები გლობალისტებისა და ევროპის მომხრეების საქართველოდან წასვლის შესახებ. ამ ყველაფრის გამო, საზოგადოება იწყებს იდენტობის შენარჩუნებისთვის ბრძოლას, რაც სავარაუდოა, რომ სოციალურ კონტროლსა და ტრადიციებისადმი მიჯაჭვულობას უფრო მეტად გაზრდის. საზოგადოება აყალიბებს კონტროლის მექანიზმებს, რათა, როგორც ერიქსონი აღნიშნავს, თავი დაიცვას გადახრის „მავნე“, „საშიში“, „საზიანო“ ეფექტებისგან, ისევე, როგორც ადამიანის ორგანიზმი თავს უყრის ერთად თავის რესურსებს, მიკრობების შეჭრის წინააღმდეგ საბრძოლველად (Erikson 1962, 309). ყველაფერი ის, რაც ტრადიციულ ნორმებს უპირისპირდება, კოლექტივისტურ საზოგადოებებში, რომლისთვისაც ფუნდამენტური ერთეული სწორედ ნორმები და ტრადიციებია, მარგინალიზებული და გარიყულია. ამ გარიყვას კი საფუძვლად უდევს შიში იდენტობის დაკარგვისა, რომელიც ბუნებრივია, საზოგადოების შიშია და ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ სოციალური კონტროლის ფუნდამენტური ღირებულებებიც არა თავისთავადი მოცემულობებია, არამედ სოციალური კონსტრუქციებია. შეიძლება ითქვას, რომ ამ შიშის ხარისხი პირდაპირპროპორციულია სოციალური კონტროლის სიძლიერისა.

---

<sup>48</sup> <http://urakparaki.com/?m=4&ID=8609#comments>

ტრადიცია კი ქართული იდენტობის მნიშვნელოვანი მარკერია. ამრიგად, თუ ინდივიდი ტრადიციული ნორმების მიღმა დგას, ჯგუფის მიერ იგი ქართველად არ აღიქმება, ხორციელდება მისი როგორც იდენტობის დაკარგვის პოტენციური საფრთხის შემცველის მარგინალიზაცია. ამ დროს არ აქვს მნიშვნელობა არც საერთო მიწის, ენის, ისტორიის, წინაპრების და ა.შ. ფაქტორებს. მთავარი არის ის, რომ ჯგუფი ვერ ახდენს მასთან თვითიდენტიფიკაციას. თუ ინდივიდი არ ეთანხმება ტრადიციულსა და ნორმირებულ შეხედულებებს, იგი გარიყულია და აღქმულია როგორც დელიკვენტი. სწორედ ამ ნარატივებს ააქტიურებს გლობალიზაციის მიმართ შიში. ნაციონალიზმი და მისი კომპონენტები კი არის ის, რის საპირწონედაც გლობალიზაცია გვევლინება.

**რელიგიური და ისტორიული დისკურსი.** ეპატაჟური ლიტერატურა ხშირად განხილულია როგორც დემონური აზრების მანიფესტაცია. ეპატაჟური ტექსტები არ მიიჩნევა ავტორის მხატვრულ შემოქმედებად, ისინი მიიჩნევა ცოდვის გაფეტიშებად, რის წინააღმდეგაც ბრძოლაა საჭირო. გვხვდება მოსაზრება, რომ ეპატაჟური ტექსტი არის იმ აზრების ნაკრები, რომლებიც სხვა ბევრსაც შეიძლება გაუჩნდეს, თუმცა მათი არა სახალხოდ გამოფენა, არამედ მათ წინააღმდეგ საკუთარ თავში ბრძოლაა საჭირო. აქ გვხვდება თვითცენზურისკენ მოწოდებაც: „ჯოჯოხეთი ალაპარაკებს“<sup>49</sup>/ „შეიძლება ასეთი აზრი ბევრსაც გაუაროს თავში, დემონისგან ჩაგონებით, მაგრამ ცოდვას უნდა ებრძოლო სახალხოდ კი არ უნდა გააფეტიშო“<sup>50</sup>

კონტენტანალიზის შედეგად გამოაშკარავდა აპოკალიფსური ნარატივებიც. აპოკალიფსი მიიჩნევა იმედად იმ უმსგავსობების აღმოფხვრისა, რასაც ეპატაჟური ლიტერატურა ჰქვია, ან ეპატაჟური ლიტერატურა მიიჩნევა აპოკალიფსის ნიშნად. უფლის შიში და განკითხვის დღის მოლოდინი ძლიერი ნარატივია, რომელიც

<sup>49</sup> <https://www.facebook.com/biblusi.ge/photos/a.392844352863/10155209937767864/>

<sup>50</sup> <https://forum.ge/?s=adc71ec90c1c99a7558c4019b6e7d02d&f=18&showtopic=34112852&st=0>

რეცეფციის პროცესში ამოიკითხება: „ertaderti imediga damrcha da ase imedianad veli armagedons“<sup>51</sup>/ „vaimeeeeeee, sait miveqanebit xalxo, es ukve meored mosvlaa.“<sup>52</sup>

ეპატაჟურული ლიტერატურის ავტორობა მიიჩნევა სირცხვილად. ხშირად, არამხოლოდ ეპატაჟური ტექსტების წერა ასოცირდება ცოდვასთან და სირცხვილთან, არამედ მათი გავრცელება, დაბეჭდვა, კითხვა, შექმნა და ა.შ. ამას კი საფუძვლად უდევს რელიგიური მოტივები. „განკითხის დღეს მოგეკითხებათ ეგ ცოდვები“<sup>53</sup>/„როგორ შეიძლება ქართველებმა ასე დაკარგონ თავიანთი სახე. სად არის სირცხვილი ..... უფლის არ გეშინიათ?“<sup>54</sup>

„და რელიგიური უფლებები ამ ქვეყანაში ფეხებზე გვკიდია? ყველას მაგ სათაურის წაკითხვისას საიდუმლო სერობა გაახსენდება“<sup>55</sup> — რეცეფციის პროცესში ხშირად ყურადღება მახვილდება რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფაზე. ეს უკავშირდება ჩვენ მიერ საანალიზოდ აღებულ სამივე ავტორის ეპატაჟურ ტექსტებს, მათ შორის — ერეკლე დეისაძის *საიდუმლო სირობასაც*, რაკი ეს სათაური ასოციაციურად უკავშირდება რელიგიურ სწავლებას საიდუმლო სერობის შესახებ. კომენტარის ავტორები ხშირად ამახვილებენ ამ ალუზიაზე ყურადღებას. სინამდვილეში კი ტექსტი კი არ ეხმიანება რელიგიურ სწავლებას საიდუმლო სერობის შესახებ. მაგალითად, „სახელი არის იმ რელიგიის შეურაცხმყოფელი რომელსაც წამს მსფლიოს მესამედს, და საქართველოს მოსახლეობის 90%-ს. სიტყვის თავისუფლება არ ნიშნავს სხვათა სიწმინდეების შეურაცხყოფას“<sup>56</sup>

რელიგიური სწავლებები ზოგჯერ ქმნიან ერთგვარ ბარიერს, რის გამოც ეპატაჟური ტექსტები საზოგადოების ფართო ნაწილისთვის მიუღებელი რჩება. მაგალითად,

<sup>51</sup> <https://www.facebook.com/biblusi.ge/photos/a.392844352863/10155209937767864/>

<sup>52</sup> <https://aniland.wordpress.com/2010/05/03/ek/>

<sup>53</sup> <https://akrili.ge/?=adc85ec701=344&s#comments>

<sup>54</sup> <https://kvispalitra.ge/article/3463-qshedevriq-sakhelad-qsaidumlo-sirobaq-/>

<sup>55</sup> <https://forum.ge/?s=adc71ec90c1c99a7558c4019b6e7d02d&f=18&showtopic=34112852&st=0>

<sup>56</sup> <https://forum.ge/?s=adc71ec90c1c99a7558c4019b6e7d02d&f=18&showtopic=34112852&st=0>

ერთ-ერთი სოციალური მედიის მომხმარებელი (როგორც მოგვიანებით აღმოჩნდება) ამ კითხვას სერიოზულად სვამს და არა ირონიულად, იმასაც კითხულობს, რამდენად იშვება სადმე ელექტრონული ფორმატი ერეკლე დეისაძის წიგნისა *საიდუმლო სირობა*, რადგან ამ წიგნის შექმნის შემთხვევაში ვარაუდობს, რომ ჯოჯოხეთში მოხვდება: „ელექტრონული ფორმით იშვება სადმე“ რომ ვიყილო ჯოჯოხეთში მოხვდება.“<sup>57</sup> ამრიგად, რელიგია შეიძლება ჩაითვალოს ეპატაჟური ტექსტების მიუღებლობის ერთ-ერთ მთავრ მიზეზად სხვა ფაქტორებთან ერთად. ეპატაჟური ტექსტების წაკითხვა საშიშად მიიჩნევა, რადგან ეს ცოდვის ჩადენის ტოლფასია.

ეპატაჟური ტექსტები რელიგიურ კონტექსტში ასევე განიხილება როგორც ავი და ბოროტი სულის მქონე ადამიანის შემოქმედების ნაყოფი, რადგან მიიჩნევა, რომ კარგი და ნორმალური ადამიანი ეპატაჟურ ტექსტს ვერ დაწერს. „ბინძური, ჭუჭყიანი, უტიფარი, თავხედური“<sup>58</sup> სული არის ყველაფრის მიზეზი. რელიგიური დისკურსის ფარგლებში სწორედ ამ სულის პატრონები ებრძვიან ეკლესიას. ეპატაჟური ტექსტის ავტორები გაიგივებულნი არიან 20-იან წლებში ეკლესიების გამანადგურებლებთან, რომლებიც თავიანთი ავსულობის გამო ებრძოდნენ ეკლესიასა და თავს ესხმოდნენ სასულიერო პირებს<sup>59</sup> ისევე, როგორც ახლა ამას ეპატაჟური ლიტერატურის ავტორები აკეთებენ. რელიგიურ კონტექსტში ლიტერატურული ეპატაჟი ასოცირდება მკრეხელობასთან, ხოლო ავტორები მიიჩნევიან ავი და ბოროტი სულის პატრონებად:

ამის დამწერები უნდა დაწვა ცოცხლად ეს სატანისტები \*\*\*\* მაგატ სულში ვინც ესეთ მკრეხელობას წერს.<sup>60</sup>

<sup>57</sup> <https://forum.ge/?s=adc71ec90c1c99a7558c4019b6e7d02d&f=18&showtopic=34112852&st=0>

<sup>58</sup> <https://kvispalitra.ge/article/28794-qanathemas-gadavcem-sartsmunoebis-moghalateebsq-vin-da-ratom-sheachvena-basil-mkalavishvilma/>

<sup>59</sup> <https://kvispalitra.ge/article/28794-qanathemas-gadavcem-sartsmunoebis-moghalateebsq-vin-da-ratom-sheachvena-basil-mkalavishvilma/>

<sup>60</sup> <https://aniland.wordpress.com/2010/05/03/ek/>

მე მგონი, ამ ავტორის<sup>61</sup> სულს აშკარად ჭირდება ჩვენი დახმარება.<sup>62</sup>

erekle ugirsi... albat odesme gons moegeba, chven mxolod unda vilocot mistvis (Tu, ra Tqma unda, martlmadidebluri wesitaa monatluli).<sup>63</sup>

რელიგიური დისკურსის ლოგიკით, ეპატაჟური ავტორების სულები წარწყმედილია და ცოდვილია, ამიტომ მათი ამ ცოდვისგან დახსნაა საჭირო. საზოგადოების ნაწილი ამას პირად პასუხისმგებლობად მიიჩნევს და აცხადებს, რომ საჭიროა მათი სულის ხსნისთვის ლოცვა, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არიან მართლმადიდებლები, გარკვეული კუთხით ეს რელიგიური შოვინიზმის მაგალითადაც შეიძლება ჩაითვალოს.

კონტენტანალიზის შედეგად გამოიკვეთა მართლმადიდებლური ეკლესიისა და ოჯახის ძლიერი როლი საქართველოს თვითგადარჩენის პროცესისთვის. ქართული კულტურა კი აღქმულია, როგორც თვითგადარჩენისთვის მუდმივად მებრძოლი ერთეული. რაც თავის მხრივ, აყალიბებს შიშს გადაშენების, გაქრობის, გადაგვარების და იდენტობის დაკარგვისა: „ქართულმა კულტურამ აქამდე ძლივს მოაღწია და ახლა ამათმა<sup>64</sup> უნდა გაანადგურონ?“<sup>65</sup> ეპატაჟური მწერლები მიიჩნევიან სწორედ ამ გადაშენების საფრთხის შემცველებად, რის გამოც საზოგადოების დანარჩენი წევრები მათ ჯგუფიდან გამორიცხავენ, როგორც საშიშებს. აქვე აშკარავდება, რომ საქართველომ „დღემდე მართლმადიდებლობით და დედაშვილობის ხელშეუხებელი ფენომენით მოაღწია!!!!“<sup>66</sup> ამრიგად, ოჯახისა და მართლმადიდებლობის ნარატივები ერთ-ერთი ძლიერი ერთეულებია, რომლებიც ქართულ რეალობაში არსებობენ და ქართული კულტურის თვითგადარჩენის საკითხში მნიშვნელოვან ძალად აღიქმებიან.

---

<sup>61</sup> იგულისხმება ერეკლე დეისაძე

<sup>62</sup> <https://aniland.wordpress.com/2010/05/03/ek/>

<sup>63</sup> <https://aniland.wordpress.com/2010/05/03/ek/>

<sup>64</sup> იგულისხმება ლიბერალები, ეპატაჟური მწერლები და სიტყვის თავისუფლების მომხრეები

<sup>65</sup> <https://akrili.ge/?=adc85ec701=344&s#comments>

<sup>66</sup> <https://kvirispalitra.ge/article/3463-qshedevriq-sakhelad-qsaidumlo-sirobaq-/>

მართლმადიდებლური ეკლესია ქართულ რეალობაში საკმაოდ მნიშვნელოვან და მოსახლეობაზე ძლიერი ზეგავლენის მქონე აქტორად გვევლინება. გასული 25 წლის განმავლობაში, მისი როლი საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში განსაკუთრებით გაიზარდა. (წულაძე, ესებუა და სხვ. 2016, 151)

ეთნო-კულტურული სფერო კი არის ის, რითაც ქართველები განსაკუთრებით ამაყოფენ, და იგი ქართულ ნარატივში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებათა ერთობლიობას წარმოადგენს. ისტორია როგორც ეთნო-კულტურული სფეროს უმნიშვნელოვანესი მარკერი ქართველებისთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს. შეიძლება ითქვას, რომ ქართულ სივრცეში ისტორია არა მხოლოდ მითოლოგიზებულია, არამედ გასაკრალურებულიცაა: „ეგ ვილაც დეისაძე ერეკლე(რა სახელს სვრის ეგ ტვინით ავადმყოფი)სამუდამო იზოლაციაში უნდა ამყოფო, მომავალ თაობას რომ არ დაუნაგვიანოს გონებაა.“<sup>67</sup> – აქ გამოთქმულია ეპატაჟურად მიჩნეული ავტორის ცალსახა იზოლაციის მოთხოვნა იმ მოტივით, რომ იგი საფრთხეა მომავალი თაობისთვის. საქმე ისაა, რომ სწორედ ადამიანის დელიკვენტად მიჩნევის შემდეგ მნიშვნელოვანი საკითხია ცენზურის კვანტური მერყეობა რბილიდან უკიდურესობამდე, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ დროს უარყოფითი შენიშვნები შესაძლოა იქცეს სოციალურ იზოლაციად (Goode 2015, 4). იზოლაცია ამ შემთხვევაში გვევლინება ავტორის, დელიკვენტის წინააღმდეგ ამოქმედებულ სანქციად. ამასთან, თავს იჩენს ისტორიული პირების მითოლოგიზაცია. სავარაუდოდ იგულისხმება ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II. ამ შემთხვევაში განხორციელდა სახელის „ერეკლე“ გასაკრალურება და მითოლოგემად ქცევა. აღსანიშნია ის, რომ ქართული ნაციონალიზმი ისტორიიდან ირჩევს გარკვეულ პერიოდებს და მას მითოლოგემებად აქცევს (თევზაძე 2010, 8). ქართულ რეალობაში ისტორიის მითოლოგიზაციის მაგალითად შესაძლებელია, მივიჩნიოთ თამარ მეფისა და დავით აღმაშენებლის წმინდანად შერაცხვის ფაქტებიც. ამ შემთხვევაში თავი იჩინა გარკვეული ისტორიული ფიგურებისა და მათი მოღვაწეობის პერიოდის საკრალიზაციამ. ამრიგად, ყველაფერი, რაც ეხება

<sup>67</sup> <https://kvirispalitra.ge/article/3463-qshedevriq-sakhelad-qsaidumlo-sirobaq-/>



ისტორიას, ისეთივე მწვავე ხდება, როგორცაა რელიგიური საკითხები. ამ ყველაფრის გამო ისტორიას რელიგიის მსგავსად გააჩნია დისკურსული ძალაუფლება.

ხშირად ხდება არა მხოლოდ ისტორიული ფიგურების, არამედ მათ გარშემო არსებული მითებისა და ცნობების საკრალიაზაცია. ერთ-ერთი სოცმედიის მომხმარებელი კომენტარებში აღნიშნავს, რომ *პირველი რუსი* მისთვის მიუღებელია, რადგან „თამარი რომ ძალიან ლამაზი იყო ისიც ეჭვქვეშ დააყენა რატომღაც ლაშა ბუღაძემ.“<sup>68</sup> თამარ მეფე არამხოლოდ ისტორიული ფიგურაა, იგი წმინდანადაც არის შერაცხული. საზოგადოებას მიაჩნია, რომ არავის არ აქვს უფლება — „განსაკუთრებით თუ ის ქართველია“<sup>69</sup> — დაწეროს წმინდანად შერაცხულ მეფეზე, რადგან „მისი შერაცხვის შემდეგ მისი ინტიმური ბიოგრაფია ტაბუ დადებულია თვით ღვთის მიერ“<sup>70</sup>. ლაშა ბუღაძის *პირველ რუსს* აქ მოიხსენიებენ როგორც თამარ მეფის „ინტიმურ ბიოგრაფიას“, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ამ მხატვრულ ტექსტში არსებული ნარატივები და სიუჟეტები გაიგივებულია ისტორიულ სინამდვილესთან. ამ მსჯელობის მიხედვით, ლიტერატურა კი არ ქმნის, არამედ ასახავს სინამდვილეს, თუმცა ეს სინამდვილე შეიძლება იყოს ტაბუდადებული. აშკარაა ტენდენცია იმისა, რომ ლიტერატურას არ აქვს უფლება, შეეხოს ყველა საკითხს, რადგან „არსებობს რაღაც რაც ხელუხლებელია“<sup>71</sup> და ამგვარი ტაბუს დარღვევა სრულიად გაუმართლებელია, ე.ი. არსებობს საკითხები, რომლებზეც მწერალმა არ უნდა დაწეროს, მათ შორისაა რელიგიური საკითხები. ის, რომ ლიტერატურასა და ისტორიულ სინამდვილეს ხშირად ერთმანეთისგან არ ასხვავებენ, შემდეგ ციტატაშიც დასტურდება:

ღმერთის გეშნოდეთ! სირცხვილია საქართველოში ასეთი წიგნი იბეჭდებოდეს! ჩაიხედეთ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და მერე იმსჯელეთ

<sup>68</sup> <https://forum.ge/?f=29&showtopic=34070414>

<sup>69</sup> <http://demo.ge/index.php?do=full&id=512>

<sup>70</sup> <http://demo.ge/index.php?do=full&id=512>

<sup>71</sup> <https://forum.ge/?f=29&showtopic=34070414>

შეგვეფერება ქართველ ხალხს ასეთი „წიგნი“ თუ შეიძლება ასე ვიწოდოთ ამ საშინელებას! უშინაარსო და უნტერესო რაგაცა აქვს ამის ავტორს მოგონილი!<sup>72</sup>

აქ მნიშვნელოვანია სიტყვა „მოგონილი“, რომლის თანახმადაც ლიტერატურულ ტექსტს ბრალად ედება ისტორიული სინამდვილის გაყალბება. რეციპიენტები ვერ აცნობიერებენ, რომ შესაძლებელია, ნებისმიერი ფაქტი, მოვლენა თუ მოცემულობა ლიტერატურული მანიპულაციის საშუალებად იქცეს. მწერალმა შეიძლება მისთვის სასურველი მოვლენა ზედმიწევნით ასახოს თავის ნაწარმოებში, შეცვალოს ან შეავსოს იგი თავისი ცოდნით. თუმცა მკითხველი ივიწყებს იმ ფაქტს, რომ ლიტერატურა ფიქციაა, მწერალი კი თავის შემოქმედებაში თავისუფალია. ზოგი საკითხის მიმართ საზოგადოება განსაკუთრებით მგრძნობიარეა. ამის მაგალითად გამოდგება ნაციონალური იდენტობის ისეთი მარკერი, როგორცაა ისტორია ან რელიგია. ამ მარკერთან შეხებისას მწერლის გადაწყვეტილებას ან ნარატივს შესაძლებელია, საზოგადოებაში უარყოფითი რეზონანსი მოჰყვეს. ქართველი ერის გამორჩეულობის ერთ-ერთი ნაციონალისტური ნიშანი სწორედ ისტორიით სიამაყეა. აღნიშნული კომენტარიდან გამომდინარე კი წარმოჩნდება ის გარემოებაც, რომ ქართველს ისტორიული წარსული არ აძლევს უფლებას, დაწეროს ეპატაჟური ლიტერატურა.

შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველოში ისეთი ეთნო-კულტურული მარკერები როგორებიცაა რელიგია და ისტორია თავიანთ ინსტიტუციურ საზღვრებს სცდებიან და სოციალური რეალობის სხვა სისტემებშიც ფუნქციონირებენ. ამ სისტემებში ისინი დადგენილი წესრიგის შესანარჩუნებლად მარეგულირებლის ფუნქციას ითავსებენ.

**ანტილიბერალური და ანტიდასავლური დისკურსი.** „ლიბერასტობა“ — ამ ნეოლოგიზმით მოიხსენიებიან სიტყვის თავისუფლების მხარდამჭერი პირები, რომლებიც გმობენ ეპატაჟური ტექსტების მიმართ გამოყენებულ სიმულვილის ენას. აქ აშკარავდება ანტილიბერალური გზავნილები. სოროსის სახელი ხშირად

---

<sup>72</sup> <https://aniland.wordpress.com/2010/05/03/ek/>

არის გაიგივებული ლიბერალიზმთან, ხოლო ლიბერალები ხშირად მოიხსენიებიან კნინობითი ფორმით — „სოროსიჩები“<sup>73</sup>. ანტილიბერალური განწყობები მთავარ ფიგურანტად სწორედ ჯორჯ სოროსს მოიხსენიებენ და ლიბერალურ-კონსპირაციული თეორიებიც უმეტესად სწორედ მის სახელს უკავშირდება.

„უკვე ყველა სფეროში გამოლიბეროზავრდნენ“<sup>74</sup> — აღნიშნავენ სოციალური მედიის მომხმარებლები, რაშიც ისინი გადაგვარების საფრთხეს ხედავენ. ლიბერალებად მიიჩნევა ყველა ის ადამიანი, რომლებიც არიან ეპატაჟური ლიტერატურის მკითხველები, გამავრცელებლები თუ გამომცემლები, ან ის ადამიანები, რომლებიც აპროტესტებენ სიძულვილის ენას. თუ ქართველს მიემართება სიტყვა „ლიბერალი“, მასში იგულისხმება ქართველობაწართმეული ინდივიდი. ხოლო თავად ლიბერალიზმი კაცობრიობის უდიდეს პრობლემად აღიქმება: „ლიბერასტების \*\*\*\*. კაცობრიობის კიბო ხართ თქვენ ...“<sup>75</sup>

საზოგადოების გარკვეული ნაწილი არ იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ ეპატაჟურ ტექსტებში რაიმე სახის განსხვავებული აზრი ან სიახლე არსებობს. ის ადამიანები, რომლებიც ქმნიან ეპატაჟურ ტექსტებს, მიიჩნევიან ლიბერალებად, მენტალურად დეგრადირებულ არსებებად, ამაზრზენებად და პიარისთვის ყველაფერზე წამსვლელ პიროვნებებად: „ყველა ლიბერალი იდიოტი, \*\*\*\*, მენტალურად დეგრადირებული ამაზრზენი და პიარისთვის ყველაფერზე წამსვლელი ავადმყოფი განსხვავებული და გამორჩეული რატომ გგონიათ?“<sup>76</sup>

ზოგი სოციალური მედიის მომხმარებელი ინტერესდება, „ვინ უხდის და რატომ უხდის?!“<sup>77</sup> თანხას იმ ავტორებს, რომლებიც ეპატაჟურ ტექსტებს ქმნიან. დამფინანსებლებად კი დასავლეთი მიიჩნევა, „ამერიკა, ევროპა ჩვენი სახელმწიფოს

<sup>73</sup> <https://www.facebook.com/biblusi.ge/photos/a.392844352863/10155209937767864/>

<sup>74</sup> <https://www.facebook.com/biblusi.ge/photos/a.392844352863/10155209937767864/>

<sup>75</sup> <https://www.facebook.com/biblusi.ge/photos/a.392844352863/10155209937767864/>

<sup>76</sup> <https://www.facebook.com/biblusi.ge/photos/a.392844352863/10155209937767864/>

<sup>77</sup> <https://www.ambebi.ge/article/151949-skandaluri-kartveli-mcerlebi-da-poetebi-popularoba-religiuri-grznobebis-sheuracxqopis-xarjze/>

დანგრევა რომ უნდა...[]<sup>78</sup>. ამერიკა მიიჩნევა ყველაზე დიდი საფრთხედ ქართული სახელმწიფოებრიობისთვის.

ევროპეიზაცია ანტიევროპული მედიებისთვის განიხილება იდენტობის დაკარგვის პოტენციურ საფრთხედ (წულაძე, ესებუა და სხვ. 2016, 29). ქართველებს ევროპული ღირებულებების მიმართ უნდობლობა აქვთ და ემინიათ, რომ ლიბერალური პოლიტიკა მათ იდენტობასა და ღირებულებებს წაართმევთ. ლიბერალიზმი განიხილულია როგორც ანტიქართული ფენომენი.

„ლიბერალური დასავლეთი ებრძვის ქართულ მართლმადიდებლურ რწმენასა და ტრადიციებს“ (ტულუში, თურმანიძე და ა.შ. 2019, 84) — ეს არის ის ძირითადი ნარატივი, რომელსაც ანტიდასავლური ძალები ააქტიურებენ. ანტილიბერალური დისკურსის მთავარ მამომრავებელი ძალა ქართველობის დაკარგვის შიშია.

საქართველოში არაერთი ულტრამემარჯვენე ჯგუფია, რომლებიც ერთმანეთისგან სხვადასხვა ფორმით განსხვავდებიან. ისინი წარმოადგენენ როგორც პარტიებს, ასევე NGO-ორგანიზაციებს და არაფორმალურ ერთობებს (ბარქაია 2017, 165). სწორედ ულტრამემარჯვენე ჯგუფები უწყობენ ხელს ანტილიბერალური და ანტიევროპული დისკურსის გაძლიერებას, რადგან ულტრამემარჯვენე ჯგუფებისთვის ევროპა არის გარყვნილება, რომელიც ყველაფერ ქართულს ეწინააღმდეგება და ანგრევს.

საქართველოში ანტილიბერალური ნარატივები არის მნიშვნელოვანი მახასიათებელი ქართული დისკურსებისა (ტულუში, თურმანიძე და ა.შ. 2019, 49), რაც კონტენტანალიზის შედეგადაც გამოჩნდა.

**კონსპირაციული თეორიების კონტექსტი.** ანალიზის შედეგად წარმოჩნდა ამგვარი წარმოდგენა: ეპატაჟური წიგნების ავტორები არიან დაქირავებული მასონების,

---

<sup>78</sup> <https://www.ambebi.ge/article/151949-skandaluri-kartveli-mcerlebi-da-poetebi-popularoba-religiuri-grznobebis-sheuracxqopis-xarjze/>

ლიბერალებისა თუ სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ, რომელთა მიზანია საქართველოს წაართვან ქართველობა, ღირებულებები და ფასეულობები.

შეთქმულების თეორიის მიხედვით, გლობალიზაციის მოსურნეები ხელს უწყობენ ეპატაჟური ლიტერატურის პოპულარიზაციას და ამ მიზნით გზავნიან გრანტებს ტელეკომპანიებში, გამომცემლობებში, ჟურნალებში, თავად ეპატაჟური ტექსტების ავტორებთან თუ ა.შ.<sup>79</sup> ლიტერატურული ეპატაჟი განიხილება როგორც გარედან შემოგდებული პროვოკაციული ნაბიჯი, რასაც საფუძვლად უდევს ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლა. სწორედ ეს აწყობს გლობალიზაციას და მან იცის, „სად, რა უნდა მოარყიოს და ექვი ჩანერგოს, რომ მერე ოდესმე მაინც მიაღწიოს მიზანს.“<sup>80</sup> ამავე თეორიის თანახმად, კონფლიქტი არის მნიშვნელოვანი საშუალება კონსპირაციული მიზნების განსახორციელებლად. სწორედ საზოგადოების დაყოფისა და შუღლის გაღვივებას ემსახურება, ბევრის აზრით, ეპატაჟური ლიტერატურა, სახელდობრ, ეპატაჟური ლიტერატურის მიზანია განხეთქილების გამოწვევა მის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის. ეპატაჟური ლიტერატურა მავანთა მიერ დაგეგმილი არეულობისა და ქართველობის წართმევის მცდელობად ანიხილება: „... მავანმა იცოდა რომ ამას მოყვებოდა საქართველოში უარყოფითი რეაქცია და დაატაკა ხალხი ერთმანეთს“.<sup>81</sup> /„ეს არაა მავანთა და მავანთა პოლიტიკა?“<sup>82</sup>

როგორც ლაშა ბუღაძე იხსენებს, მის მიმართ ბრალდებები ისმოდა იმ მიმართულებითაც, რომ თითქოს იგი ფინანსდებოდა ქართული სიწმინდის დაცინვისთვის და ის იყო იმ გაერთიანების ნაწილი, რომელსაც ქართველობის განადგურება უნდა.<sup>83</sup> ამას ადასტურებს შემდეგი ციტატიც: „მაშინ მისცეს ისევ

<sup>79</sup> <http://urakparaki.com/?m=4&ID=8609#comments>

<sup>80</sup> <http://urakparaki.com/?m=4&ID=8609>

<sup>81</sup> [https://kvirispalitra.ge/article/3463-qshedevriq-sakhelad-qsaidumlo-sirobaq/-/](https://kvirispalitra.ge/article/3463-qshedevriq-sakhelad-qsaidumlo-sirobaq/)

<sup>82</sup> [https://kvirispalitra.ge/article/3463-qshedevriq-sakhelad-qsaidumlo-sirobaq/-/](https://kvirispalitra.ge/article/3463-qshedevriq-sakhelad-qsaidumlo-sirobaq/)

<sup>83</sup> <https://forum.ge/?f=29&showtopic=34070414>

მთავრობამ შეკვეთა ბუღაძეს და დაწეროს ილიას ინტიმური ცხოვრება<sup>84</sup> ამ შემთხვევაში სიტყვა „ისევ“ მიგვანიშნებს, რომ კომენტარის ავტორს ლაშა ბუღაძის პირველი რუსი მიაჩნია ხელისუფლების მიერ შეკვეთილ ტექსტად. ამ მხრივ, ეპატაჟური ტექსტი განიხილება როგორც პოლიტიკური მიზნების განხორციელების საშუალება.

„სოროსის გავლენა იგრძნობა“<sup>85</sup> აღნიშნავს ერთ-ერთი მომხმარებელი ბიბლუსის წიგნის მაღაზიის მისამართით, რომელმაც ერეკლე დეისაძე მოიწვია სტუმრად. ამ ფაქტს იგი მიიჩნევს სოროსის მიერ დაფინანსებულ პროექტად, რომელსაც მიზნად ქართველების დეგრადაცია დაუსახავს. თავად სოროსი კი ლიბერალიზმთან ასოცირდება.

ერთ-ერთი სოცმედიის მომხმარებელი აღნიშნავს, რომ უმცირესობათა უფლებების დაცვა ისევე ფინანსდება როგორც მართლმადიდებლობისა და ქართული ეროვნული ღირებულებების შეურაცხყოფა, რადგან ეს არის სწორედ ის, რაც მავანს ამოძრავებს. ყოველგვარი სიწმინდისა და ქართულის აღმოფხვრა. სწორედ ამ მიზნის გამტარად მიიჩნევა ქართულ სივრცეში ეპატაჟური ლიტერატურა: „დავიცავ უმცირესობების უფლებებს იმიტომ, რომ ამისთვის მიხდიან! შევურაცხყოფ მართლმადიდებლობას და ეროვნულს იმიტომ, რომ ამისთვის მიხდიან!“<sup>86</sup>

იმ მოსაზრებას, რომ ეპატაჟური ტექსტები არის „შემოგდებული ასაფეთქებლად ლიმონკასავით“<sup>87</sup>, საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი იზიარებს. შესაძლებელია, ისინი ამას ყოველთვის კომენტარებში არ გამოხატავენ, მაგრამ ხშირია ე.წ. „Like“ ე.ი. „მოწონებები“ მსგავს კომენტარებზე, რაც ნიშნავს იმას, რომ კონსპირაციულ თეორიებს საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი იზიარებს.

---

<sup>84</sup> <http://demo.ge/index.php?do=full&id=512>

<sup>85</sup> <https://www.facebook.com/biblusi.ge/photos/a.392844352863/10155209937767864/>

<sup>86</sup> <https://www.ambebi.ge/article/151949-skandaluri-kartveli-mcerlebi-da-poetebi-popularoba-religiuri-grznobebis-sheuracxqopis-xarjze/>

<sup>87</sup> <http://demo.ge/index.php?do=full&id=512>

უმეტესად, შეთქმულების თეორიის მომხრეები ვარაუდობენ, რომ ყველაფერი არის წინასწარ გათვლილი და იმ შედეგების მიღწევას ისახავს მიზნად, რომლებიც საზოგადოებაში განხეთქილებას შემოიტანს, ხოლო ქართველს გადაავარებს და იდენტობას წაართმევს.

**ეპატაჟი როგორც მარკეტინგული სვლა პოპულარობის მოსახვეჭად.** სოციალური მედიის მომხმარებლების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ ეპატაჟური ტექსტები არის მარკეტინგული სვლა და ემსახურება ერთადერთ რამეს — პოპულარობის მოხვეჭას მოკლე დროში. სოციალური მედიის მომხმარებელთა თქმით, არსებობს გარკვეული სეგმენტი საზოგადოებისა, რომელსაც განსაკუთრებული რეაქცია აქვს ეპატაჟურ ტექსტებზე, რითაც ავტორებისარგებლობენ იმისთვის, რათა იოლი გზით გახდნენ ცნობადები. ამრიგად, ეპატაჟი მიიჩნევა მწერლის მიერ წინასწარგანზრახულ ნაბიჯად: „პოპულარობის მაძიებელი, იცოდა რა ჯგუფიც უნდა გაეღვიანებინა და მარტივად მოახერხა“<sup>88</sup> / „rac undoda avtors ki miagwia, sazogadoebis yuradgeba miipyro“<sup>89</sup>/ „უნდოდა ხალხს ესაუბრა.“<sup>90</sup>

მიიჩნევა, რომ წინასწარ გათვლილი ეპატაჟი ნიშნავს კრახს, რადგან ეპატაჟი ტექსტის ხარისხსა და ლიტერატურულ ღირებულებებს აკნინებს. თავად ეპატაჟური ტექსტები კი ხელოვნურია, რაკი ისინი მიზნად საზოგადოების პროვოცირებას და აჟიოტაჟს ისახავენ, რაც ლიტერატურაში ყოველთვის იგრძნობა:

---

<sup>88</sup> <https://www.goodreads.com/book/show/19309066>

<sup>89</sup> <http://arilimag.ge/%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%94-%E1%83%93%E1%83%94%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%9A%E1%83%9D/>

<sup>90</sup> <http://arilimag.ge/%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%94-%E1%83%93%E1%83%94%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%9A%E1%83%9D/>

მე ვფიქრობ რომ ზუსტად ჩანასახშივე ნაფიქრმა „ეპატაჟით გაქაჩვამ“ გაუყალბა და დაუჩრდილა ავტორს<sup>91</sup> ბევრი მართლა ძალიან კარგი სახე და ტექსტის მხატვრული ღირებულება<sup>92</sup>

პროსტა ისე გაუბედურდა ეს ვქეყანა რო სკანდალის გარეშე აქ პოპულარული ვერ გახდები<sup>93</sup>

თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ სკანდალი უმოკლესი გზაა ფართო მასის ყურადღების მისაქცევად, ბულაძემ ათიანში გაართქვა<sup>94</sup>

ერეკლე დეისაძე ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ მისი კრებული *საიდუმლო სირობა* ეპატაჟისკენ მიზანმიმართულად გადადგმული ნაბიჯი იყო, რომელიც პოპულარობის მოხვეჭას ისახავდა მიზნად.<sup>95</sup>: „ხალხის რეაქციებიდან გამომდინარე ვგრძნობ ხოლმე, რა ნაბიჯი გადავდგა.“<sup>96</sup> — ამ შემთხვევაში საზოგადოება გვევლინება ლიტერატურული ეპატაჟის განმაპირობებლად, რადგან ლიტერატურული ეპატაჟი იქმნება საზოგადოებასთან ინტერაქციის შედეგად და პასუხობს მის რეაქციებს. ერეკლე დეისაძე იქვე აღნიშნავს, რომ ისეთ დიდ გამოხმაურებასა და რეაქციებს მაინც არ ელოდა, როგორც ტექსტის გამოცემას მოჰყვა.<sup>97</sup> ეს კი ნიშნავს, რომ ლიტერატურული ეპატაჟის მასშტაბებისა და ფორმების სრულად განსაზღვრა ავტორის მიერ წინასწარ შეუძლებელია. ლიტერატურული ეპატაჟი არამახლოდ მაშინ არის სოციალური პორდუქტი, როცა ავტორს ეს თავად აქვს გამიზნული, არამედ მაშინაც, როცა ავტორისგან დამოუკიდებლად საზოგადოება ტექსტს აკრავს ეპატაჟურის იარლიყს. ლაშა ბულაძის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟის მიზეზად აღიქმება ის ფაქტორი, რომ საზოგადოება „ბულაძეს ჩანაფიქრს მიუხვდა“<sup>98</sup>. ჩანაფიქრში კი იგულისხმება ყურადღების ცენტრში ყოფნისკენ სწრაფვა. თუმცა თავად ბულაძე არსად არ ამბობს,

---

<sup>91</sup> საუბარია ერეკლე დეისაძეზე

<sup>92</sup> <https://forum.ge/?s=adc71ec90c1c99a7558c4019b6e7d02d&f=18&showtopic=34112852&st=0>

<sup>93</sup> <https://aniland.wordpress.com/2010/05/03/ek/>

<sup>94</sup> <http://urakparaki.com/?m=4&ID=8609>

<sup>95</sup> <http://geworld.ge/ge/3719/>

<sup>96</sup> <https://newsajje.ge/index.php?do=full&id=2>

<sup>97</sup> <https://newsajje.ge/index.php?do=full&id=2>

<sup>98</sup> <http://demo.ge/index.php?do=full&id=512>



რომ მისი მიზანი იყო ეპატაჟი და არა ლიტერატურულად ღირებული ტექსტის შექმნა.

ანალიზის პროცესში გამოიკვეთა ის ტენდენციაც, რომ ეპატაჟური ტექსტების წერა აღიქმება ფინანსური ინტერესით განპირობებულ ნაბიჯად, რომელსაც საფუძვლად ბიზნეს-გეგმა უდევს და იგი ფულის შოვნის მარტივ გზას წარმოდგენს: „ბულადისეული მცდელობა გათვლილი იყო მხოლოდ ბიზნეს ინტერესების ამოქმედებაზე“<sup>99</sup> / „უნიჭო მწერალა. მაგრამ როგორც ჩანს, ნიჭიერი ბიზნესმენი“ – ამბობენ ერეკლე დეისაძეზეც. *საიდუმლო სირობა* დაიბეჭდა ორასწლიანი ტირაჟით, თითო წიგნის ღირებულება იყო 6 ლარი, შესაბამისად, ეს კონკრეტული ქმედება ვერ იქნებოდა შემოსავალზე გათვლილი ნაბიჯი ისევე, როგორც ლაშა ბულადის შემთვევაში — *პირველი რუსი*.

მარკეტინგული სვლის გარდა ზოგჯერ ეპატაჟური ლიტერატურა ამბიციების ნაყოფადაც აღიქმება. ამ კონტექსტში „ამბიცია“ გამოყენებულია როგორც უარყოფითი კონოტაციის მქონე სიტყვა. ეპატაჟური ტექსტების შექმნის ერთ-ერთ მიზეზად სახელდება ნიჭის ნაკლებობა და ამბიციების სიჭარბე

ამბიციებისგან შეჭმულია და ამის ნიადაგზე გარეკა კიდევ.<sup>100</sup>

ამბიციები რომ არ ჰქონდეთ რაღა დარჩებოდნენ<sup>101</sup>

ამბიციური განაცხადია და მეტი არაფერი<sup>102</sup>

როცა ადამიანს ნიჭი არ ყოფნის რამე ღირებულის შესაკმნელად ამბიციები კი მაგრად აწუხებს, ის ეძებს მსგავს სკანდალური თემას (ყურადგების მისაპყრობად, რა თქმა უნდა) ან კიდევ ვიღაცის დაკვეთა ასრულებს.<sup>103</sup>

---

<sup>99</sup> <http://demo.ge/index.php?do=full&id=512>

<sup>100</sup> <https://forum.ge/?f=18&showtopic=33713214&st=255>

<sup>101</sup> <https://akrili.ge/?=adc85ec701=344&s#comments>

<sup>102</sup> იგულისხმება ზაზა ბურჭულაძის „ხსნადი კაფკა“

<sup>103</sup> <https://www.ambebi.ge/article/151949-skandaluri-kartveli-mcerlebi-da-poetebi-popularoba-religiuri-grznobebis-sheuracxqopis-xarjze/>

ტექსტის კრიტიკა ტექსტის წაკითხვის გარეშე. საცნაურია ის ნაწილი კომენტარებისა, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად უარყოფითია და ძალიან მძლავრ კრიტიკას შეიცავს, ხშირად სიძულვილის ენაში გადადის და ამავე დროს ამ კომენტარის ავტორები აღიარებენ, რომ ეს წიგნი არ აქვთ წაკითხული. ზოგადი ტენდენციით, ეპატაჟური ლიტერატურისა და მათი ავტორების მიმართ უარყოფითად განწყობილი ადამიანების სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ნაწილი აცხადებს, რომ ტექსტები არ აქვთ წაკითხული: „არ წამიკითხავს არც მაინტერესებს, მაგრამ მინდა პროტესტი გამოვხატო ამ წიგნთან დაკავშირებით აშკარად შეურაცხყოფს კონკრეტული რელიგიის გრძნობებს“<sup>104</sup>

ქვემოთ მოცემულ ამონარიდში კონკრეტულად და ვრცლადაა განხილული ერეკლე დეისადის *საიდუმლო სირობა*. იგი აღძრავს წინასწარ განწყობას, რომ გამობმარებისავტორს წიგნი წაკითხული აქვს, თუმცა აღმოჩნდება, რომ მოცემული ცოდნა არ ეფუძნება ტექსტთან ურთიერთობის პირად გამოცდილებას. ის შექმნილია სხვათა ცოდნის გაზიარების საფუძველზე:

რაც შეეხება ეკოს მას მემგონი ბავშვობის დროინდელი მძიმე ფსიქოლოგიური პრობლემები აქვს, სექსუალური გადახრა, დედისადმი ლტოლვა, მიდრეკილება სუიციდისკენ, ყველაფრის მიმართ სიძულვილი. სამყარო ცუდად მოექცა ეკოს და მანაც გადაწყვიტა შური იძიოლს მასზე. კერძოს ქართველებზე. მას სძულს ქართული სუფრა (ეტყობა მაგის სადღეგრძელოს აარ იძახდნენ ხოლმე) (ქართული ტრადიცია ყველაფერი რაც მის გარშემოა. Losser\_მა ეკომ გადაწყვიტა გამხდარიყო პოპულარული და ერთობ სკანდალური წიგნი შემოქვეთავაზა. P.s. ეს წიგნი არ წამიკითხვას. ტელევიზიით თუ ინტერნეტით გასული კადრებიდან წაკითხული ციტატებიდან ვწერ ყოველივე ზემო აგნიშნულს.<sup>105</sup>

ლაშა ბულაძე მიიჩნევს, რომ მის ტექსტს *პირველი რუსი* აკრიტიკებდა ის ნაწილი საზოგადოებისა, რომელსაც საერთოდ არ ჰქონდა ტექსტი წაკითხული და სხვების მიერ მონაყოლით აგებდნენ თავიანთ დამოკიდებულებებს ტექსტის მიმართ. ერთ-ერთ გადაცემაში ლაშა ბულაძეს დაურევს და აკრიტიკებდნენ ისეთ საკითხებზე,

<sup>104</sup> <https://forum.ge/?s=adc71ec90c1c99a7558c4019b6e7d02d&f=18&showtopic=34112852&st=0>

<sup>105</sup> <https://forum.ge/?s=adc71ec90c1c99a7558c4019b6e7d02d&f=18&showtopic=34112852&st=0>

რომლებზეც საერთოდ არაფერი ეწერა ტექსტში. როცა ავტორმა ამ ტელემედიურებელს დაუსვა კითხვა, ჰქონდა თუ არა მას ეს წიგნი წაკითხული, პასუხი იყო: „არა მაგ სიბინძურეს როგორ წავიკითხავდი“.<sup>106</sup>

თამარ მეჭურჭლიშვილი თავის სამაგისტრო ნაშრომში დაინტერესდა იმით, კითხულობენ თუ არა რესპოდენტები ქართულენოვან ეპატაჟურ წიგნებს, რესპოდენტთა დაახლოებით 65%-მა დადებითი პასუხი გასცა. თუმცა მკვლევარი აქვე ამჩნევს კავშირს თანხმობასა და მათ მიერვე დასახელებულ წიგნებს შორის. საქმე ისაა, რომ იმ რესპოდენტებმა, რომლებმაც დადებითაც უპასუხეს კითხვას, ეპატაჟურ წიგნებად დაასახელეს გოჩა დეისადის *საიდუმლო სირობა*, ნაცვლად ერეკლე დეისადისა, ასევე „თამარ მეფე“ ლაშა ბუღაძის *პირველი რუსის* ნაცვლად, რაც ნაშრომის ავტორს აძლევს საფუძველს, ივარაუდოს, რომ სინამდვილეში ამ რესპოდენტებს მათი დადებითი პასუხის მიუხედავად შესაძლებელია, სულაც არ ჰქონდეთ წაკითხული ეპატაჟური ნაწარმოებები (მეჭურჭლიშვილი 2018, 24). მიუხედავად იმისა, რომ რესპოდენტები არ იცნობენ ტექსტებს, ისინი მათ მაინც განსაზღვრავენ როგორც ეპატაჟურს. საქმე ისაა, რომ საზოგადოებრივი აზრი შეიძლება არ ეფუძნებოდეს ცოდნას მოცემული საკითხის შესახებ და იყოს არამდგრადი (Janda, Berry & Goldman 2011, 169), თუმცა იმდენად მყარი, რომ დომინანტი ჯგუფების მიერ განსაზღვრული ზოგადი ტენდენცია გაზიარებული იყოს იმ ნაწილის მიერაც, რომელიც არ ფლობს ცოდნას კონკრეტული საკითხის შესახებ. ამგვარ საზოგადოებებში, თუ საზოგადოება თანხმდება, რომ რომელიმე კონკრეტული წიგნი ეპატაჟურია, ამას სხვა დანარჩენი წევრებიც იზიარებენ, იმის მიუხედავად, იცნობენ თუ არა თავად ამ ტექსტს. შეიძლება ითქვას, რომ ტექსტების ეპატაჟურობა დომინანტ საზოგადოებრივ ნორმებთან კონსესუსის შედეგია და არა პირადი გადაწყვეტილებების.

---

<sup>106</sup> <https://forum.ge/?f=29&showtopic=34070414>

მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურული ეპატაჟი ქართული რეალობისთვის მიუღებელ პროდუქტად ითვლება, გვხვდება ცალკეული შემთხვევები, როცა იგი დასაშვებად მიიჩნევა. საზოგადოების უარყოფითად განწყობილი ნაწილისთვის ერთადერთი შემთხვევა, როცა მწერალს „ეპატიება“ ეპატაჟური ტექსტის შექმნა, არის ის, როცა მწერალი არის ავტორიტეტული პიროვნება და თან აუცილებლად არაქართველი. ნაკლებად სარწმუნოა, რომ ეროვნებით ქართველს, რაც არ უნდა ავტორიტეტული მწერალი იყოს იგი, ეპატიოს ეპატაჟური ტექსტის დაწერა. ამის მაგალითია თუნდაც ლაშა ბულაძე, რომელსაც ქართულ ლიტერატურულ წრეში მიღებული ჯილდოების და მისი როგორც მწერლის ავტორიტეტის მიუხედავად დღემდე ახსენებენ 19 წლის ასაკში დაწერილ ეპატაჟურ მოთხრობას *პირველი რუსი*. ამრიგად, ეპატაჟური სტილი ქართველობასთან შეუთავსებელ ფენომენად მიიჩნევა: „ივლინ ვო ვერ გახდები. უნდა დაიბადო“/ „გამომივიდა ესეც იუკიო მიშიმა და მიშელ უელბეკი))“<sup>107</sup>/ „დეისაძე არა მთხლე, ეგეც არ მყავდეს ანატოლ ფრანსი“<sup>108</sup>

„თუ იაღოველია ლაშა ბურაძე, მაშინ კიდევ შემიძლია გავამართლო“<sup>109</sup> - აქ თავს იჩენს შემდეგი დისკურსული წესი: ის, რაც არ ეპატიება ერთი ჯგუფის წევრს, შეიძლება ეპატიოს სხვა ჯგუფის წევრს. საცნაურია ისიც, რომ აქ აშკარავდება რელიგიური შოვინიზმიც, სახელდობრ: „ჩვენ“ და „ისინი“ ჯგუფებს შორის გამიჯვნა ერთმანეთისგან ხორციელდება არა ეთნიკური, არამედ რელიგიური ნიშნით. „ჩვენი“ ჯგუფის წევრს არ აქვს უფლება, შექმნას ეპატაჟური ლიტერატურა. „ჩვენი“ ჯგუფის წევრი არ შეიძლება იყოს ცუდი და ამორალური, ხოლო სხვა

<sup>107</sup><http://arilimag.ge/%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%94-%E1%83%93%E1%83%94%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%9A%E1%83%9D/> (აქ და წინამორბედ ციტატაში წყარო ერთია)

<sup>108</sup> <https://forum.ge/?f=18&showtopic=33713214&st=255>

<sup>109</sup> <https://forum.ge/?s=adc71ec90c1c99a7558c4019b6e7d02d&f=18&showtopic=34112852&st=0>

ჯგუფის წევრი შეიძლება იყოს ასეთი და უფრო მეტიც, არის კიდევ ასეთი: „ევროპისგან მარტო გარყვნილება გადმოიტანეს ამათმა“.<sup>110</sup>

ეთნიკური შოვინიზმი არის ის, რაც კონტენტანალიზის შედეგად გამოიკვეთა როგორც ძლიერი ნარატივი. ქართველობა ასოცირდება მაღალზნეობრიობასთან, მორალის მაღალ ხარისხთან. ეს ნარატივი გარკვეული კუთხით ეთნიკური შოვინიზმის ნიშნებს კვეთს, როცა მიიჩნევა, რომ ქართველობა ნიშნავს განსაკუთრებულობას და ის, რაც შეიძლება გააკეთოს ეროვნებით არაქართველმა, არ შეიძლება გააკეთოს ეროვნებით ქართველმა. და თუ მაინც გააკეთეს, მაშინ ეს უკანასკნელი ქართველი აღარ იქნება და „ჩვენი“ ჯგუფიდან გამოირიცხება, რათა არ შელახოს „ჩვენი“ ჯგუფის რეპუტაცია. ამ ნარატივისთვის დამახასიათებელია იმის აპრიორული მტკიცება, რომ ქართველობა ნიშნავს გამორჩეულობას: „ქართველობა არ დაიბრალოს დეისაძემ.“<sup>111</sup> სწორედ ნაციონალური შოვინიზმი უდევს საფუძვლად „ჩვენი“ ჯგუფის ე.ი. „ქართველების“ უპირატესობის მტკიცებას: „რატომ ებრძვიან ქართველობას იცით? ყველაზე წინ რომ დგას იმიტო“<sup>112</sup>

როგორც წინა თავში გაირკვა, ქართველებისთვის ნაციონალიზმი მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალა და ღირებულებაა. ნაციონალიზმი მოიცავს პატრიოტიზმს, თუმცა პატრიოტიზმი არ ნიშნავს შოვინიზმს და სხვა ეროვნების წარმომადგენელი ადამიანების ჯგუფიდან გარიყვას, თუმცა ქართულ რეალობაში ხშირად ეს ორი ცნება გარკვეულწილად იგივეობრივია. თავისთავად შოვინიზმი გადამეტებულ ნაციონალიზმს ასახავს, რაც ბუნებრივია, არც ნაციონალიზმია და არც პატრიოტიზმი. მიხეილ ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „ქართული ნაციონალიზმი ანუ პატრიოტიზმი მხოლოდ სიძულვილია უცხოელებისადმი, რომელთაც დაიპყრეს შენი სახლი, ჩვენი ცოლ-შვილი, და ჩვენი ნაშრომი.“<sup>113</sup> ვაჟა -ფშაველა იმედოვნებდა, რომ ნაციონალიზმი იქნებოდა „ჯანსაღი და არა დროს იგი

<sup>110</sup> <https://akrili.ge/?=adc85ec701=344&s#comments>

<sup>111</sup> <https://aniland.wordpress.com/2010/05/03/ek/>

<sup>112</sup> <https://akrili.ge/?=adc85ec701=344&s#comments>

<sup>113</sup> იხ. <https://csogeorgia.org/storage/app/uploads/public/5f5/a2a/057/5f5a2a057a69f247575276.pdf>

შოვინიზმად, ფანატიზმად“ არ გადაიქცეოდა (წოწკოლაური 2011, 13). თუმცა ფაქტია, რომ თანამედროვე ქართულ რეალობაში შოვინიზმის ცალსახა ნიშნები ჩანს: „პატრიოტმა ქართველმა არ უნდა დაუშვას ზნეწამხდარი ევროპელების მენტალიტეტის გაბაზანება“. ეპატაჟური ლიტერატურა მიიჩნევა ევროპულ პროდუქტად.

„Tqvennairi Xalxis Chasaxvistvis Mosaklavebi Arian Tqveni Mshoblebi.“ — ამ შემთხვევაში „თქვენნაირი“ ნიშნავს, რომ ეპატაჟური მწერლები ცალსახად უკვე გარიყული არიან „ჩვენ“ - ჯგუფიდან. „ისინი“-ჯგუფის წევრები კი „ჩვენ“-ჯგუფის წევრების მსგავსნი არ არიან. აქვე თავს იჩენს ჯგუფშიდა ფავორიტიზმი, ე.ი. „ჩვენნაირებს“, „ჩვენ“ გჯგუფის წევრებს აქვთ არსებობის უფლება, ხოლო „თქვენნაირებს“, ე.ი. „ისინი“ ჯგუფის წევრებს, — არა. ჯგუფშიდა ფავორიტიზმი კი დამახასიათებელია კოლექტივისტური საზოგადოებებისთვის (გამსახურდია 2016, 139), როგორცაა საქართველო. შესაბამისად, ჯგუფშიდა ფავორიტიზმი ქართველების ერთ-ერთი სოციალური მახასიათებელია.

„მე, როგორც ქართველს მიმაჩნია, რომ მსგავსი რამ შეურაცხმყოფელია ჩვენთვის.“ — ამ წინადადებაში კარგად ჩანს კოლექტიური კულტურისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ნიშანი, „მე“-ს, თვითობის კავშირი ჯგუფთან. კოლექტიურ კულტურებში ინდივიდუალური „მე“ განიხილება ჯგუფურ „ჩვენ“-თან მიმართებით. ამ შემთხვევაში, იდენტიფიკაცია საკუთარი თავისა არსებობს მხოლოდ ჯგუფთან, ქართველობასთან, მიმართებით. შესაბამისად, ყველაფერი რაც „ჩვენ“ ჯგუფს ეხება, განიცდება როგორც პირადი „მე“.

„Au kargit ra xalxo kargit ra gmertis ar geshiniat ra sisadzaglea ra ubedurebaa sircxvilia qartveli ro amas ikadrebs.“<sup>114</sup> — საქართველოში შეინიშნება ნაციონალური მესიანიზმიც, რომელიც ეფუძნება საკუთარი ეროვნების უპირატესობისა და გამორჩეულობის იდეას (ჭელიძე 2009, 75):

---

<sup>114</sup> <https://aninaland.wordpress.com/2010/05/03/ek/>

shen da shennairebi patriotul suls verasdros agmopxvrit! Amdenma turqma, iranelma da sxva muslimaneba da kiiidev beevrma ver moazerxa eg da shen namdvilad ver izam magas! Radgan madloba gmerets rom mainc umetesoba mainc qartvelia sakartveloshi! nu ecdebit gadajishebas!<sup>115</sup>

ქსენოფობიური გზავნილები და ის, რომ მუსლიმები ქართველების გადაჯიშებას ცდილობენ, რეცეფციის პროცესში ერთ-ერთი გამოხატული ნარატივია: „muslimebit aavses Tbilisi da mere ukvirt gadagvareba”.<sup>116</sup>

**სტიგმატიზაცია.** ტექსტები შეუძლებელია არ შეიცავდეს, თუნდაც იმპლიციტურად, იმ სისტემის ჩარჩოებს, რომელიშიც ისინი არსებობენ, თუმცა მხატვრულ ტექსტებს არ მოეთხოვებათ ღირებულებათა სისტემების ზუსტი ასახვა. მეტიც, ისინი ხშირად უპირისპირდებიან იმ სისტემურ ჩარჩოებს, რომლებიც სოციალურ რეალობაში არსებობს. ეს კი განაპირობებს კონფლიქტს ტექსტში არსებულ დისკურსებსა და სოციალურ რეალობას შორის. და, რაკი სოციალური კონტროლს აწარმოებენ დომინანტი დისკურსები, მსგავსი კონფლიქტური ტექსტები გამოირიცხებიან სოციალური რეალობიდან და აღიქმებიან როგორც ეპატაჟური. დამოკიდებულებები მხატვრული ტექსტების მიმართ გვევლინება დისკურსის პროდუქტად, ვინაიდან სწორედ ის სოციალური აგენტები, რომლებიც ინტერაქციაში შედიან ტექსტთან, ქმნიან სოციალურ რეალობას თავიანთი დისკურსული ცოდნებიდან გამომდინარე. ამ სოციალურ რეალობაში კი ტექსტი, რომელიც სცდება ნორმად ქცეულ ღირებულებებსა და დომინანტი დისკურსების მიერ გავრცელებულ ცოდნებს, აღიქმება ეპატაჟურად. ტექსტები მნიშვნელობას იძენენ მას შემდეგ, რაც მკითხველი მიანიჭებს მათ კონკრეტულ მნიშვნელობებს. ეს ნიშნავს, რომ ტექსტის მნიშვნელობის კონსტრუქცია თავად ამ ტექსტს სცდება და იმ სოციალურ რეალობაში ინაცვლებს, რომელშიც ეს ტექსტი არსებობს. როდესაც გარკვეულმა ტიპის ლიტერატურამ საზოგადოებაში შემოიტანს შფოთსა და განგაშს, იგი სიტყვა „ეპატაჟით“ აღინიშნება და გაირიყება როგორც საშიში ტექსტი.

<sup>115</sup> <https://aniland.wordpress.com/2010/05/03/ek/>

<sup>116</sup> <https://akrili.ge/?=adc85ec701=344&s#comments>

წინამდებარე კვლევაში მიგვაჩნია, რომ „ეპატაჟი“ სხვა არაფერია, თუ არა მარკერი, სტიგმა, რომელსაც საზოგადოება აწესებს მიუღებელი ტექსტებისა და ავტორების მიმართ. 2010 წლის 4 მაისს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ გაიმართა აქცია. აქციის მონაწილეები აპროტესტებდნენ სიძულვილის ენას, რომელიც ეპატაჟური ტექსტების ავტორების წინააღმდეგ იყო მიმართული და მხარს უჭერდნენ გამობატვის თავისუფლებას. მალევე ადგილზე გამოჩნდნენ მართლმადიდებლური მოძრაობის წევრები. ისინი იქ შეკრებილებს უწოდებდნენ მოლაღატეებს, ბრალს დებდნენ მათ ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდაში, რაც მკვეთრად ჰომოფობიურ განწყობებს ქმნიდა. იყო სიძულვილის ენა და მუქარაც იქ შეკრებილთა მისამართით: „ყველაფერს ძმრად ამოგადენტ ცხვირში, ქართველი ერის გარყვნას არ გაპატებთ“<sup>117</sup>. ეპატაჟური ლიტერატურა გაიგივებული იყო გარყვნილების წყაროსთან, ისმოდა ბრალდებებიც, რომ იქ შეკრებილი ხალხი და თავად ეპატაჟური ტექსტების ავტორები არიან „არაადამიანები, ცრუები, ნადირლები, ღვთის მგმობელები და ქართველების მტრები“<sup>118</sup>, რომ მათ სურთ საქართველოს განადგურება. მნიშვნელოვანია შემდეგი ორი ფრაზა, რომელიც ამ აქციაზე ასევე ისმოდა: 1. „წაეთრიეთ ამ ქვეყნიდან“<sup>119</sup> რომელიც დელიკვენტობას და მათ არა მხოლოდ იდეურად გარიყვას, არამედ გეოგრაფიულად მარგინალიზებასაც გულისხმობდა. მიიჩნევა რომ ეპატაჟური ლიტერატურის ავტორები საშიშები არიან არა მხოლოდ მათი იდეებითა და შეხედულებებით, არამედ მათი ფიზიკური ლიკვიდაციაც ან ფიზიკურად შორს ყოფნა მაინც არის საჭირო მათგან წამოსული საფრთხეების თავიდან ასაცილებლად. 2. „თქვენ ქართველები არ ხართ.“<sup>120</sup> ეს ნიშნავს გარიყვას „ჩვენ“-ჯგუფიდან და ეს გარიყული ადამიანები ავტომატურად ინაცვლებენ „ისინი“-ჯგუფში.

---

<sup>117</sup> <http://www.media.ge/ge/portal/news/37201/>

<sup>118</sup> <http://www.media.ge/ge/portal/news/37201/>

<sup>119</sup> <http://www.media.ge/ge/portal/news/37201/>

<sup>120</sup> <http://www.media.ge/ge/portal/news/37201/>



სწორედ „ჩვენ“ /“ისინი“ დიქტომიით ხდება გამოიჯვნა და განზე გადგომა ყველაფერ იმისგან, რაც არ მიიჩნევა ნორმალურად. როცა ინდივიდსა და ჯგუფს შორის ღირებულებათა კონფლიქტია, ინდივიდი ჯგუფის მიერ ირიყება და აღიქმება „სხვად“. „ისინი“ საშიშია „ჩვენთვის“, რადგან ისინი არიან ამორალურები და მავნებლები (Link & Phelan 2001, 370). ეს პროცესი ერთვარი სანქციაა ეპატაჟური ტექსტების როგორც დევიაციის ნიმუშების მიმართ.

ზაზა ბურჭულაძის შემთხვევაში, ისევე, როგორც დანარჩენ ორ ავტორთან გვხვდება „ჩვენ“-ჯგუფიდან გარიყვის როგორც სანქციის ამოქმედების მაგალითები: „ზაზა, შენ არ ხარ ქართველი.“<sup>121</sup> ჯგუფის ნორმებს დაუმორჩილებელი მწერლები დისკვალიფიცირდებიან და სოციალურად მიუღებლები ხდებიან, რის შედეგადაც მათ ენიჭებათ ეპატაჟური მწერლების ეტიკეტი, ე.ი. ისინი ხდებიან დელიკვენტები, ხოლო მათი ტექსტები კი ეპატაჟურ ლიტერატურად ცხადდება.

საქართველოში ტერმინი „ეპატაჟი“ დამკვიდრდა უარყოფითი კონოტაციის მქონე ტერმინად, რომლის მიმართაც წესდება მთელი რიგი სანქციები. ეპატაჟური ლიტერატურა აღწევს დომინანტი დისკურსებისა და ღირებულებების სამოქმედო ველში და არღვევს მათ სტრუქტურას, რაც იწვევს აღშფოთებას, მათ შორის საზოგადოების იმ ნაწილის მხრიდანაც, რომელიც არ არის ეპატაჟური ლიტერატურის მკითხველი, თუმცა თავს გრძობს და აიგივებს იმ დისკურსებთან და ღირებულებებთან, რომლებთან ინტერაქციაშიც შედის ეპატაჟური მხატვრული ტექსტები. ლიტერატურულ ეპატაჟში სიტყვა „ეპატაჟი“ არის ერთგვარი ცენზურა, რომელიც წესდება სოციალური კონტროლის შედეგად მიუღებელი და მარგინალიზებული ტექსტების მიმართ, რადგან ამ ცნებაში გაერთიანებულმა ტექსტებმა გადალახეს თავიანთი მედიების საზღვრები და შეიჭრნენ სოციალურ რეალობაში არსებულ დისკურსულ კონტექსტებში და შეეწინააღმდეგნენ მათ ან

---

<sup>121</sup> <https://forum.ge/?f=18&showtopic=33713214&st=255>

მათი ალტერნატიული ვერსიები შექმნეს. რის გამოც ისინი დისკვალიფიცირდნენ სრული სოციალური რეცეფციისთვის.

კონტენტანალიზის შედეგად გამოვლინდა მკვეთრად დისკრედიტაციული განწყობები და რადიკალურად უარყოფითი შეფასებები. სწორედ ეს კომპონენტი ის, რაც სტიგმატიზაციის მარკერებად მიიჩნევა (O'Brien & Major 2005,395).

როგორც წინამორბედ თავში აღვნიშნეთ, ბეკერის კონცეფციის მიხედვით, დევიაცია არის ატრიბუცია<sup>122</sup>, რომელსაც დომინანტი ჯგუფები სხვათა მისამართით ახორციელებენ. წინამდებარე თავში ეს მოსაზრება დადასტურდა, რადგან კომენტარების პათოსიდან გამომდინარე სკანდალური ავტორები მარკირდებიან სხვადასხვა უარყოფითი კონოტაციის შემცველი მეტაფორებით, რომლებიც მათ ჯგუფიდან გარიყვის, იდენტობის (ქართველი) ჩამორთმევის და ხშირად სიძულვილის ენისა და აგრესიული მოწოდებების ობიექტად აქცევს.

**დამოკიდებულება ეპატაჟური ტექსტებისა და მათი ავტორების მიმართ.**<sup>123</sup> ცხრილის სახით მოკლედ გამოვსახეთ ის ძირითადი მეტაფორები, რომლებიც ეპატაჟურ

---

<sup>122</sup> მიწერა, ეტიკეტირება

<sup>123</sup> მეტაფორები ამოკრეფილია შემდეგი წყაროებიდან

1. <https://www.facebook.com/biblusi.ge/photos/a.392844352863/10155209937767864/>
2. <https://forum.ge/?s=adc71ec90c1c99a7558c4019b6e7d02d&f=18&showtopic=34112852&st=0>  
<https://www.ambebi.ge/article/151949-skandaluri-kartveli-mcerlebi-da-poetebi-popularoba-religiuri-grznobebis-sheuracxqopis-xarjze/>
3. <https://www.facebook.com/rustavi2/posts/1979383612105714/>
4. <http://arilimag.ge/%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%94-%E1%83%93%E1%83%94%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%9A%E1%83%9D/>
5. <https://www.facebook.com/biblusi.ge/photos/a.392844352863/10155209937767864/>
6. [https://kvispalitra.ge/article/3463-qshedevriq-sakhelad-qsaidumlo-sirobaq-/](https://kvispalitra.ge/article/3463-qshedevriq-sakhelad-qsaidumlo-sirobaq/)
7. <https://forum.ge/?f=29&showtopic=34070414>
8. <https://forum.ge/?f=18&showtopic=33713214&st=255>
9. <https://aniland.wordpress.com/2010/05/03/ek/>
10. <https://www.ambebi.ge/article/151949-skandaluri-kartveli-mcerlebi-da-poetebi-popularoba-religiuri-grznobebis-sheuracxqopis-xarjze/>
11. <https://www.facebook.com/rustavi2/posts/1979383612105714/>
12. <http://arilimag.ge/%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%94-%E1%83%93%E1%83%94%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94-%E1%83%93%E1%83%94%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%9A%E1%83%9D/>

ავტორებსა და მათ ტექსტებს უკავშირდება. ეს უფრო თვალსაჩინოს გახდის იმ დამოკიდებულებებს, რომლებიც ლიტერატურული ეპატაჟის მიმართ არსებობს. მეტაფორებს ჩვენ განვიხილავთ ფრეიშინგის ინსტრუმენტებად. რეცეფციის პროცესში გამოყენებული ყველა მეტაფორა უარყოფითი შინაარსობრივი დატვირთვის მქონეა. ეპატაჟური ლიტერატურის მიმართ გამოყენებული ენა არის სტერეოტიპული და ვულგარული. საზოგადოებრივი აზრი მეტაფორების მეშვეობით ცდილობენ შეარცხვინონ, დასცინონ, დაადანაშაულონ და გარიყონ ეპატაჟურად აღქმული ავტორები და მათი ტექსტები.

მეტაფორები ეპატაჟურ ავტორებთან მიმართებით	მეტაფორები ეპატაჟურ ტექსტებთან მიმართებით
<p>ვითომ მწერალი სატანა ერის სირცხვილი სასაფლაოდან პერერივზე გამოსული უმსგავსო ჯოჯობეთის კერძი უნიჭო ეპატაჟნიკი ამორალი სასაფლაოდან პერერივზე გამოსული „მწერალი“ ავადმყოფი ფურცლების გამცდენი კრიშადაცურებული სატანისტი paranoidi</p>	<p>ბანალურობისა და ვულგარიზმი ცუდი ნაზავი სენი ზნედაცემულობა ტინგიცობა მკრეხელობა უნიჭობის ზეიმი სატანის ნააზრევი მარაზმი ლიტერატურული ღირებულების არმქონე უსახურობა სიბინძურე</p>

[%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%9A%E1%83%9D/](#)

13. <https://www.facebook.com/biblusi.ge/photos/a.392844352863/10155209937767864/>

14. <https://akrili.ge/?=adc85ec701=344&s#comments>

უნიათო უსახური ლიტერატურული გვამი ვაი მწერალი იაფფასიანი მწერლუკა ვაი ხელოვანი debili ganatlebuli!!! ამაზრზენი	
---	--

ეს დამოკიდებულებები ხშირად ფიზიკურ შეურაცხყოფაში ან ამისკენ მოწოდებაში გადადის. 2012 წლის 12 ოქტომბერს, რადიო თავისუფლების ვებ-გვერდზე გამოჩნდა სტატია სათაურით „ცემა - თამამი ლიტერატურისთვის“.<sup>124</sup> როგორც სტატიის ავტორი წერს, მას შემდეგ, რაც *ასავალ-დასავალის* ჟურნალისტმა „მაესტროს“ ეთერში კამათის დროს ამოიკითხა მონაკვეთი ზაზა ბურჭულაძის რომანიდან *ხსნადი კაფკა*, მწერალს ფიზიკურად გაუსწორდნენ. ერთ-ერთმა თავდამსხმელმა კი ზაზა ბურჭულაძეს მიმართა შემდეგი სიტყვებით — „თურმე რეებს წერ, ბიჭო“, რასაც ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მოჰყვა. ეს ფაქტი მიგვანიშნებს ეპატაჟური ტექსტების სოციალურად კონსტრუირებულ ბუნებაზეც და, მეორე მხრივ, ეს კონკრეტული შემთხვევა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ტექსტი გახდა ავტორის როგორც დევიანტად მარკირების მიზეზი.

“unda daichiro da sul wamebashi unda amoxado sul mara ra upleba gvaq gmerti mixedavs yvelas. Gmerti aucileblad mokitxvas mag codvas.”<sup>125</sup> „unda davxocot eseni ogond martla...

<sup>126</sup> — ამ და ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდანაც ჩანს, რომ საზოგადოებრივი აზრი ეპატაჟური ლიტერატურისა და მათი ავტორების მიმართ მკვეთრად ნეგატიურია. საზოგადოებრივი აზრი რომ ნამდვილად შეიძლება იქცეს საშიშ ფენომენად, ეს რეცეფციის პროცესშიც შესამჩნევია. ხშირია მოწოდებები ეპატაჟური ავტორების

<sup>124</sup> იხ. <https://www.radiotavisupleba.ge/a/zaza-burchuladze/24737198.html#comments> (05.12.2021).

<sup>125</sup> <https://aninaland.wordpress.com/2010/05/03/ek/>

<sup>126</sup> იგულისხმება ერეკლე დეისაძე

არა მხოლოდ სიტყვიერი შეურაცხყოფის, არამედ ფიზიკური ლიკვიდაციისკენაც. კომენტარებში ხშირია მოწოდებები პროტესტისკენ და ერთგვარი კონტროლის დაწესების მცდელობა იმაზე, როგორი შეფასებები უნდა მოჰყვეს საზოგადოების მხრიდან ეპატაჟურ ტექსტებს: „ყველამ უნდა გამოთქვას ამასთან დაკავშირებით თავისი აზრი და დაგმოს მარაზმი, რომ სხვამ ამგვარი უწმინდურობის დაწერა და გამოცემა აღარ გაბედოს!!!!“<sup>127</sup> — ამ შემთხვევაში აზრის გამოხატვაში იგულისხმება არა რეალური შეხედულებების დაფიქსირება, არამედ მოწოდება პროტესტისკენ და დაგმობა ეპატაჟური ტექსტებისა. ამ შემთხვევაში ეპატაჟური ტექსტების შეფასების ნარატივი საზოგადოებრივი აზრითაა ნაკარნახევი: „ეს ვითომმწერლობა გასაპროტესტებელია თითოეული ქართველის მიერ.“<sup>128</sup>

გაბატონებული დისკურსის ფარგლებში იმედისმომცემად მიიჩნევა ის კომენტარები, რომლებიც არა მხოლოდ ცალსახად სიძულვილის ენის შემცველია, არამედ პირდაპირ შეიცავს მოწოდებებს ეპატაჟური მწერლების ფიზიკური ლიკვიდაციისკენ: „კომენტარებს გადავხედე და მოწონებებსაც გადავხედე და გამეხარდა კვლავ ჯანმრთელი და საღი აზრი რომ იმარჯვებს საზოგადოებაში, იმედისმომცემია“<sup>129</sup> აშკარა სიძულვილის ენის შემცველია შემდეგი გამონათქვამიც, რომელიც აბორტის ლეგალიზაციას დასაშვებად მიიჩნევს, მაშინ როცა საკითხი ეპატაჟური ტექსტების ავტორებს ეხებათ: „რომ არ დაბადებულიყო საერთოდ ხომ სჯობდა, ამ წუთში ვემხრობი აბორტს“<sup>130</sup>.

**სოციალური კონტროლი.** უარყოფითი მოწოდებები ეპატაჟური ლიტერატურის ავტორების მიმართ არის ერთგვარი ცდა სოციალური კონტროლის დამყარებისა. სოციალური კონტროლი მოქმედებს არამხოლოდ ეპატაჟური ავტორების, არამედ ეპატაჟური ტექსტების მკითხველების, გამავრცელებლებისა და გამომცემლების მიმართაც. ხშირად მათ მიმართ დამოკიდებულებები ძალიან მწვავე და

<sup>127</sup> <https://kvispalitra.ge/article/3463-qshedevriq-sakhelad-qsaidumlo-sirobaq/>

<sup>128</sup> <https://akrili.ge/?=adc85ec701=344&s#comments>

<sup>129</sup> <https://www.facebook.com/biblusi.ge/photos/a.392844352863/10155209937767864/>

<sup>130</sup> <https://www.facebook.com/biblusi.ge/photos/a.392844352863/10155209937767864/>

კრიტიკულია. ეპატაჟური ტექსტების მიმართ უარყოფითად განწყობილი ადამიანები ცდილობენ სხვათა შეხედულებებიც აკონტროლონ ან შეურაცხყოფა მიაყენონ მათ, თუ ისინი ამ კონტროლს აღარ ექვემდებარებიან. ამ შემთხვევაში არა მხოლოდ კონტროლთან არამედ მკითხველისთვის თავისუფალი არჩევანის შეზღუდვასთანაც გვაქვს საქმე.

„სირცხვილის პროპაგანდისტები“<sup>131</sup>. „ვითომ ელიტატორები“<sup>132</sup> - ამ ეპითეტებით ამკობენ იმ ადამიანებს, რომლებიც გამოსცემენ, იწონებენ ან კითხულობენ ეპატაჟურ ლიტერატურას. იმათი მისამართით კი, ვინც აქვეყნებს ან პიარს უკეთებს ეპატაჟურ ტექსტებს, გამოიყენება ეპითეტი „ფსევდო ლიბერალიზმობანა“<sup>133</sup>, რომელიც, ერთი მხრივ, ანტილიბერალურ დისკურსს, ხოლო მეორე მხრივ, ამ ადამიანებისა თუ ორგანიზაციების მიმართ ირონიას შეიცავს. „pu tqveni...purtxis girsebic ki ar xar patologebo“<sup>134</sup> - ამ შემთხვევაში ფსიქიკურად ავადმყოფად არა მხოლოდ ეპატაჟური ავტორები, არამედ მათი მკითხველებიც მოიაზრებიან ისევე, როგორც გამავრცელებლები და რედაქტორები.

სოციალური მედიის მომხმარებლები ხშირ შემთხვევაში ეპატაჟური ტექსტების ავტორების არა შემოქმედებას არამედ მათ წინააღმდეგ მიმართული სიძულვილის ენას აპროტესტებენ, სწორედ ამიტომ ხშირად ისინი თავად ხდებიან სიძულვილის ენისა და შეურაცხყოფის სამიზნეები: „ტფუ ვინც იკადრებს და ამ სატანას მწერლად გამოაჩენს და იმ ხალხს ვინცა მიიღებს“.<sup>135</sup> „ერთ ავადმყოფს კიდევ აიტანს ხალხი, მაგრამ აი ავადმყოფს მხარს რო უბავენ და იცავენ, აი მანდ გვაქვს უკვე ძაან ცუდად საქმე წასული.“<sup>136</sup> „ტფუ ვინც იკადრებს და ამ სატანას მწერლად გამოაჩენს და იმ ხალხს ვინცა მიიღებს“.<sup>137</sup>

<sup>131</sup> <https://www.facebook.com/biblusi.ge/photos/a.392844352863/10155209937767864/>

<sup>132</sup> <http://demo.ge/index.php?do=full&id=512>

<sup>133</sup> <https://www.facebook.com/biblusi.ge/photos/a.392844352863/10155209937767864/>

<sup>134</sup> <https://aniland.wordpress.com/2010/05/03/ek/>

<sup>135</sup> <https://www.facebook.com/biblusi.ge/photos/a.392844352863/10155209937767864/>

<sup>136</sup> <https://forum.ge/?s=adc71ec90c1c99a7558c4019b6e7d02d&f=18&showtopic=34112852&st=0>

<sup>137</sup> <https://www.facebook.com/biblusi.ge/photos/a.392844352863/10155209937767864/>

აქვე, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ხშირად კომენტარებში იმართება კამათი სოციალური მედიის იმ მომხმარებლებს შორის, რომლებიც უშვერი სიტყვებით მოიხსენიებენ ეპატაჟურ ტექსტებსა და მათ ავტორებს და იმ ნაწილს შორის, რომლებიც ამ უკანასკნელთა ქცევას არ იწონებენ. ამ მხრივ, თავად საზოგადოება გვევლინება სოციალური კონტროლის აგენტად, რომელიც ცდილობს თავის შეხედულებებს დაუქვემდებაროს იმ ადამიანთა მოსაზრებები, რომლებიც მათ მსგავსად არ ფიქრობენ. ხშირია შემთხვევები, როცა სოციალური მედიის მომხმარებლები, რომლებიც სიძულვილის ენის წინააღმდეგ ან ავტორის შემოქმედებითი თავისუფლების შეზღუდვის წინააღმდეგ გამოდიან, შლიან კომენტარებს. ეს არის ფაქტი რადიკალურად უარყოფითად განწყობილი ადამიანების მხრიდან განხორციელებული წნეხისა და ამ წნეხის ზემოქმედებისა.

ეპატაჟური მხატვრული ტექსტების არსებობის გამო მიიჩნევა, რომ ქართული ლიტერატურა საფრთხეშია და მას გადარჩენა სჭირდება, ამიტომ საზოგადოება თვლის, რომ „ქართული ლიტერატურის გადასარჩენად მორატორიუმის გამოცხადებაა საჭირო... მიზანი ერთია დიადი ნათელი. ქართული ენის გადარჩენა თუნდაც დროებითი დაკონსერვების გმით!!!“.<sup>138</sup> აღინიშნება ისიც, რომ ქართულ ლიტერატურასთან ერთად საფრთხეშია ქართული ენაც. სავარაუდოდ, ამის მიზეზად ეპატაჟის სკაბრეზული სტილი მიიჩნევა. მორატორიუმის გამოცხადება ლიტერატურისთვის ცენზურის არსებობას ნიშნავს. ცენზურის მოთხოვნა კი სოციალური კონტროლის მოთხოვნაა, ვინაიდან ცენზურა ეს არის სოციალური კონტროლის მექანიზმი.

იკვეთება შემდეგი ტენდენციაც, რომ ავტორმა საკუთარ თავს თვითცენზურა უნდა დაუწესოს და ყველაფრის უფლება არ უნდა მისცეს. ეპატაჟური ლიტერატურა განიხილება სწორედ იმის ნათელ მაგალითად, რომ „ავტორმა ცოტა არ იყოს ბევრის

---

<sup>138</sup> <https://forum.ge/?f=18&showtopic=33713214&st=255>

უფლება მისცა თავს.<sup>139</sup> / „ყველაფრის დაწერა ხომ არ შეიძლება, ხომ არის რაღაც ხელშეუხებელი, ამაზე ხომ უნდა იფიქროს მწერალმა“.<sup>140</sup>

„და ამ ქვეყანაში ცენზურა არ არის?“<sup>141</sup> \_ ცენზურა, რომელმაც უნდა გააკონტროლოს ყველაფერი. მეტიც, სოცმედია მომხმარებლების ნაწილი „ზნეობრივ-მენტალური კანონის“<sup>142</sup> არსებობასაც მოითხოვს, რაც ნიშნავს არა მხოლოდ ლიტერატურული პროცესების, არამედ ფაქტობრივად, მთელი საზოგადოების და მასში მიმდინარე პროცესების კონტროლს. მიიჩნევა, რომ „ზნეობრივ-მენტალური კანონის არქონის შემთხვევაში ვერანაირი კანონი, ... ვერავინ ვერ გვიხსნის“<sup>143</sup> . ამრიგად, საზოგადოების ნაწილი თვლის, რომ ზნეობრიობა და მენტალიტეტი უნდა კონტროლდებოდეს, რათა ქვეყანა უმსგავსობის ქაოსში არ გადაეშვას. უმსგავსობის ქაოსის მომასწავლებლად კი ეპატაჟური ლიტერატურა მიიჩნევა.

ამრიგად, ანალიზის პროცესში დადგინდა, რომ საზოგადოება თვითონ ითხოვს სოციალურ კონტროლს. ამას ადასტურებს როსის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, კონტროლი არის ის მოცემულობა, რომელიც მსგავსად კვებისა, აუცილებლობითაა განპირობებული (Ross 1896, 521), რადგანაც „დევიაციის მსგავსად, მისი [სოციალური კონტროლის] შეზღუდვის მექანიზმებიც სოციალური კონსტრუქციისაა“ (კალჰუნი 2008, 249). სწორედ საზოგადოება განსაზღვრავს, რომელი ქმედება შეფასდეს დევიანტურად და რომელი არა (Erikson 1962, 308). ლიტერატურული ეპატაჟი, როგორც აღვნიშნეთ ცალსახად დევიანტურ ქმედებადაა მარკირებული, რომელსაც სოციალური კონტროლი უდევს საფუძვლად.

---

<sup>139</sup> <https://forum.ge/?f=18&showtopic=33713214&st=255>

<sup>140</sup> <https://akrili.ge/?=adc85ec701=344&s#comments>

<sup>141</sup> <https://forum.ge/?s=adc71ec90c1c99a7558c4019b6e7d02d&f=18&showtopic=34112852&st=0>

<sup>142</sup> <https://www.ambebi.ge/article/151949-skandaluri-kartveli-mcerlebi-da-poetebi-popularoba-religiuri-grznobebis-sheuracxqopis-xarjze/>

<sup>143</sup> <https://www.ambebi.ge/article/151949-skandaluri-kartveli-mcerlebi-da-poetebi-popularoba-religiuri-grznobebis-sheuracxqopis-xarjze/>



სოციალური კონტროლი აწესებს სანქციებს გადაცდომების მიმართ. ერთ-ერთი მომხმარებელი აღნიშნავს, რომ „მე არ წამიკითხვას თქვენი პირველი წიგნი, იმიტომ არა, რომ კითხვა მეზარება, ან მეშინია, იმიტომ არ წავიკითხე, რომ მეწყინა, ადამიანმა, შემოქმედმა საკუთარი თავის გასაპიარებლად ეს გზა რომ აირჩია.“<sup>144</sup> ეპატაჟური ტექსტების წინააღმდეგ ამოქმედებულ ერთ-ერთ სანქციად შეიძლება ჩაითვალოს მათ მიმართ პროტესტი და ამ პროტესტის ფონზე მათი არ წაკითხვა. დომინანტური ნორმებისთვის შეუსაბამო ქცევა კი შეიძლება ჩაითვალოს კრიმინალურ, დევნიანტურ ქმედებად ან სოციალურ პრობლემად და ამის გამო დაექვემდებაროს სოციალურ კონტროლს (International Council on Human Rights Policy 2010,7-8).

ლაშა ბუღაძის „პირველი რუსის“ განხილვამ პარლამენტშიც შეაღწია და დეპუტატები იქცნენ სოციალური კონტროლის აგენტებად. ლაშა ბუღაძეს რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფაში ადანაშაულებდნენ და აღნიშნავდნენ, რომ თამარ მეფე არის ერის დედა და მისი ამ კონტექსტებში მოხსენიება, როგორც ამას ლაშა ბუღაძე აკეთებდა, არ შეიძლება. როგორც ლაშა ბუღაძე იხსენებს, პირველად სწორედ პარლამენტშივე ითქვა, რომ ის უნდა განეკვეთათ. ეპატაჟური ავტორის „ჩვენ“ ჯგუფიდან განკვეთა და მისი გარიყვა სოციალური კონტროლის კიდევ ერთი მექანიზმია. ამ შემთხვევაში კი სოციალური კონტროლის აგენტებად იმდროინდელი<sup>145</sup> ხელისუფლება გვევლინება. ბუღაძის თქმით, მის განკვეთას არა მხოლოდ პარლამენტის წევრები, არამედ ეკლესიაც მოითხოვდა. ავტორი რამდენჯერმე იქნა დაბარებული საპატრიარქოში, სადაც მას აღნიშნული მოთხოვნის გამო ბოდიშის მოხდას სთხოვდნენ.<sup>146</sup>

ლაშა ბუღაძის „პირველი რუსის“ სოციალური კონტროლის აგენტის როლში მედია საშუალებებიც გვევლინებიან. როგორც თავად ლაშა ბუღაძე აღნიშნავს,

---

<sup>144</sup> <http://liberali.ge/blogs/view/20331/salome.ge>

<sup>145</sup> 2002 წელი

<sup>146</sup> <https://forum.ge/?f=29&showtopic=34070414>

იმდროინდელ (საუბარია 2002 წელზე) „რუსთავი 2“-ში ცენზორები მრავლად იყვნენ. „რუსთავი 2“-მა ამოჭრა და დაამუშავა ლაშა ბულაძის გამოსვლა, საიდანაც მხოლოდ ის ნაწილი დატოვა, სადაც მწერალი წუხდა იმ გარემოების შესახებ, თუ ვინმეს მისი ტექსტით შეურაცხყოფა მიადგა, ამ ფრაზას კი მოჰყვა ჟურნალისტის სიტყვები, რომ ლაშა ბულაძემ ბოდიში მოიხადა<sup>147</sup>, რეალურად კი მას ბოდიში არ მოუხდია. უფრო მეტიც, ბულაძის რეალური პოზიცია მისივე ტექსტის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟზე არცერთ ტელეკომპანიას არ გაუშუქებია. ამ მაგალითიდან გამომდინარე იკვეთება სამი ინსტანცია, რომელიც საზოგადოებაში სოციალურ კონტროლს აწესებს, პოლიტიკური პარტიები, მედია და რელიგიური ორგანიზაციები. ამას ემატება ზემოთ მოყვანილი მაგალითები, სადაც სოციალური კონტროლის აგენტებად გვევლინება საზოგადოებრივი აზრი, ულტრამერჯვენე ძალები და ანტილიბერალურად განწყობილის ჯგუფები.

**უარყოფითი ლექსიკური ერთეულები და მათი ფუნქციები.** კონტენტანალიზის პროცესში დიდი რაოდენობით გამოიკვეთა უარყოფითი ლექსიკური ერთეულები. უარყოფითი ლექსიკური ერთეულები გამოხატავენ იმ დამოკიდებულებებს, რაც დისკურსში ეპატაჟური ლიტერატურის მიმართ არსებობს. ძირითადად, უარყოფის ნაწილაკები გამომრიცხავი კონოტაციით, კატეგორიული ტონის გასაძლიერებლად და საკითხის გარშემო უკიდურესად ნეგატიური დამოკიდებულების გამოსახატავად გამოიყენება.

კონტენტ-ანალიზის შედეგად გამოიკვეთა უარყოფის მაწარმოებელი ნაწილაკების ხშირი გამოყენების ტენდენცია. დიდი რაოდენობით ვხვდებით შემდეგ უარყოფით ნაწილაკებს: **არ** (282 - ჯერ), **ვერ** (105-ჯერ), **ნუ** (81- ჯერ).

უკუთქმითი ნაწილაკებიდან „არ“ ეს არის პირველადი და მარტივი უარყოფა. „ვერ“ ნაწილაკი გამოხატავს მოქმედების შესრულების შეუძლებლობას, ხოლო „ნუ“ რაიმე სახის მოქმედებას კრძალავს (შანიძე, 198, 610). მარტივად რომ ვთქვათ, „არ“-

<sup>147</sup> <https://forum.ge/?f=29&showtopic=34070414>

ნეიტრალური ან კატეგორიული უარყოფა, „ნუ“- აკრძალვითი უარყოფა და „ვერ“- შესაძლებლობის უარყოფა (შარაშენიძე 2015. 210). თუმცა კონტენტანალიზის პროცესში მათი დამატებითი ფუნქციებიც გამოიყო. კერძოდ, „არ“ ნაწილაკი რამდენიმე ფუნქციით გამოიყენება. მაგალითად, ეპატაჟური ავტორების ზოგადად მწერალთა ჯგუფიდან გამოსარიცხად: „დეისაძე და მისი მსგავსები მწერლებად არ უნდა მოიაზრებოდნენ.“<sup>148</sup> სიმულვილის ენის გამოსაყენებლად: „რომ არ დაბადებულიყო საერთოდ ხომ სჯობდა“<sup>149</sup> ფაქტობრივი ინფორმაციის მისაღებად „არავინ არ იცის სად ცხოვრობს ეს პირუტყვი?“<sup>150</sup> და გასაცემად „ეს წიგნი არ წამიკითხავს.“<sup>151</sup> სურვილის გასაცხადებლად „იმედია არ გამოაქვეყნებთ და არ დაბეჭდავთ სატანის ნააზრევს და ნაბოდიხებს.“<sup>152</sup> სურვილის გამომხატველია, ასევე შემდეგი ნაწილაკი „აღარ“: „იმედია მსგავს რამეებს აღარ ვიხილავთ“<sup>153</sup>.

ასევე ვხვდებით შედარების მიზნით გამოყენებულ უარყოფით ნაწილაკებს: „რა დეისაძე? ვინ კი არა რა.“/ „ცოდვას უნდა ებრძოლო სახალხოდ კი არ უნდა გააფეტიშო.“<sup>154</sup> ასევე, გამოიკვეთა უარყოფითი ნაწილაკები, რომლებიც ეჭვს გამოხატავენ: „რაც არა მგონია ეგ ავტორი ფსიქიკურად ნორმალური იყოს“ და ვარაუდს „ამის დამწერი ვერ იქნება სრულ ჭკუაზე“.

„გარყვნილებას ნუ გვახვევს, ნუ ავრცელებთ ამ უმსგავსობას“<sup>155</sup>, ამ შემთხვევაში ეს მიმართვა ბრძანების ფორმას იღებს, რომელიც ამავდროულად კრძალავს ეპატაჟური ლიტერატურის არსებობას, ვინაიდან ეს უკანასკნელი მიიჩნევა უმსგავსობად. რეცეფციის პროცესში „ნუ“ ნაწილაკი უმეტესად აკრძალვის ფუნქციით გამოიყენება.

---

<sup>148</sup> <https://www.facebook.com/biblusi.ge/photos/a.392844352863/10155209937767864/>

<sup>149</sup> <https://www.facebook.com/biblusi.ge/photos/a.392844352863/10155209937767864/>

<sup>150</sup> <https://www.facebook.com/biblusi.ge/photos/a.392844352863/10155209937767864/>

<sup>151</sup> <https://akrili.ge/?=adc85ec701=344&s#comments>

<sup>152</sup> <https://www.facebook.com/biblusi.ge/photos/a.392844352863/10155209937767864/>

<sup>153</sup> <https://akrili.ge/?=adc85ec701=344&s#comments>

<sup>154</sup> <https://www.facebook.com/biblusi.ge/photos/a.392844352863/10155209937767864/>

<sup>155</sup> <https://akrili.ge/?=adc85ec701=344&s#comments>

ასევე, ვხვდებით უარყოფითი ნაწილაკის „არა“-საგან ნაწარმოებ სახელებს: არაეთიკური, არაკაცი, არაადეკვატური, არაზნეობრივი, არაადამიანი, არაკორექტული, არასერიოზული, არაფრისმთქმელი, არამართლმადიდებლური.

აქვე ვხვდებით ზედსართავი სახელებისგან და არსებითი სახელებისგან ნაწარმოებ ცირკუმფიქსებს<sup>156</sup>, რომლებიც, სავარაუდოა, რომ მიზნად ისახავენ არა ნაწილეკების, არამედ წინადადების უფრო მთავარი წევრების მიერ უარყოფითი კონოტაციის მქონე შინაარსის გამმაფრებას. ჩვენ შემთხვევაში ისინი უ/ო და უ/ი პრეფიქს-სუფიქსებით იწარმოებიან და მიემართებიან ეპატაჟურ ლიტერატურასა და მათ ავტორებს. მაგ:

„უ-ნიჭო-ო“ „უ-ტვინ-ო“ „უ-ზნე-ო“ „უ-ინტერეს-ო“ „უ-ფსკრ-ულ-ი“ „უ-სიამოვნ-ო“ „უ-ხარისხ-ო“ „უ-რიგ-ო“ „უ-ღმერთ-ო“ „უ-აზრ-ო“ „უ-შედეგ-ო“ „უ-ჯიმ-ო“ „უ-ბედ-ურ-ი“, „უ-მსგავს-ო“.

აქვე უნდა აღვნიშნოთ მოდალობა „უნდა“. „უნდა“ არა მხოლოდ რაიმე ჯგუფიდან ეპატაჟური ავტორებისა და მათი ტექსტების გამორიცხვას ემსახურება, არამედ „უნდა“ ითავსებს ჯგუფშიდა ფავორიტიზმის წარმოჩენის ფუნქციასაც და ეროვნება „ქართველს“ წარმოაჩენს როგორც განსაკუთრებულს სხვა ერთა შორის. სწორედ ამავე ლოგიკის თანახმად, ქართველმა არ შეიძლება რომ არათუ დაწეროს, არამედ წაიკითხოს და მით უფრო გაავრცელოს ეპატაჟური ლიტერატურა: „ქართველი ამას უნდა აკეთებდეს?“<sup>157</sup>

საზოგადოებრივი აზრი ასევე, სხვასაც ავალდებულებს „უნდა“-თი, რომ გაიზიარონ მისი პროტესტის მუხტი: „ყველამ უნდა გამოთქვას ამასთან დაკავშირებით თავისი აზრი და დაგმოს ეს მარაზმი“<sup>158</sup> აქ, ერთადერთ აზრად მიჩნეულია მარაზმის, ე.ი. ეპატაჟური ლიტერატურის გმობა, ვინაიდან „და“ კავშირის ნიშნავს, რომ ცალ-ცალკე ეს ორი მოცემულობა „აზრის გამოხატვა“ და

<sup>156</sup> ცირკუმფიქსები წარმოადგენს აფიქსების ჯამს ( მახარობლიძე 2015, 71)

<sup>157</sup> <https://akrili.ge/?=adc85ec701=344&s#comments>

<sup>158</sup> <https://forum.ge/?s=adc71ec90c1c99a7558c4019b6e7d02d&f=18&showtopic=34112852&st=0>

„დაგმობა“ ვერ შესრულდება, ისინი თანადროულად უნდა მოხდეს, და კავშირი არ მოიაზრებს არჩევანს (მაგ. ან კავშირისგან განსხვავებით). შესაბამისად, აქ აზრის გამოხატვაში, არა მაგალითად ეპატაჟური ტექსტების მხარდაჭერა, არამედ ცალსახად, მათი გმობა იგულისხმება, სხვა ალტერნატივა არ არსებობს და ის უპირობოა, რადგან უნდა შესრულდეს.

ასევე „უნდა“ მოდალური ფორმა გამოიყენება შერცხვენისთვის და საყვედურის გამოსახატვადც „ასე უნდა გამოიყურებოდეს პატრიოტის და ქართველის მენტალობა?“<sup>159</sup> ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს „უნდა“ მოდალობის დეონტური ფორმის გამოყენებასთან. დეონტური ფორმის თანახმად მოქმედება, რომელიც „უნდა“ მოდალობითაა აღნიშნული, აუცილებლად შესასრულებელია, ეს პროცესი კონტროლდება ან შესაძლოა გაკონტროლდეს (შარაშენიძე 2015, 2011).

ასევე, მოდალობა „უნდა“ გამოიყენება ბრძანების და ერთგვარად რაიმე სახის ქცევისკენ წახალისების ფორმითაც. „ამის დამწერები უნდა დაწვა ცოცხლად ეს სატანისტები \*\*\*\* ... ვინც ესეთ მკრეხელობას წერს“.<sup>160</sup>

ხშირია შემდეგი უარყოფების გამოყენება: „აღარასოდეს“ „აღარაფერი“ „აღარც“ „აღარავინ“ „აღარ“. ამ სიტყვებში ნაწილაკი „აღარ“ ასრულებს მნიშვნელოვან როლს. „არა“ უარყოფით ნაწილაკში ჩამატებული „ღ“ თითქოს უფრო კატეგორიულ ტონს იძენს და უკვე მომხდარი ფაქტების მომავალში განმეორებას გამორიცხავს. ეს ნაწილაკები ერთგვარ პრევენციას გამოხატავენ. ე.ი. მართალია, ერთხელ უკვე დაიწერა და გავრცელდა ეპატაჟური ლიტერატურა, მაგრამ მსგავსი ფაქტი მომავალში აღარ უნდა მოხდეს. „აღარაფერს აღარ შევიძენ“<sup>161162</sup> აქ კატეგორიულ ტონს და სრულ გამორიცხვას, არა მხოლოდ უარყოფითი ნაწილაკი „აღარ“, არამედ ორმაგი უარყოფა „აღარაფერს აღარ“-იც გამოხატავს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს

<sup>159</sup> <https://akrili.ge/?=adc85ec701=344&s#comments>

<sup>160</sup> <https://akrili.ge/?=adc85ec701=344&s#comments>

<sup>161</sup> <https://www.facebook.com/biblusi.ge/photos/a.392844352863/10155209937767864/>

<sup>162</sup> საუბარია წიგნის მაღაზია ბიბლუსზე, რომელმაც ერეკლე დეისაძე მოიწვია სტუმრად.

სანქციის კიდევ ფორმასთან, ასე ემუქრებიან იმ წიგნის მაღაზიებს, რომლებიც ეპატაჟურ ავტორებს იწვევენ. ერთგვარ მუქარასაც შეიცავს შემდეგი ტონით ნათქვამი სიტყვებიც „ძლიერი პროტესტის შექმნაა საჭირო, რათა სხვამ ამგვარი უწმინდურობის დაწერა და გამოცემა აღარ გაბედოს!!!“<sup>163</sup>. ორივე ციტატი ცალსახად ეპატაჟური ლიტერატურის გავრცელების წინააღმდეგაა მიმართული.

„არაფერი“ გვევლინება როგორც რაიმეზე აპრიორი ცოდნის, აპრიორი ჭეშმარიტების ფლობის მტკიცება:

„უაზრობაა მეტი არაფერი. ნორმალურმა ადამიანმა სხვა დასკვნა როგორ უნდა გამოიტანოს“<sup>164</sup>.

„ჯოჯოხეთი ალაპარაკებს ამ ადამიანს სხვა არაფერი, მეტი რა უნდა იფიქროს კაცმა“<sup>165</sup>

აქ თავს იჩენს აპრიორი ჭეშმარიტების მტკიცება და სხვა ყველა ალტერნატივის გამორიცხვა. აპრიორი ჭეშმარიტების მტკიცების ტენდენცია კი, როგორც პირველ თავში აღვნიშნეთ, გააჩნიათ დომინანტ დისკურსებს. საზოგადოებრივი აზრი, სწორედ დომინანტ დისკურსებს ახმოვანებს. ისინი გამორიცხავენ სხვა ალტერნატივებს და ამტკიცებენ რომ ჭეშმარიტების ფლობის პრივილეგია მხოლოდ მათ გააჩნიათ. მსგავსი დამოკიდებულებები შეიძლება ითქვას, რაც უფრო მეტი იქნება ეს იმოქმედებს კომფორმულობის დონის მატებაზეც, რადგან ვიღაცები რომლებსაც არ ენდომებათ რომ „არანორმალურებად“ მიიჩნიონ, იმის მიუხედავად ეთანხმებიან თუ არა ამ მოსაზრებას, მაინც დაუჭერენ მას მხარს და იტყვიან, რომ ეპატაჟური ლიტერატურა „უაზრობაა“. ის რომ საზოგადოებაში მსგავსად ბევრი ფიქრობს და კომფორმულობის მატების პოტენციური შესაძლებლობაც არსებობს ეს რეცეფციის პროცესიდან გამომდინარეც იკვეთება.

კონტენანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ გამოიყენება შორისდებული „ვაი“, თუმცა ის არ გამოიყენება, როგორც უარყოფის გამომხატველი შორისდებული.

<sup>163</sup> <https://akrili.ge/?=adc85ec701=344&s#comments>

<sup>164</sup> <https://akrili.ge/?=adc85ec701=344&s#comments>

<sup>165</sup> <https://forum.ge/?s=adc71ec90c1c99a75c4019b6e7d02d&f=8&showtopic=34112852&s9>

„ვაი“ ამ შემთხვევაში რამდენჯერმე გამოყენებულია „კვაზის“ „ცრუს“ სინონიმად. „ვაი\_მწერლებს ნუ აპიარებთ.“<sup>166</sup>/ „ვაისაზოგადოება“<sup>167</sup> უნდა აღინიშნოს, რომ სხვა დარჩენ შემთხვევაში უარყოფის გამომხატველ შორისდებულებს არ ვხვდებით (მაგ. ფუი, უჰ და ა.შ.)

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ უარყოფის ზმნიზედები, უარყოფის ნაცვალსახელები და უარყოფის ნაწილაკები საკმაოდ დიდი რაოდენობით გამოიკვეთა ანალიზის პროცესში: არ (282), არა (61), არც (45), არაფერი (19), აღარ (16), არავინ (7), ვერც (7), ვეღარ (6), არაა (5), ვერსად (4), არასოდეს (3), არცერთ (3), არცა (3), არასდროს (3), ვერავინ (2), არავითარ (2), არანაირ (2), აღარაფერი (1), ვერანაირ (1), ვერაფერი (1), ვერცერთი (1), ნუთუ (1), ნულარ (1), რაღაც (1), აღარ (1). რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, ეპატაჟური ლიტერატურის გარშემო არსებულ უარყოფით დამოკიდებულებას.

### 3.4. პოზიტიური ფრეიმები

უარყოფითი ფრეიმებისგან განსხვავებით, რომლებიც ეპატაჟის მიზეზად თავად ავტორს და მის მიზნებს ასახელებენ, ადამიანები, რომლებიც პოზიტიური ფრეიმებით მსჯელობენ ეპატაჟის მიზეზს საზოგადოებასა და მასში გავრცელებულ კონტექსტებში ხედავენ. პოზიტიურ ფრეიმებში ლიტერატურული ეპატაჟი განხილულია როგორც ლიტერატურული პროცესი და არა ვინმეს მიერ წინასწარ მიცემული შეკვეთა ან მწერლის სურვილი, გახდეს პოპულარული. კონტენტანალიზის შედეგად გამოკვეთილი პოზიტიური ფრეიმები ძირითადად ხსნიან მიზეზს მხატვრული ტექსტის ეპატაჟურობისა, ან მხარს უჭერენ ავტორს როგორც სიძულვილის ენის ობიექტს.

<sup>166</sup> <https://akrili.ge/?=adc85ec701=344&s#comments>

<sup>167</sup> <https://forum.ge/?s=adc71ec90c1c99a75c4019b6e7d02d&f=8&showtopic=34112852&s9>

სოციალური მედიის მომხმარებელთა გარკვეულ ნაწილს მიაჩნია, რომ ეპატაჟურმა ტექსტებმა ხმაური გამოიწვიეს, რადგან ისინი ეხებოდნენ საზოგადოებაში არსებულ სოციალურ პრობლემებს, ეს ის პრობლემებია, რომლებზე საუბარიც ქართულ სივრცეში მიუღებელია და შიშს აღძრავს: „შავი სატირაა ჰომოფობიაზე. ანუ დეისადემ საზოგადოებას დაანახა სწორედ ის ბუა, რომლისაც ეშინიათ“<sup>168</sup>.

ასევე მიიჩნევა, რომ საზოგადოებისთვის მტკივნეულ საკითხებზე წერა, ე.ი. იმ საკითხებზე, რომლებზეც საზოგადოება მტკივნეულად რეაგირებს ან რომელთა მიმართაც გამოხატავს უარყოფით განწყობებს, იწვევს აჟიოტაჟს: „მე კი მგონია, რომ მტკივნეულ წერტილებშია დამიზნებული და მაგიტომ მიიჩნევა ###ობად.“<sup>169</sup> იმას, რომ ეპატაჟური ტექსტები საზოგადოებაში არსებულ მტკივნეულ საკითხებსა და სოციალურ პრობლემებს ეხება, ერეკლე დეისადეც ადასტურებს: „მე საზოგადოების მაჯისცემას ვუსმენ და ნებისმიერ სიტუაციაში შემიძლია მისი სუსტი წერტილი დავინახო და თითი დავაჭირო. ეს საქმიანობა ძალიან მიყვარს“.<sup>170</sup>

პოზიტიურ ფრეიმებში, არსებობს პოზიცია, რომ ხალხს მორალური უფლება არ აქვს ლანძღოს ვინმეს შემოქმედება, რადგან ტექსტი არის ავტორის კუთვნილება და არა ხალხის: „ეს ერეკლესია და არა ხალხის“<sup>171</sup> ამიტომ იმას, რაც ხალხის კუთვნილება არაა, შეურაცხყოფას ვერ მიაყენებენ.

ნაწილი სოციალური მედიის მომხმარებლებისა აცხადებს, რომ მწერლის ფანტაზია უნდა იყოს თავისუფალი, მწერალს უნდა გააჩნდეს შემოქმედებითი თავისუფლება და მისთვის ტაბუს დაწესება არ შეიძლება. ყველგან ასე ხდება და საქართველო არ

---

<sup>168</sup> <http://arilimag.ge/%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%94-%E1%83%93%E1%83%94%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%9A%E1%83%9D/>

<sup>169</sup> <https://forum.ge/?s=adc71ec90c1c99a7558c4019b6e7d02d&f=18&showtopic=34112852&st=0>

<sup>170</sup> <http://geworld.ge/ge/3719/>

<sup>171</sup> <http://arilimag.ge/%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%94-%E1%83%93%E1%83%94%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%9A%E1%83%9D/>



უნდა იყოს გამონაკლისი. ზოგიერთი მომხამრებელი სვამს კითხვასაც, რატომ არ უნდა ჰქონდეს მწერალს საქართველოში შემოქმედებითი თავისუფლება: „საქართველოა სდაც თავისუფალი ფანტაზია არ უნდა ქონდეს მწერალს. რატომ?“<sup>172</sup> ამაზე ერთგვარი პასუხი ალბათ არის ის, რომ საქართველოში არსებობს საკითხები, რომლებზე წერაც არ შეიძლება. სწორედ ეს საკითხებია ის, რაც ზღუდავს მწერლის შემოქმედებით თავისუფლებას.

აქვე ასახელებენ იმ გარემოებასაც, რომ ეპატაჟური სტილი ჯდება პოსტმოდერნულ კონტექსტში, ამიტომ ამ ავტორების გაკიცხვა ამ სტილის გამოყენების გამო მიზანშეწონილი არ არის: „პოსტმოდერნული კონტექსტის გათვალისწინებით, მას<sup>173</sup> ამისთვის ნამდვილად ვერ დავძრახავთ.“<sup>174</sup>

ეპატაჟური ტექსტების მიმართ გამოხატულ ნეგატიური დამოკიდებულებების მიზეზად საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს იმას, რომ ეს ტექსტები უსწრებენ არა მხოლოდ დროს, არამედ გონსაც, რაც ნიშნავს იმას, რომ ქართული საზოგადოება ჯერ არ არის მზად ამ ტექსტების მისაღებად, ვინაიდან ის არა მხოლოდ დროს, არამედ იმ სააზროვნო პატერნებსაც სცილდება, რომელიც ამჟამად გააჩნია ქართულ რეალობას: „უსწრებს არა დროს, არამედ საზოგადოებრივ გონსაც“<sup>175</sup>

ნაწილი კი მიიჩნევს, რომ საზოგადოება აკრიტიკებს ყველაფერს ახალსა და განსხვავებულს. ეპატაჟური ტექსტები კი იმიტომ იწვევენ ხმაურს, რომ ისინი ჯერ ახალია და თან იმ რეალობისგან განსხვავებული, რაც აქამდე არსებობდა. „მსოფლიო ლიტერატურაში კი, რასაც ბურჟუაძე ქმნის უკვე კაი ხნის ჩავლილია.“<sup>176</sup> ეს ნიშნავს, რომ ლიტერატურული ეპატაჟი საქართველოში ახალი

---

<sup>172</sup> <http://arilimag.ge/%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%94-%E1%83%93%E1%83%94%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%9A%E1%83%9D/>

<sup>173</sup> საუბარია ერეკლე დისაძეზე

<sup>174</sup> <https://tabula.ge/ge/news/540246-cig-nad-gam-zh-ghav-ne-bu-li-sa-i-dum-lo-si-ro-ba>

<sup>175</sup> <https://www.facebook.com/biblusi.ge/photos/a.392844352863/10155209937767864/>

<sup>176</sup> <https://forum.ge/?f=18&showtopic=33713214&st=255>

მოვლენაა და ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, სიახლის დაკარგვასთან ერთად ეს პროცესებიც ჩაივლის და მივიწყებას მიეცემა: „მალე გადაივიწყებენ ამასაც, ისევე როგორც ყველაფერ ახალს“<sup>177</sup>. შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოება ეჭვით და აჟიოტაჟით ხვდება სიახლეებს, სიახლის დაკარგვასთან ერთად იკლებს აჟიოტაჟის სიხშირეც: „აჟიოტაჟი რადგან გამოიწვია ... ეს ნიშნავს, რომ საქართველოში არც ისე ძველია ეს სტილი“<sup>178</sup>

არსებობს კიდევ ერთი გზავნილი, რომლის თანახმადაც ეპატაჟს განაპირობებს განსხვავებული აზრის გმობა და მიუღებლობა: „ოდნავ განსხვავებული თუ ვინმე გამოჩნდა, ეგრევე ზედ უვლიან, როდის ასწრებენ ამდენი ბოდმის და სიძულვლის დაგროვებას?“<sup>179</sup>

ბნელა ბატონებო, ძალიან ბნელა და ვიდრე განსხვავებული აზრი თქვენთვის დასაგმობი და კატეგორიულად მიუღებელი იქნება, ფუჭია თქვენ თაროებზე მტვრის ბუდეად ქცეული ... წიგნების ფასი!<sup>180</sup>

სათაურით არჩევენ ნაწარმოებს, წაუკითხავად მსჯელობენ მასზე, ავტორის ინტელექტის დონეს გაურკვეველი მეთოდებით ადგენენ და მკითხველობაზე, ხელოვნების შემფასებლობაზე აქვთ პრეტენზია. სნობიზმი კლავს!<sup>181</sup>

\*\*\* მაღალი ინტელექტუალიზმი<sup>182</sup> და \*\*\* სნობიზმი<sup>183</sup>

სნობიზმი წარმოჩნდება სერიოზულ პრობლემად, რომელიც ადამიანებს ხელს უშლის შეაფასონ წიგნი მისი მხატვრული ღირებულებების მიხედვით და არა იმ ტენდენციის გათვალისწინებით, რომელიც საზოგადოებაშია და რომელსაც გარკვეული ჯგუფი უპირობოდ იღებს. სწორედ სნობიზმი განიხილება აჟიოტაჟის

<sup>177</sup> <https://akrili.ge/?=adc85ec701=344&s#comments>

<sup>178</sup> <https://forum.ge/?s=adc71ec90c1c99a7558c4019b6e7d02d&f=18&showtopic=34112852&st=0>

<sup>179</sup> <https://www.facebook.com/biblusi.ge/photos/a.392844352863/10155209937767864/>

<sup>180</sup> <https://www.facebook.com/biblusi.ge/photos/a.392844352863/10155209937767864/>

<sup>181</sup> <https://www.facebook.com/biblusi.ge/photos/a.392844352863/10155209937767864/>

<sup>182</sup> მიემართება იმ ადამიანებს, რომლებიც სიძულვილის ენით საუბრობენ კომენტარებში ეპატაჟური ტექსტებისა და მათი ავტორების მიმართ.

<sup>183</sup> <https://www.facebook.com/biblusi.ge/photos/a.392844352863/10155209937767864/>

მთავარ მიზეზად: „აქ უბრალოდ სნობიზმია მთავარ როლში და რიცხვები წყვეტენ სუბორფინაციის თემას.“<sup>184</sup>

„ხალხმა ვერ გაიგო რომ წერაც თავისუფალია და კითხვაც“<sup>185</sup> — ამ შემთხვევაში მწერალს აქვს შემოქმედებითი თავისუფლება წეროს იმ საკითხებზე, რომლებზეც სურს, ხოლო მკითხველს აქვს არჩევანის თავისუფლება, წაიკითხოს ის მხატვრული ტექსტი, რომელიც მას სურს.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ქართველებში თავს იჩენს ჰომოგენიზაციის ტენდენცია, რომელიც კოლექტივისტური კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მარკერია. საზოგადოება ძნელად იღებს ნორმიდან გადაცდენილ ქმედებებსა თუ გადაწყვეტილებებს (გამსახურდია 2016, 139). ამის მთავარი მიზეზი კი არის საზოგადოების მცდელობა, შეინარჩუნოს ერთგვაროვნება და თავიდან აიცილოს ნორმიდან გადაცდომები, რადგანაც კოლექტიურ კულტურებში მნიშვნელოვანია ჯგუფის სიმყარის შენარჩუნება. ყოველგვარი ნორმიდან გადახრა, დევიაცია აღუძრავს ჯგუფის დანარჩენ წევრებს მკვეთრ რეაქციებს. საზოგადოების მიერ დევიანტი აღიქმება როგორც „ამორალური“ პიროვნება. საქართველოში ხდება ის, რაც ცნობილია სოციოლოგიაში (შდრ. კალჭუნი 2008, 241) სახელდობრ, დევიანტური ქმედების ჩამდენ პიროვნებას საზოგადოება მიიჩნევს შეურაცხადად ან გარყვნილად (კალჭუნი 2008, 241). მეტაფორები, რომლებიც ეპატაჟური ლიტერატურის ავტორებს უკავშირდებათ, სწორედ „ამორალურის“ „შეურაცხადისა“ და „გარყვნილის“ კონტექსტებში ექცევიან. ამრიგად, ეპატაჟური ტექსტების ავტორები დევიანტებად განიხილებიან. ხოლო მეტაფორები, რომლებიც ეპატაჟურ ტექსტებს უკავშირდებიან, ადასტურებს, რომ ლიტერატურული ეპატაჟი საზოგადოების მიერ მკვეთრად უარყოფითადაა აღქმული. კონტენტანალიზის შედეგად ეპატაჟური ტექსტებისა და მათი ავტორების მიმართ გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები : შიში, სტიგმატიზაცია,

<sup>184</sup><https://forum.ge/?s=adc71ec90c1c99a7558c4019b6e7d02d&f=18&showtopic=34112852&st=0>

<sup>185</sup> <https://aninaland.wordpress.com/2010/05/03/ek/>

უარყოფა, მარგინალიზება, მორალური პანიკა, აგრესია, სიძულვილის ენა, გარიყვა, აკრძალვა. როგორც დოქერი აღნიშნავს, ეს სწორედ ის მახასიათებლებია, რომლებიც ქმნიან დევიაციის მნიშვნელობებს (Dotter 2015, 116). ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დევიაციისთვის საჭიროა დელიკვენტი, ე.ი. პირი, რომელიც დევინტურ ქცევას ჩაიდენს. ნორმა, რომელსაც მოელის საზოგადოება, რომ სხვების მიერ უნდა შესრულდეს და ადამიანები, რომლებსაც ექნებათ რეაქცია ნორმების შეუსრულებლობაზე. თუნდაც მხოლოდ აქედან გამომდინარე, ე.ი. დევიაციური ქცევის შემცველი კომპონენტებიდან გამომდინარე ჩანს, რომ ლიტერატურული ეპატაჟი არის სოციალური პროდუქტი. ამის ფონზე საინტერესო და მნიშვნელოვანია იმ დისკურსების გამოკვეთა, რომლებიც ეპატაჟურად აღიარებულ ტექსტებში გვხვდება.

#### 4. ეპატაჟური ტექსტების ანალიზი: ხსნადი კაფკა, პირველი რუსი და საიდუმლო სირობა

წინამდებარე თავში განხილულია ლაშა ბულაძის *პირველი რუსი*, ზაზა ბურჭულაძის მოთხრობების კრებული *ხსნადი კაფკა* (რომელშიც შედის ექვსი მოთხრობა: *ხსნადი კაფკა, წერილი დედას, სიმფსონები, ფონოგრამა, შვიდი ბრძენი, passive attack*) და ერეკლე დეისაძის მოთხრობების კრებული *საიდუმლო სირობა* (რომელშიც შედის ხუთი მოთხრობა: *საიდუმლო სირობა, აქსანა, 99, კონტროლი, მამა*).

##### 4.1. ლაშა ბულაძე *პირველი რუსი*

ლაშა ბულაძის *პირველი რუსი* არის მოთხრობა, რომლის გარშემოც აჟიოტაჟი დღემდე არ წყდება. ეს მოთხრობა არის წარსულის აქტუალიზაციის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი. ამ შემთხვევაში წარსულის აქტუალიზაცია მიზნად ისახავს მის დეკონსტრუქციას და პაროდირებას. პაროდირების მიზანია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ასახვა იმგვარად, რომ საქართველო რუსეთის მიერ მოტყუებულად და ჩაგრულად წარმოჩნდეს. მწერალი თავისებურად ადადგენს ისტორიულ ფაქტს თამარ მეფისა და იური ბოგოლიუბსკის ნიშნობის შესახებ და აღწერს მათ პირველი საქორწინო ღამეს. როგორც წინა თავში გამოიკვეთა, ქართულ რეალობაში არსებობს ხელშეუხებელი და ტაბუირებული საკითხები. მათ შორის არის საქართველოს ისტორიული წარსული და რელიგიური საკითხები. თამარ მეფე არის როგორც ისტორიული, ასევე რელიგიური ფიგურა, ვინაიდან წმინდანადაა შერაცხული. ამდენად, თამარ მეფის პირველ საქორწინო ღამეზე საუბარი და ისტორიის ალტერნატიული ვერსიის შექმნა აჟიოტაჟის განმაპირობებელი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

მოთხრობაში ვკითხულობთ: „იმ კრუხს კი, ვისთანაც იურიმ საქართველოს მეფეთ მეფეს უღალატა, ჯადოსნური ოქროს კვერცხი დაუდია, რომლიდანაც სულ მოკლე ხანში, ნოვგოროდის დიდმთავრის, ანდრია ბოგოლიუბსკის შვილიშვილი გამოჩეკილა“ (ბულაძე 2006, 331). აქ აშკარაა მინიშნება ადამიანთა ახალ რასაზე, რაც ასევე აქტუალურია დანარჩენ ორ ავტორთანაც. განკითხვის დღის, შესაბამისად, აპოკალიფსური ნარატივი აქტიურდება ჯერ კიდევ ტექსტის დასაწყისში, როცა მომაკვდავი თამარ მეფე ღმერთს შეავედრებს: „აშორე განკითხვის დღეს შენი რისხვა ყველა სულიერს - მის გარდა!“ (ბულაძე 2006, 318). საქმე ეხება იური ბოგოლიუბსკის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლაშა ბულაძესთან (ასევე ზაზა ბურჭულაძესთან და ერეკლე დეისაძესთან) აქტუალურია ახალი ადამიანის კვერცხიდან დაბადების იდეა. სავარაუდოა, რომ ეს იდეა სალვადორ დალის ცნობილი ნახატი „კვერცხიდან დაბადება“ არის შთაგონებული. მართალია, ეს ნახატი შეიქმნა 1943 წელს, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში და მიიჩნეოდა, რომ აქ იყო ასახული ახალი გეოპოლიტიკური ადამიანის დაბადების პროცესი, თუმცა მოგვიანებით ნახატში დაიწყეს აპოკალიფსური კონოტაციების დანახვაც. ამაზე საქართველოშიც მიმდინარეობდა დებატები. მიიჩნეოდა, რომ ამ ნახატში ანტიქრისტეს დაბადებაა ასახული.<sup>186</sup> ამრიგად, კვერცხიდან ახალი თუ ჰიბრიდული ადამიანის დაბადებას, ტექსტში სწორედ აპოკალიფსური ნარატივი შემოაქვს. ავტორები მიანიშნებენ, რომ ეპოქა უახლოვდება თავის დასასრულს. ეპატაჟურ ტექსტებში ზოგადად ხშირია აპოკალიფსური ნარატივების ჩართვა. ისინი ზოგან ლატენტურადაა მოცემული, ზოგან კი — ექსპლიციტურად.

---

<sup>186</sup> მაგ. იხ.

- <https://www.myvideo.ge/v/2034536>
- <https://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/18555-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%95%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%A0-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97-%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98-%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%95%E1%83%90/80/>

კიდევ ერთი მახასიათებელი, რომელიც მოთხრობაში „პირველი რუსი“ შეინიშნება, არის ლაშა ბუღაძის მიერ იმ ეთნოცენტრისტული ნარატივის ირონიული ხსენება, რომლის თანახმადაც ქართველობა გამორჩეულობას ნიშნავს. ავტორი ეთნოცენტრისტული მიდგომის ირონიზებას ცდილობს: „ყველასაგან განსხვავებული, განსაკუთრებული ერი კი ვიყავით, მაგრამ ჩიტი, ისე როგორც სხვაგან, ზამთარში აქაც არ გალობდა.“ (ბუღაძე 2006, 316) ირონია არის სტილური ხერხი, რომელსაც ლაშა ბუღაძე ხშირად იყენებს იური ბოლოლიუბსკის დასახასიათებლად: „მე გაიმბობთ ამბავს სრულიად უსუსური და სახელგატეხილი ცხოველის შესახებ, რომლის სახელის გაფუჭებაც სწორედ ჩვენს იურის უკავშირდება“ (ბუღაძე 2006, 320).

#### 4.2. ერეკლე დეისაძის საიდუმლო სირობა

ერეკლე დეისაძის ტექსტებში საცნაურდება ეჭვი ყოფიერების ღვთაებრივი ბუნების შესახებ. ცალკეულ მოთხრობებში სამყარო არ განიხილება როგორც ღვთაებრივი და რაციონალური წარმონაქმნი:

ესაა მცდელობა შევურიგდეთ სამყაროს, რომელსაც ისტორიისა და რელიგიის ბინძური ნიღაბი აქვს აფარებული, რათა მისი ნამდვილი სახე არ დავინახოთ. (დეისაძე 2010, 47)

ღმერთი მარკეტინგულად შეფუთული წმინდა სახის პროდუქტია. მისით იმართება მასა, რომლის ცნობიერება სავსეა ნალექით. (დეისაძე 2010, 88)

მოთხრობებში წარსულის პრაქტიკებიცაა გადმოცემული, თუმცა ირონიულადაა დანახული ის აქსიოლოგიური პოზიციები, რომლებიც ადრე ჭეშმარიტებად მიიჩნეოდა. ერეკლე დეისაძის მოთხრობაში *მამა* მოთხრობილია საქართველოს სამოქალაქო ომი, რომელიც 1991-1992 წლებში მიმდინარეობდა. პროტაგონისტს მამა იმდროინდელ სკოლას აღწერს. „სკოლებში არარსებულ პატრიოტიზმს და

არარსებულ სიყვარულს ქადაგებდნენ, რამაც საბოლოოდ სამოქალაქო ომამდე მიიყვანა ქვეყანა“ (დეისაძე 2010, 92). ზვიად გამსახურდია საქართველოს ეროვნულ გმირადაა აღიარებული. სწორედ პატრიოტიზმის გამო მისი ღვაწლი წმინდანთა ღვაწლთანაა გათანაბრებული. ამას ადასტურებს საქართველოს საპატრიარქოსთვის რამდენიმეჯერ (2004 წელს 2-ჯერ და 2011 წელს 1-ელ) გაგზავნილი მოთხოვნა ზვიად გამსახურდიას წმინდანად შერაცხვის თაობაზე.<sup>187</sup> ტექსტში კი აღწერილია, თუ როგორც ჩაცხრილეს ზვიადის მომხრეები მამამ და მისმა მეგობრებმა: „ზვი-ა-დი! ზვი-ა-დი! გაჰყვიროდნენ ერთხმად. მამას ჯერ გინება დაუწყია, შემდეგ ეროვნული დროშებით აღჭურვილებისათვის ავტომატის ჯერი გადაუტარებია და მანქანით ათესილა.“ (დეისაძე 2010, 91) ტექსტში ზვიად გამსახურდიას მიერ გატარებული პატრიოტიზმი არ მიიჩნევა ჭეშმარიტ პატრიოტიზმად. ამ ეპიზოდში ნათლად ჩანს პატრიოტიზმის და ზვიად გამსახურდიას ისტორიული ფიგურის მითოლოგიის დემონტაჟის მცდელობა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ქართულ რეალობაში ცალკეული ისტორიული ფიგურები არიან მითოლოგიზებული. ზვიად გამსახურდიას ფიგურაც მითოლოგიზებულია, შესაბამისად მის შესახებ ნეგატიური კონოტაციით წერა და დაეჭვება იმ პატრიოტულ მუხტში, რაც მას გააჩნდა ტექსტის ეპატაჟურობას განაპირობებს. გარდა ამისა, პატრიოტიზმი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი ქართული ეთნოკულტურული ნარატივისა. მიიჩნევა, რომ ქართველებს განსაკუთრებული პატრიოტიზმი და ქვეყნის სიყვარული გააჩნიათ, ამდენად ქართული პატრიოტიზმის პაროდირება ან მისდამი ეჭვი საზოგადოებაში აჟიოტაჟს განაპირობებს.

მოთხრობის *მამა* ფინალურ სცენაში ღვთისა და წმინდა გიორგის მგომბელ მამას თვალში გარჭობილი ისრით გარდაცვლილს იპოვიან:

შემთხვევის ადგილზე პოლიციამ ვერავითარი სამხილი ვერ აღმოაჩინა, საქმე პარანორმალურ მოვლენასთან უნდა გვექონდეს, რასაც გარდაცვლილის ოთახში

<sup>187</sup> <http://www.ufali.ge/images/pdf/zviadi%20-%2031.12.2011.pdf>



არსებული წმ. გიორგის ხატი ადასტურებს, საიდანაც ნახევარი სიუჟეტი გამქრალია. ნახატზე მხოლოდ გველეშაპი ჩანს... (დეისაძე 2010, 93)

გარდაცვლილი მამის შვილი საღამოს ფანჯრიდან დაინახავს თეთრ ცხენზე ამხედრებულ მხედარს. სწორედ ეს თეთრცხენიანი მხედარი უნდა იყოს წმინდა გიორგი. მართლმადიდებლური სწავლებების მიხედვით, წმინდა გიორგი არის საქართველოს სახე. აპოკალიფსური მამხილებელია სულიწმიდის თეთრცხენიანი მხედარი, ე.ი. წმინდა გიორგი. იგი რკინის კვერთხით ამხელს ცოდვილებს. პროტაგონისტი მამის მოკვლა შუბით მის მხილებას ნიშნავს. წმინდა გიორგის ხატიდან გადმოსვლა და ქალაქის ქუჩებში სიარული სწორედ აპოკალიფსის მაუწყებლად უნდა მივიჩნიოთ, რაც ტექსტში ახალი ეპოქის დასაწყისს ნიშნავს.

მოთხრობაში 99 ადამიანების ახალ რასაზეა საუბარი. ყველაფერი კი იმით იწყება, რომ სამი მეგობრიდან, რომლებიც ვერასდროს ვერ დაფეხმძიმდებიან, ერთ-ერთს, აქვს ხილვა. ეს ხილვა იუწყება, რომ სამივემ ერთი და იმავე მამაკაცის სპერმით უნდა გამოიხეხოს კბილი, რის შედეგადაც მათი ღრძილებიდან იზადებიან ათი სანტიმეტრის სიგრძის ლორწოვანი სხეულები. მათ აქვთ ადამიანის აღნაგობა, თუმცა არ აქვთ სქესი. აპოკალიფსი (ბერძნ. Apokalypsis) ხილვას, გამოცხადებას ნიშნავს. მოთხრობაში აღნიშნული ხილვა აპოკალიფსური გამოცხადების პაროდიაა, რასაც ადასტურებს მოთხრობის დასასრული. დასასრულს, ტელევიზორში თეთრწვერა მოხუცი (უწმინდესი) აცხადებს, რომ აპოკალიფსი დაიწყო და აღწერს ანტიქრისტეს. ნარატორის სახლში, სადაც ახალი რასის ადამიანები შეკრებილან, ზარი ისმის:

იქ თეთრწვერიანი მიერ აღწერილი პიროვნება დგას. ერთი ნაბიჯით უკან ვიხევ.

\_შეიძლება?\_ მეკითხება.

-სტუმარი ღვთისაა, - ვპასუხობ. (დეისაძე 2010, 64)

მთელი მოთხრობა სწორედ ახალი რასის დაბადებას, მის პირველ მსხვერპლს (ნარატორის დას, რომელსაც ისინი მისივე ბრძანებით შეჭამენ) და ანტიქრისტეს

გამოჩენას ეთმობა. ამრიგად, ამ მოთხრობაში ერთმნიშვნელოვნად ექსპლიციტური ნარატივი არის აპოკალიფსური, რომელიც პაროდირებულადაა წარმოდგენილი.

სამყაროსადმი დაეჭვება არის ძლიერი მახასიათებელი, რომელიც ეპატაჟურ ტექსტებში გვხვდება. ერეკლე დეისაძის პერონაჟი მოთხრობაში *99* აღნიშნავს, რომ „სამყაროსთვის ომის მოგება იოლი არაა“ (დეისაძე 2010, 47). ამისთვის საჭიროა, ადამიანმა დაიჯეროს, რომ „ყველა ანდაზა მცდარია, ყველა მითი სიცრუეა, ყველა ზღაპარი, რომლებსაც მშობლები ძილის წინ გვიკითხავდნენ, ნეხვის ჭმაა და სხვა არაფერი.“ (დეისაძე 2010, 47) როგორც თავად მოთხრობელი აღნიშნავს, ეს ყველაფერი ემსახურება ერთ მიზანს, რომ ადამიანი შეურიგდეს სამყაროს, რომელსაც ისტორიისა და რელიგიის ნიღაბი აქვს მორგებული (დეისაძე 2010, 47). მოთხრობლის აზრით, რეალობა სწორედ ისტორიითა და რელიგიით იქმნება, რაც სხვადასხვა ინსტრუმენტით — ფოლკლორის, მითებისა და ანდაზების გამოყენებით ხერხდება.

ადამიანის სურვილი, იცხოვროს ილუზიის გარეშე და სამყაროს როგორც ერთ დიდ ილუზორულ სივრცედ დანახვა ასევე ხშირად გვხვდება ეპატაჟური ტექსტების ავტორებთან. ერეკლე დეისაძის მიხედვით, აპოლონური საწყისები ქმნიან ილუზიას, რომ სამყარო კეთილშობილია, სინამდვილეში კი ის ასეთი არ არის და რეალურად ყველაფერი დიონისურ ქაოსშია გახვეული (დეისაძე 2010, 58) და თუ „...ბოროტებამ სიკეთის ნიღაბი მოიხსნა“, იგი გამოჩნდება პირველფორმით, ე.ი. ისეთი, როგორც სინამდვილეშია. ამ ეპიზოდში იკითხება, ასევე ინტერტექსტობრივი მინიშნება ფრიდრიხ ნიცშეს ნაშრომზე *ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან*. აპოლონური საწყისი გველინება ფიქციად, რომელიც მორალისა და ეთიკის როლს ირგებს, მაგრამ სამყაროს დიონისური საწყისები მართავენ, სინამდვილე კი ილუზიაა.

აღსანიშნავია ასევე ციტატი, რომელიც *საიდუმლო სირობის* შესავალში გვხვდება. სიტყვები პაატა შამუგიას ეკუთვნის: „ერთბაზად ძნელია დაიჯეროთ, მაგრამ

ფაქტია, თქვენ ყველანი ღმერთები ხართ“ (დეისაძე 2010, 5). აღნიშნული ციტატი ემსახურება სიუჟეტის დაზუსტებას. საქმე ისაა, რომ 13 მეგობარი მიზნად ისახავს, გაანადგუროს ქალების 50%, რათა მამაკაცები იძულებულნი გახდნენ ერთმანეთთან ფიზიკური კავშირი დაამყარონ. ეს ქმედება შეიძლება გავაიგივოთ ადამიანის სურვილთან, სამყაროში მიმდინარე პროცესები თავის კონტროლს დაუქვემდებაროს და თავის მიზნებს მოარგოს. ხსენებულ მეგობრებს აღნიშნული აქტით სურთ ღმერთობა. მოთხრობაში ისინი მიაღწევენ თავიანთ მიზანს, რაც ნიშნავს იმას, რომ მოცემულ მომენტში ისინი ითავსებენ შემოქმედის როლს. პაატა შამუგიას სიტყვები უკავშირდება მოთხრობის ფინალს და მეგობრებს, „რომლებმაც არსებული გარემოება სასურველ რეალობად აქციეს“ (დეისაძე 2010, 30).

ერეკლე დეისაძის მოთხრობებში გვხვდება არაერთი პასაჟი, სადაც არატრადიციული ორიენტაციაზეა დანახულია, როგორც ჩვეულებრივი და მისაღები მოვლენა. ქართულ სივრცეში კი არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია მიუღებელია, ამდენად ეს წინააღმდეგობრიობა აჟიოტაჟის განმაპირობებელ მიზეზად იქცევა. მოთხრობის *საიდუმლო სირობა* მთავარი მოქმედი პირი, ნიკი არის ბაგრატიონი: „ბავშვობაში ყოველთვის ერთსა და იმავეს მიმეორებდნენ, რომ მე ბაგრატიონი ვარ და ჩემს გვარს ისევე უნდა გავუფრთხილდე, როგორც საკუთარ სამშობლოს“ (დეისაძე 2010, 12). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულ რეალობაში ისტორია და ისტორიული ფიგურები გასაკრალურებულია. შესაბამისად, ქართველი და მით უმეტეს გვარად ბაგრატიონი, სამეფო გვარის მქონე ადამიანი, რომელიც არატრადიციული ორიენტაციისა, ქართულ საზოგადოებაში სკანდალის გამომწვევი ერთ-ერთი ლიტერატურული მოტივია.

ზოგადად ერეკლე დეისაძე თავის ტექსტებში ცდილობს, გაბატონებულ დისკურსებში არსებული ცოდნების დეკონსტრუქციას. ამის ერთ-ერთი მაგალითია პატრიოტიზმისა და ნაციონალიზმის პაროდირება. პატრიოტიზმი

ირონიზებულადაა წარმოდგენილი შემდეგ ციტატაში: „თუ ჭორიკანა არა ხარ, შესაბამისად, პატრიოტიც ვერ იქნები.“ (დეისაძე 2010, 8) მოთხრობაში *საიდუმლო სირობა* პატრიოტულ ბანაკში გაიცნობენ ერთმანეთს ნიკი და პაკო. მათ შორის არატრადიციული სექსუალური აქტი სწორედ პატრიოტულ ბანაკში შედგება: „ჩვენ მინდორზე ერთმანეთის საპირისპიროდ ვართ გამოტილები... ისინი ჰიმნს მღერიან.“ (დეისაძე 2010, 12) ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვხვდებით ჰიმნის როგორც ნაციონალური სიმბოლოსა და პატრიოტიზმის კარნავალიზაციის მცდელობას. „პატრიოტი“ და „არატრადიციული“ ქართულ რეალობაში არათავსებადი ცნებებია. შესაბამისად, საზოგადოება ამ საკითხზე განსაკუთრებულად რეაგირებს (იხ. ზემოთ).

მორალის დეკონსტრუქცია არის ერთ-ერთი მოტივი, რომელიც დეისაძის ტექსტებში იკითხება. მორალის უგულვებელყოფა შესაძლებელია მაშინ, როდესაც ეს ადამიანის პირად მიზნებს აწყოფს.

-ღმერთო, შენ მიშველე!

ამ სიტყვებით დაგვამახსოვრდა მეტყევე, რომელიც მე და პაკომ ჩავაძალეთ. (დეისაძე 2010, 13).

სინდისი არცერთ პეროსნაჟს არ აწუხებს. მეტიც, სწორედ ნიკი და პაკო, თავიანთ მეგობრებთან ერთად გადაწყვეტენ, ქალები სენით დახოცონ. „-თუ საპირისპირო სქესის განადგურებას დავიწყებთ, უმოკლეს ვადაში მათ ადგილს მამაკაცები დაიკავებენ.“ (დეისაძე 2010, 21) მოთხრობებში ზოგადად ამორალობა დასაშვებად მიიჩნევა: „თითოეულ ჩვენგანს აქვს უფლება, სიცოცხლეში ერთხელ მაინც ჩაიდინოს რაიმე ამორალური, რათა საკუთარ ძალებში დარწმუნდეს“ (დეისაძე 2010, 42).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია, რაც ერეკლე დეისაძის ტექსტებში შეინშნება ოჯახის ხატის დესაკრალიზაციის მცდელობაა: „ნიკიმ თავისი მეგობრები გამაცნო, ისინი კარგი ოაჯხებიდან იყვნენ და ყოველ მათგანს სძულდა

საკუთარი ოჯახი.“ (დეისაძე 2010, 14) „მშობლები მანამ უნდა დააფასო, სანამ შენზე ზრუნავენ და სურვილებს შეძლებისდაგვარად გისრულებენ, ხოლო როცა ისინი ამ შესაძლებლობას კარგავენ, თავიდან უნდა მოიშორო.“ (დეისაძე 2010, 61)

### 4.3. ზაზა ბურჭულაძის ხსნადი კავკა

ის, რომ პოსტმოდერნიზმი და ღვთაებრივი კატეგორიები შეუთავსებელია, ირონიულადაა დანახული ზაზა ბურჭულაძის ერთ-ერთი მოთხრობის *ფონოგრამა* პერსონაჟის სიტყვებში:

მთელი თვე მღრღნიდა სურვილი, რომ შემეცნო რამენაირად, ჩვენი ბუნება ვით გადადის ღვთის არსობაში. ამიტომ მთელი თვე საკუთარ თავს უარვეყოფდი, ტვინიდან ვიბერტყავდი პოსტმოდერნულ ნაგავს და უკან-უკან მივდიოდი, ანუ ჩემს ნამდვილ ფესვსა და ძირს ვუბრუნდებოდი- ქრისტიანობის გარიჟრაჟს. (ბურჭულაძე 2010, 265)

შესაბამისად, პერსონაჟის შეხედულებით პოსტმოდერნი რელიგიურ დოგმებს აღვევს. ღმერთთან დასაბრუნებლად კი პოსტმოდერნიდან გამოსვლა, უკან წასვლა და საკუთარი თავის უარყოფაა საჭირო.

ზაზა ბურჭულაძე ისევე, როგორც დანარჩენი ორი მწერალი, იყენებს წარსულის აქტუალიზაციას. პროტაგონისტი მოთხრობისა *წერილი-დედა* მსჯელობს კომკავშირსა და ეროვნული მოძრაობის აზვირთების პერიოდზე. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აზვირთების პერიოდად შეიძლება 1989-1991 წლები ჩაითვალოს. ვინაიდან სწორედ ამ შუალედებში მოხდა ის მნიშვნელოვანი პროცესები, რამაც საქართველოს მომავალი განსაზღვრა — 1989 წლის 9 აპრილიდან დაწყებული 1990 წლის ოქტომბერში ჩატარებული უზენაესი საბჭოს არჩევნებით დამთავრებული. ეს იყო პირველი დემოკრატიული არჩევნები საქართველოში. ხოლო 1991 წელს კომკავშირმა შეწყვიტა არსებობა და

საქართველომ დამოუკიდებლობის აქტი მიიღო. სწორედ ამ პერიოდში არსებული ეროვნულ-განმათავისუფლებლური მუხტის სხვა კუთხით დანახვა, მათი პაროდირება და დეკონსტრუქციაა შემდეგ ეპიზოდში მოცემული:

ეროვნული მოძრაობის აზვირთების პერიოდია. ქუჩები ხალხითაა გადაჭედილი. სამაგიეროდ სკოლაა ცარიელი... [] დროშა და ღერბი, დღესდღეობით ეროვნული სიმბოლოს სინონიმებია. კაცები ღვინით და ეროვნულობის მძაფრი განცდით არიან მთვრალეები. ჭკუიდან გადასული ბავშვებივით ლაზღანდარობენ. ერთი დროშის თავწამახულ წვერს უღერებს მეორეს, ცდილობს ტრაკში ატაკოს. ეს უკანასკნელი ტრაკზე მუყაოს იფარებს. მუყაოზე უღვაშებდაწვეპილი ქაქუცა ჩოლოყაშვილის რეტუმირებული სურათია-დაკრული. დანარჩენი სამი პირველ ორს „შავლეგოთი“ აქეზებს. თავზე აწვიმთ, მაინც არ ჩერდებიან. არაა ქართველი იმის კაცი, წვიმას შეუშინდეს. (ბურჭულაძე 2010, 138-142)

ქაქუცა ჩოლოყაშვილი ეროვნული გმირია, ისევე როგორც ეროვნული სიამაყეა ნაციონალური დროშა, გერბი და სიმღერა „შავლეგო“. ამ ყოველივეს კომიკურ სცენარში ჩართვა მიზნად ისახვს წერსულის პაროდირებასა და დეკონსტრუქციას.

ზაზა ბურჭულაძის ტექსტში, ასევე ხდება პატრიოტიზმის კარნავალიზებაც. მოთხრობაში *წერილი დედას* მოთხრობელი იხსენებს სამოქალაქო ომის დროინდელ პერიოდს. ბეროს ეკითებიან:

რატომ ომობ, შვილო? - იმ გიჟურ დღეებში კითხა ერთმა ბერიკაცმა.

- კაი ბიჭებს ენძრევათ!- ბერომ დაუფიქრებლად უპასუხა.

...[] არადა ოთხი ხაზი „ნორფინი“ ქონდა გაკეთებული. ის კია, თუ არ მეშლება, მგონი, ნახევარი ლისტი „დიმედროლი“ დაიმატა...

უნდა გენახეთ, დე, საქართველოსთვის საუკეთესო შვილები როგორც გულმოდგინებით ვიცავდით ქვეყანას (ბურჭულაძე 2010, 165).

ამ იუმორულ-სატირულ აღწერაში არსებული დეკონსტრუქცია, განსაკუთრებით ყურადღებას იპყობს, ვინაიდან პატრიოტიზმი არის ის, რაც ერთ-ერთ ყველაზე დიდ ღირებულებად მიიჩნევა, ხოლო მისი დეკონსტრუქციისა და პაროდირების მცდელობა ტექსტს ეპატაჟურად წარმოაჩენს.

ზოგადად, ზაზა ბურჭულაძის შემოქმედებას ახასიათებს სიუჟეტური ხაზის სირთულე. მკითხველი ხშირად იკარგება ლაბირინთებში. უცნაური და ჩახლართული სიუჟეტური ხაზით ვითარდება მოქმედება მოთხრობაშიც *სიმფსონები*. აქ-ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნარატივია ზომბების არსებობა. ზომბები სხვადასხვაგვარად არიან ლიტერატურასა თუ ხელოვნების სხვა დარგში წარმოდგენილნი. ზომბი-აპოკალიფსის კონცეფცია პოსტმოდერნულ სამყაროში დიდი ხანია არსებობს. ტექსტის შუა ნაწილიდან მკითხველი აცნობიერებს, რომ მოთხრობაში აპოკალიფსური სამყაროა აღწერილი. ამის მთავარი მიმანიშნებელი არის ზომბებისა და უცხოპლანეტელების გამოჩენა. ასევე, ადამიანების ახალ რასაზე მსჯელობა.

ჩვენ ერთხელ უკვე მოვკვდით. მერე ზომბირება გაგვიკეთეს, ჩვენს ქალაქს მავთულხლართი შემოავლეს და ახლა დაკვირვებას აწარმოებენ ჩვენზე (ბურჭულაძე 2010, 42).

აქვე ვხვდებით ადამიანის მიერ დადებული კვერცხიდან ჰიბრიდების დაბადებას: „100 წელია ამ დღეს ველოდები. ატომურ სადგურში დღეს 100 კვერცხი უნდა დავდო, დღეს მე დედა უნდა გავხდე, 100 ჰიბრიდის მშობელი, უკეთესი მერმისის 100 საუკეთესო მშენებლის დედა!“ (ბურჭულაძე 2010, 92). აპოკალიფსური ნარატივი აქ წარმოდგენილია როგორც „უკეთესი მერმისის“ იდეა. ამრიგად, ავტორი აპოკალიფსში არა ფიზიკურ დასასრულს, არამედ ახალ ნიადაგას ხედავს ახალი სამყაროსთვის. თუმცა როგორი იქნება ეს ახალი სამყარო, არ არის აღწერილი. თხრობა აპოკალიფსის დასაწყისში წყდება და ავტორი ტოვებს ღია დასასრულს. ზაზა ბურჭულაძის „*ფონოგრამაში*“ მართალია მთხრობელი, ნახევრად ნარკოტიკულ თრობაში იმყოფება და მის მიერ ნათქვამი თითოეული სიტყვა შეიძლება არასანდოდ მივიჩნიოთ, თუმცა ის, რომ აპოკალიფსური ნარატივი ამგვარ მდგომარეობაშიც აქტუალურია, მის ძლიერ გავლენაზე მიანიშნებს. „და იფხიზლეთ, რამეთუ არ უწყით, რომელ საათზე მოვა თქვენი უფალი“ (ბურჭულაძე 2010, 270).

მოთხრობაში *შვიდი ბრძენი* პარანოიკული და რეალური სამყაროები ერთმანეთში მონაცვლეობენ. ხშირია ილუზორული მომენტებიც, რის გამოც ძნელია ითქვას, რა არის ტექსტში ნამდვილი და რა — პარანოიის ნაყოფი. მოთხრობლის გაუჩინარება საკმაოდ უცნაურ გარემოში ხდება. იგი შედის ჯიხურში, რომელშიც ტელევიზორი დგას, ამ ტელევიზორში კი ჩანს ყველაფერი: ნერვული სისტემა, ატომი, როგორ უყვართ და სძულთ ადამიანებს ერთმანეთი, დისკოტეკაზე მოცეკვავე კაცი, ხალხით გადაჭედული მეტრო, კომპიუტერთან გათიშული ბიჭუნა, ჩიტების თავები, ჩამოვარდნილ თვითმფრინავში ჩამწვარი სხეულები და ა.შ. ჩანს ყველაფერი, უმნიშნელო დეტალებიც კი, მთელი სამყარო. აშკარაა, რომ მოთხრობელი იმყოფება იქ, სადაც სამყაროში მიმდინარე ყოველი პროცესი, მოვლენა თუ დეტალი ჩანს და სავარაუდოდ იმართება კიდეც. ამაზე მიაწინებს ის, რომ მეშვიდე ბრძენს ხელში უჭირავს პულტი, რომლითაც ტელეარხებს და შესაბამისად, გამოსახულებებს ცვლის. პულტის ხელში დაჭერა კი სავარაუდოდ სიმბოლოა, სამყაროში მიმდინარე პროცესების მართვის სადავის ფლობისა. აღნიშნული გარემოთი ავტორი ქმნის ორმაგ განწყობას აღწერილი ადგილის შესახებ. ერთი მხრივ, ეს ტელევიზორი უცებ პერსონაჟს მზედ ეჩვენება, ხოლო ბრძენი, რომელიც კარადის უკნიდან გამოდის, შემოსილია რომაული ტოგასავით შემოხვეული თეთრი პირსახოცით, რაც ქმნის განწყობას, რომ მეშვიდე ბრძენი არის ღმერთი. მეორე მხრივ, ჯიხური, სადაც ეს მოქმედება ვითარდება, ძნელი წარმოსადგენია, რომ ღმერთის სამყოფელი იყოს. ეს ადგილი უფრო მეტად ჰგავს, ავტორისვე სიტყვებით რომ ვთქვათ, ფანტომს. ეს ადასტურდება ტექსტის დასაწყისში მოცემული ფრაზით: „ვინც თქვენ შორის უცოდველია, პირველად იმან ესროლოს ბუშტი!“ (ბურჭულაძე 2010, 285) ეს არის სახემეცვლილი მაცხოვრის სიტყვები იოანეს სახარებიდან: „ვინც თქვენს შორის უცოდველია, პირველად იმან ესროლოს ქვა.“<sup>188</sup> ბრძენის მიერ მაცხოვრის სიტყვების დამახინჯება რეალობის ილუზიურ ხასიათზე მიაწინებს და რელიგიური მოტივების პაროდირებას ისახავს მიზნად.

---

<sup>188</sup> იოანეს სახარება თავი მერვე 7. (8:7)



შესაბამისად, მეშვიდე ბრძენი ვერ იქნება ღმერთი, ტელევიზორი ვერ იქნება მზე და ჯიხური — სამოთხე. ამ შემთხვევაში, ერთი მხრივ, საქმე გვაქვს რეალობის პაროდირებასთან, ხოლო, მეორე მხრივ, ყალბ რეალობასთან. სამყაროსთან, სადაც არაფერია ნამდვილი და რეალური.

*ხსნად კაფკაში* ხდება მორალის დეკონსტრუქციაც. „მამენტ არაფერი. ვიღაც ბაბუ მოვკალით. მგონი. თუ შემოგვაკვდა... არ ვიცი.“ (ბურჭულაძე 2010, 205). აქ, ადამიანის მკვლელობა, არაფრადაა მიჩნეული. ეს არის სამყარო, სადაც ადამიანებმა ერთმანეთისთვის ღირებულებაც დაკარგეს. არსებულ ცოდნებში დაეჭვება და დეკონსტრუქცია არის პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთი მთავრი მახასიათებელი ნიშანი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სკაბრეზული ენა, ისევე როგორც ერეკლე დეისაძის შემთხვევაში, ზაზა ბურჭულაძის შემოქმედებისთვისაც მნიშვნელოვანი მარკერია. მორალური კანონების დეკონსტრუქციას ხშირად ვხვდებით ზაზა ბურჭულაძის ტექსტებშიც. მოთხრობაში ხშირია ინცესტური ფიქრები (*სიმფსონები, წერილი დედას*). *სიმფსონებში* დედა სიმფსონი ქმარს ლალატობს, სავარაუდოდ ედუარდისთან.

ოთახში დედა შემოდის ჩქარი ნაბიჯებით.

-აჰ! მარჯ... მარჯ...-ედუარდი ამბობს.

დედა არაფერს პასუხობს, მაგრამ ისე ინაბეზა, მაშინვე ვხვდები, სტუმარ-მასპინძლობის გარდა, მათ სხვა რამეც აკავშირებთ. (ბურჭულაძე 2010, 32).

მამა სიმფსონი აღმოჩნდება, რომ არის ჰომოსექსუალი. ქართულ რეალობაში მხოლოდ ტრადიციული ურთიერთობებია მხარდაჭერილი, შესაბამისად აღნიშნული სექსუალურ უმცირესობათა პროპაგანდად ითვლება და აჟიოტაჟის გამომწვევი მიზეზი ხდება. აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ მოთხრობა *სიმფსონები* არის ამერიკული ანიმაცია *The Simpsons* პერსონაჟებისგან შექმნილი მოთხრობა, რომელსაც რამდენიმე სხვა პერსონაჟი ემატება. მაგალითად, ედუარდ შევარდნაძე, მალდერი და სკალი. მოქმედებაც სიმფსონების ქალაქში, სპრინგფილდში მიმდინარეობს. მალდერი და სკალი კი დეტექტიური წყვილია, სავარაუდოდ

ამერიკული ტელესერიალ *საიდუმლო მასალებიდან* აღებული. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ სერიალში ეს დეტექტიური წყვილი პარანორმალურ მოვლენებს იძიებენ. აღნიშნულ მოთხრობაშიც ისინი ამ საქმისთვის ჩნდებიან, ვინაიდან უნდა გამოიძიონ ედუარდის საფლავიდან გაუჩინარების ამბავი. თავად სკალი ამ ამბავს პარანორმალურს უწოდებს (ბურჭულაძე 2010, 70). საინტერესოა მამა სიმფსონი, ანიმაციში მისი სახელია ჰომერი, ტექსტში კი მას ჰომეროსით მიმართავენ. ჰომერი ჰომოსექსუალია, სავარაუდოა რომ მამა სიმფსონის პერსონაჟში იგულისხმება ძველი ბერძენი პოეტი ჰომეროსი. მართალია, „სიმფსონები“ ამერიკული ანიმაციის ინტერტექსტია, თუმცა იგი რადიკალურადაა შეცვლილი და პაროდირებული. იმდენად, რომ არაფერი აქვს საერთო პირველწყაროსთან. მოთხრობაში ხშირია ირონიის ელემენტებიც. ზოგადად ირონია პოსტმოდერნული ტექსტების მთავარი მახასიათებელია. ყველაფერი ირონიზებულია, სიკვდილიც, სიცოცხლეც, დაბადებაც, არსებობაც, ფასეულობებიც. ასევეა, დანარჩენ ორ ავტორთანაც.

მოთხრობაში *წერილი დედას* მოთხრობელი იხსენებს საკუთარი ბავშობიდან იმ მომენტს, როცა სადარბაზოში ჩაატარეს კონცერტი და მან დიდი თეთრი ზეწარი ფერადი ფანქრებით შეღება, რათა როლისთვის კოსტიუმი შეექმნა. წვიმაში კი ბავშვები გარეთ გავიდნენ: „მოსასხამიდან ჩამორეცხილი ფლომასტრის წვეთებით ეზოს ნაირფრად ვთხვრიდი...“ (ბურჭულაძე 2010, 114). ეს კი სექსუალურ უმცირესობათა ფერადი დროშის იმიტაციას ქმნიდა. სავარაუდოა, რომ სწორედ ამიტომ ემახიან უცხო ბავშვები მას „ფუფულოს“. ამ შემთხვევაში საუბარია სექსუალურ უმცირესობათა მიმართ მოპყრობაზე. ავტორი ამ კონკრეტული მაგალითით, აკრიტიკებს ქართულ რეალობას, სადაც არატრადიციული ორიენტაცია ცოდვასთან და დანაშაულთან ასოცირდება. გარდა ამისა მოთხრობაში *ხსნადი კაფკა* ჰომოსექსუალური ურთიერთობები მიჩნეულია, როგორც ჩვეულებრივი მოვლენა, რაც ბუნებრივი ქართული რეალობისთვის მიუღებელი შეხედულებაა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოჯახი ქართული კულტურისთვის განსაკუთრებული ღირებულების მქონე ერთეულია. შესაბამისად, მხატვრულ ტექსტში ოჯახის ღირებულების დეკონსტრუქცია იწვევს აჟიოტაჟს საზოგადოების მხრიდან. მოთხრობაში *წერილი დედას* ვკითხულობთ: „მე მეზიზღება, როგორც მამა, ისე ბელურა.“ (ბურჭულაძე წერილი დედას 122). / „წყეულიმც იყავ, დე, სადაც არ უნდა იმყოფებოდე.“ (ბურჭულაძე 2010, 175). მსგავსი დამოკიდებულება ოჯახის წევრების მიმართ და ოჯახის როლის მოშლას საზოგადოება ნეგატიურად ხვდება.

ქართველებში არსებობს ძლიერი ეთნოცენტრისტული და ეთნონაციონალისტური განწყობა. ეს გამოვლინდა წინა თავში. ამის ფონზე ზაზა ბურჭულაძის პერსონაჟი აცხადებს, რომ „საშულება რომ იყოს, ახლაც დაუფიქრებლად გადავსახლდებოდი. გემრიელი ქალაქია, კუსკუსა... ბაქო ან თბილისი იმასთან რას მივა.“ (ბურჭულაძე 2010, 137). ქართველობა განსაკუთრებულობასთან ასოცირდება, სწორედ ამ მოცემულობის ირონიზება სურს ავტორს. ქართველის სახე ასევე ირონიულადაა დანახული შემდეგ ციტატაში „არაა ქართველი იმისი ჩიტი, ექსკოპიის აპარატს ენდოს“ (ბურჭულაძე 2010, 133). აქ ავტორი არღვევს იმ ტრადიციულ შეხედულებებსა და ნარატივებს, რაც რეალობაში არსებობს. ეთნოცენტრისტული ნარატივების დეკონსტრუქცია არის ის, რაც ზოგადად ტექსტს ეპატაჟურად აქცევს.

მნიშვნელოვანია მოთხრობა *ხსნადი კაფკას* პერსონაჟი გოგო. ის გვევლინება ინდივიდუალისტის როლში. ქართულ მეტყველებაში ხშირად ურთავს ინგლისურ ფრაზებს: „ისე, why not, ენას ძვალი არა აქვს, მაგრამ, რაც უნდა თქვა, უცბად წინაზე უარესს გამოაცხობ.“ (ბურჭულაძე 2010, 187). ბილწსიტყვაობს: „ნახუი, ეს ხო პოეზიაა!“ (ბურჭულაძე 2010, 187). მისთვის მთავარია პირადი მიზნები, არ არის მიჯაჭვული ეროვნულობას. ეროვნებით ქართველია, თუმცა როგორც ჩანს არ არის მართლმადიდებელი, ის მუსლიმია: „ისე, ალაჰს მატლად რო ვდომებოდი, მატლად გამაჩენდა...“ (ბურჭულაძე 2010, 193). ეს პერსონაჟი ვერ თავსდება ტიპური ქართველი ქალის თვისებებში. ის გვევლინება, არა როგორც კოლექტივისტული

საქართველოს, არამედ როგორც ინდივიდუალისტური საქართველოს პერსონაჟი. რაც აღნიშნულ პერსონაჟს ქართული რეალობისთვის მიუღებლად წარმოაჩენს.

ტექსტში *სიმფსონები*, ასევე ვხვდებით არგონავტების შესახებ არსებული მითის პაროდირებასაც. არგონავტები კოლხეთში უცხო მიწიდან, საბერძნეთიდან, ჩამოვიდნენ რათა კოლხეთიდან დიდი განძი, ოქროს საწმისი წაეღოთ. ბერძენი იასონს კოლხი მედეა დაეხმარა, მათ დააძინეს საწმისი მცველი ურჩხული და ასე მოიპარეს კოლხეთიდან ოქროს საწმისი. მოთხრობაში მარჯი სიმფსონი შედის მდინარეში: “მდინარეს ოქროს მტვერი მოაქვს, ოქროს მტვერი მდინარეში ჩასული მარჯის თმებსა და ბოლქვენის ბალანში ილექება (ბურჭულაძე 2010, 51). ოქროს ფანჩარისგან მარჯი პარიკს აკეთებს. ეს პარიკი კი შემდეგ ქვეყნის სიამაყედ იქცევა: „100 წელი პარიკი მთელი სპრინგფილდისა და სრულიად ამერიკის სიამაყე იყო“ (ბურჭულაძე 2010, 85). აღმოჩნდა, რომ მარსელები, რომლებიც ჰომეროს სიმფსონმა სახლში შემოიპატიჟა პარიკის წასარებად იყვნენ მოსულები. მათ მეგი და ჰომეროს სიმფსონი დააძინეს, რის შემდეგაც პარიკი მოიპარეს.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზაზა ბურჭულაძისა და ერეკლე დეისაძის ტექსტებში ხშირია პორნოლიტერატურისთვის დამახასიათებელი სექსუალური სცენების აღწერა. ეს ნაკლებადაა გამოხატული ლაშა ბუღაძის მოთხრობაში *პირველი რუსი*, თუმცა აღნიშნულის ნიშნები აქაც შეინიშნება. ასევე, ზაზა ბურჭულაძისა და ლაშა ბუღაძის ტექსტებში ხშირია უცენზურო სიტყვებისა და სკაბრეზული ენის გამოყენების მაგალითები. პორნოლიტერატურული პასაჟები და სკაბრეზული ენის გამოყენება, ქართულ რეალობაში აჟიოტაჟს იწვევს და ტექსტების ეპატაჟურობის განმაპირობებელი ფაქტორი ხდება. აღნიშნულის გამო საზოგადოება მიიჩნევს, რომ ქართული ლიტერატურა და ქართული ენა გადაშენებისა და გადაგვარების საფრთხის წინაშე დგას (იხ. ზემოთ).

იმისათვის, რომ ტექსტების ანალიზის შედეგად გამოკვეთილი საკითხები უფრო თვალსაჩინო გახდეს, ქვემოთ მოცემულია ცხრილი, სადაც ასახულია ეპატაჟურ

ტექსტებში პაროდირებული, კარნავალიზებული და დეკონსტრუირებული საკითხები:

<b>ეპატაჟურ ტექსტებში პაროდირებული/კარნავალიზებული/ დეკონსტრუირებული საკითხები</b>		
<b>ლაშა ბუღაძის <i>პირველი რუსი</i></b>	<b>ერეკლე დეისაძის <i>საიდუმლო სირობა</i></b>	<b>ზაზა ბურჭულაძის <i>ხსნადი კაფკა</i></b>
ისტორიული წარსულისა და წმინდანთა ცხოვრების ხელშეუხებლობა	რეალობის ღვთაებრივი ბუნების არსებობა	რეალობის ღვთაებრივი ბუნების არსებობა
აპოკალიფსური, შესაბამისად რელიგიური ნარატივები	ეთნონაციონალისტური ნარატივი, რომლის მიხედვითაც ქართველებში გამორჩეული პატრიოტიზმი არსებობს	ეთნონაციონალისტური ნარატივი, რომლის მიხედვითაც ქართველებში გამორჩეული პატრიოტიზმი არსებობს
ეთნონაციონალისტური ნარატივი, რომლის მიხედვითაც ქართველობა განსაკუთრებული და გამორჩეული ეროვნულობაა	აპოკალიფსური და სხვა რელიგიური ნარატივები	ნაციონალური სიმბოლოების პაროდირება (ნაციონალური სიმღერა, გერბი და დროშა)
	ეთნონაციონალისტური ნარატივი, რომლის მიხედვითაც ქართველობა განსაკუთრებული და გამორჩეული ეროვნულობაა	აპოკალიფსური და სხვა რელიგიური ნარატივები
	სამყაროს რეალურობა, (ხაზგასმა მის კონსტრუქციულ ბუნებაზე, რაც მოიაზრებს ეჭვს თავისთავადი ღვთაებრივი და ეთნონაციონალისტური კატეგორიების მიმართ)	არატრადიციული ორიენტაცია, როგორც მიუღებელი ქცევა (არატრადიციული ორიენტაციის მისაღებ და ნორმალურ ქცევად წარმოჩენა)
	მორალის დეკონსტრუქცია	სამყაროს რეალურობა

	არატრადიციული ორიენტაცია, როგორც მიუღებელი ქცევა (არატრადიციული ორიენტაციის მისაღებ და ნორმალურ ქცევად წარმოჩენა)	ოჯახი, როგორც მნიშვნელოვანი ღირებულება
	ოჯახი, როგორც მნიშვნელოვანი ღირებულება	მითოსის პაროდირება
	ქართველის მახასიათებლები (ქართველი უნდა იყოს ტრადიციული ორიენტაციის, რელიიით მართლმადიდებელი და ნაკლებად გამოხატული ინდივიდუალისტური ღირებულებების ნიშნების მქონე)	ეთნონაციონალისტური ნარატივი, რომლის მიხედვითაც ქართველობა განსაკუთრებული და გამორჩეული ეროვნულობაა
		მორალის დეკონსტრუქცია
		ქართველის მახასიათებლები (ქართველი უნდა იყოს ტრადიციული ორიენტაციის, რელიგიით მართლმადიდებელი და ნაკლებად გამოხატული ინდივიდუალისტური ღირებულებების ნიშნების მქონე)

#### 4.4. პოსტმოდერნიზმის ნიშნები ეპატაჟურ ლიტერატურაში

მკვლევარი ბელა წიფურია აღნიშნავს, რომ 90-იანი წლების შემდეგ ქართული რეალობა პოპკულტურის პირისპირ აღმოჩნდა. პოსტსაბჭოთა პერიოდის პირველ

ნახევარში ქართული ლიტერატურულა ფრუსტრაციას განიცდიდა. ლიტერატურის ფრუსტრაციიდან გამოყვანა კი მნიშვნელოვნად განაპირობა სწორედ პოპკულტურასა და ეპატაჟზე ორიენტირებულმა თაობამ (წიფურია 2016, 134). ზაზა ბურჭულაძე, ერეკლდე დეისაძე და ლაშა ბულაძე სწორედ ამ პოპლიტერატურის წარმომადგენლები არიან. ერეკლე დეისაძე თავადაც აღნიშნავს, რომ კრებული *საიდუმლო სირობა* გამოსვლა ეპატაჟზე ორიენტირებული ქმედება იყო (იხ. ზემოთ). „ინტელექტუალურ კონტექსტში მოთავსების შედეგად პოპკულტურა ხდება პოსტმოდერნისტული მოვლენა, პოსტმოდერნისტული თეორიული დისკურსის და, შესაბამისად, პოსტმოდერნისტული კულტურის ნაწილი (წიფურია 2016, 440)“. შესაბამისად, პოპლიტერატურა შეიცავს პოსტმოდერნულ ტექნდენციებსაც. წინამდებარე კვლევაში მხატვრული ტექსტების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა არაერთი პოსტმოდერნული მახასიათებელი. ამდენად, პოსტმოდერნული ესთეტიკა აშკარად ხელს უწყობს ეპატაჟურობას. ქვემოთ განვიხილავთ რამდენიმე მაგალითს.

მოთხრობაში *პირველი რუსი* თამარ მეფე ავადმყოფობს. მართალია, თავად ავტორი თამარ მეფის ავადმყოფობას „სენს“ უწოდებს და არა საშვილოსნოს კიბოს, მაგრამ ამით ავტორს სურს შექმნას ილუზია, რომ მოქმედება ვითარდება ნამდვილად „ორას მერომელიდაცე“ წელს და არა პოსტმოდერნულ ეპოქაში. თუმცა მოთხრობაში არსებობს ერთი პატარა დეტალი: თამარ მეფე „დაუძლურდა, კურთხეული სახე და ხელ-ფეხი დაუსივდა, თმა დასცვივდა და რა აღარ დაემართა, ერთი სიტყვით“ (ბულაძე 2006, 317). თმის ცვენას კი ქიმოთერაპია იწვევს. ბუნებრივია, „ორას მერომელიდაცე“ წელს ქიმოთერაპიის აპარატი ვერ იარსებებდა, რაც ნებსით თუ უნებლიედ თამარ მეფეს თანამედროვე პერსონაჟად აქცევს.

ის, რომ ერეკლე დეისაძის პერსონაჟებიც პოსტმოდერნული სამყაროს ნაწილი არიან ეს არაერთ მოთხრობაში შეინიშნება. მაგალითისთვის, „მაკ-დონალდსი“

არის პოსტმოდერნიზმის სიმბოლო. მოთხრობაში 99 პროტაგონისტს ესიზმრება მისი და მისი მეგობრის მიერ განხორციელებული ხოცვა-ჟლეტვა, რომელიც მაკდონალდსში ვითარდება. „ხო გახოვთ, ბეთლემის ცაზე მანათობელი კაშკაშა ვარსკვლავი, ქრისტეს დაბადებას რომ იუწყებოდა. დაახლოებით მსგავსი ნათება გაჩერდა „მაკდონალდსის თავზე“ (დეისაძე 2010, 59). „მაკ-დონალდსს“ ხშირად ვხვდებით სხვა მოთხრობებშიც.

არასტრუქტურირებულობა და კოლაჟურობა, არის ერთ-ერთი რაც ზოგადად პოსტმოდერნულ ლიტერატურას ახასიათებს. პოსტმოდერნიზმის მთავრი მიზანი არ არის ტექსტების ესთეტიკურობა თუ სტრუქტურული ერთიანობის შენარჩუნება. პოსტმოდერნული ლიტერატურული ტექსტი არის დაშლილი და დანაწევრებული (გაფრინდაშვილი 2012, 260).

*პირველი რუსი* კოლაჟური თხრობის მაგალითადაც შეიძლება ჩაითვალოს. მართალია, აქ ერთი დიეგეტური მოთხრობელია წარმოდგენილი და ამბის თხრობაც სიუჟეტს მიჰყვება, მაგრამ მრავალჯერადი შესვენებები და ავტორის მკითხველისადმი მიმართვები ქმნის განწყობას, რომ ტექსტი ფრაგმენტული და კოლაჟურია: „მოკლედ, ჰავანის აღწერით განვაგრძოთ თხრობა.“ (ბულაძე 2006, 317). „მოკლედ ამ ზამთარზე ლაპარაკს აქ მოვრჩეთ. შევისვენოთ“ (ბულაძე 2006, 318). და ა.შ.

ერეკლე დეისაძის მოთხრობა *საიდუმლო სირობაც* მკითხველში, ასევე ფრაგმენტულობის განცდას ტოვებს. აქ პაკო და ნიკი თხრობის პროცესში ერთმანეთს ენაცვლებიან. მართალია, სიუჟეტური ხაზი შენარჩუნებულია, თუმცა თხრობა მაინც არასტრუქტურირებულობის განწყობას ტოვებს. მოთხრობელთა ცვლილება იმ ფორმით, როგორც ეს ტექსტშია მოცემული, კოლაჟურობის შთაბეჭდილებას აღძრავს.

კოლაჟურობა და არასტრუქტურირებულობა ზაზა ბურჭულაძის ტექსტებსაც ახასიათებს. ეს ყველაზე ნათლად ჩანს მოთხრობაში *წერილი დედას*, სადაც



თხრობის სტრუქტურა არ არის შენარჩუნებული. ამბავი ეპიზოდურადაა მოყოლილი. მთხრობელი თხრობის პროცესში არ მიჰყვება ერთ ხაზს. ამით ავტორს სურს შექმნას ილუზია, რომ მკითხველს წინ არაა ლიტერატურული ტექსტი, არამედ მშობლისთვის გულახდილად მიწერილი წერილი უდევს. ამ არასტრუქტურულ თხრობას, შესაძლოა ვუწოდოთ რიზომა. რიზომა დამახასიათებელია თანამედროვე პოსტმოდერნული ლიტერატურისთვის. როზომათი აღინიშნება მთელის არასწორხაზოვნება, ქაოტურობა, არასტრუქტურულობა, უსისტემობა, არაპროპორციულობა, არეულ დარეულობა. რიზომა შეიძლება ნებისმიერი მიმართულება შეიძინოს. რიზომა მიემართება პოსტმოდერნიზმის „ფესურის ესთეტიკას“. რიზომა სტრუქტურის შესახებ არსებულ წარმოდგენებს არღვევს. სტრუქტურა აღარ არის სემანტიკურად ცენტრირებული (გაფრინდაშვილი 2012, 292).

ინტერტექსტუალობა ხშირად გვხვდება ეპატაჟურ ტექსტებში, თავის მხრივ კი ინტერტექსტუალობა არის პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთი მახასიათებელი ნიშანი.

ზაზა ბურჭულაძე ხშირად იყენებს ინტერტექსტუალობასა და რემინისცენციებს. რემინისცენციაებით განსაკუთრებით დატვირთულია „შვიდი ბრძენი“, „სიმფსონები“ და „ხსნადი კაფკა“. „ხსნად კაფკაში“ ვხვდებით მუსიკის რემინისცენციებსაც, სადაც ხშირია სიმღერების ცალკეული ტექსტებისა თუ სათაურების მოხსენიება. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

Everybody dance now!<sup>189</sup>- მთელი ამ ხნის მანძილზე ჩუმად მჯდარი ლევანიკო-ბარიკელო მოულოდნელად ყვირის, თან ისეთი გამკვივანი ხმით, თითქოს ყივანახველა აქვს. (ბურჭულაძე 2010, 188)

I was dreaming of the past. ჰოდა, მეც ავდექი, ვიბანავე, მერე ცივი ლობიო და მჭადი ვჭამე...<sup>190</sup> (ბურჭულაძე 2010, 191).

---

<sup>189</sup> სიმღერიდან “Gonna Make You Sweat (Everybody Dance Now)”

<sup>190</sup> ჯონ ლენონის სიმღერიდან „I was dreaming of the past”

რაც უნდა იყოს, show must go on!<sup>191</sup> (ბურჭულაძე 2010, 196).

This is a men's men's world<sup>192</sup>... Pizndecccc... თუმცა ხუისნიმ (ბურჭულაძე ხსნადი კაფკა 217).

ზემოთ უკვე ხსენებული ერთ-ერთი მოთხრობის სათაური არის „*Passive attack*“ (პასიური შეტევა), რაც დიდი ალბათობით უნდა იყოს მუსიკალური ჯგუფის „*Massive Attack*“ (მასიური შეტევა) ანტონიმური ოპოზიცია. ესეც ინტერტექსტია, მუსიკალური სამყაროდან აღებული.

ზაზა ბურჭულაძის მოთხრობებში ვხვდებით იმპლიციტურ რემინისცენციებსაც. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი: „მუცელი კი არა, პირდაპირ საწყაული ქონდა აღუვსებელი.“ (ბურჭულაძე 2010, 219). თუ გავიხსენებთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსს *ფიქრი მტკვრის პირას*, მაშინ მოგვაგონდება შემდეგი სიტყვები: „მაინც რა არის ჩვენი ყოფა\_ წუთისოფელი, / თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?“<sup>193</sup> ამ შემთხვევაში სწორედ „ფიქრნი მტკვრის პირას“ რემინისცენციასთან გვაქვს საქმე. „ფონოგრამაში“ ასევე ვკითხულობთ: „ისე რა ხდება, მისტერ კოვან, რით ვერ შობეთ? რა გახდა ერთი კადრის დაყენება?“ (ბურჭულაძე 2010, 266). „რით ვერ შობეთ“ ეს არის კიდევ ერთი იმპლიციტური რემინისცენციის მაგალითი, რომელიც მიანიშნებს ილია ჭავჭავაძის *კაცია ადამიანი!*-ზე. უშვილო დარეჯანს ლუარსაბი ეუბნებოდა, მალე ეშვა მისთვის ერთი ვაჟიშვილი: „ჰშობე, დავითის გამოჯავრებით მაინცა ჰშობე...[] ვშობამ, შენ ნუ მოუკვდები ჩემს თავს, ვშობამ, თუ აგრესია!“ პასუხობდა მას დარეჯანი<sup>194</sup>. შემდეგი იმპლიციტური რემინისცენცია, რომელსაც ვხვდებით არის: „მე ღვთაებრივი კომედიანტი ვარ. დაგავიწყდათ?“ (ბურჭულაძე 2010, 270) ეს არის რემინისცენცია დანტე ალიგიერის პოემის სათაურისა „ღვთაებრივი კომედია“.

<sup>191</sup> ქუინის სიმღერიდან „The Show Must Go On“

<sup>192</sup> ჯეიმს ბრაუნის სიმღერიდან „It's A Man's Man's Man's World“

<sup>193</sup> იხ. [http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/figrni\\_mtkvris\\_piras.htm](http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/figrni_mtkvris_piras.htm)

<sup>194</sup> იხ. [http://www.nplg.gov.ge/ebooks/authors/ilia\\_chavchavadze/motxrobedi/kacia\\_adamiani\\_all.pdf](http://www.nplg.gov.ge/ebooks/authors/ilia_chavchavadze/motxrobedi/kacia_adamiani_all.pdf)

ზაზა ბურჭულაძის მოთხრობებში ინტერტექსტი ხშირად არის სახეცვლილი ფორმით წარმოდგენილი, რაც მის იდეურ შინაარსსაც ცვლის. ამ შემთხვევაში, ძველ ტექსტებს ახალი სიცოცხლე ენიჭებათ, თანაც ისე, რომ პირველწყაროს შორდებიან. ამის ფუნქცია ერთი მხრივ, შეიძლება იყოს წარსულს გადაფასება, ხოლო მეორე მხრივ, მისი პაროდირება. ეპატაჟური ლიტერატურა, რომელიც თავის მხრივ თავსდება პოსტმოდერნიზმის საზღვრებში, ხშირად სწორედ წარსული ცოდნების დეკონსტრუქციას ან მათ პაროდირებას ისახავს მიზნად: „მამალოს ვტლევ, მამასადამე, ვარსებობ!“ (ბურჭულაძე 2010, 12) ამ შემთხვევაში რენე დეკარტის სიტყვები „ვაზროვნებ, მამასადამე ვარსებობ“ არის სახეცვლილი, რაც ზოგადად ცხოვრების და მისი ამაოების წარმოჩენას ისახავს მიზნად.

*სიმფსონებში* ვხვდებით ინტერტექსტს, რომელსაც სანახევროდ აქვს ფორმა შეცვლილი, ნაწილობრივ კი ინარჩუნებს პირველწყაროს იდეურ-თემატურ ხაზს.

აქ ჩემს ახლოს მოხუცის ლანდ სძინავს, მეფურ ძილით,

აქ მწუხარე სასაფლაოს, ვარდით და გვირილით,

ეფინება ვარსკვლავების კრთომა მხიარული...

შევარდნამეს აქ უყვარდა ობლად სიარული... (ბურჭულაძე 2010, 46)

გალაკტიონ ტაბიძის *მთაწმინდი მთვარის* ინტერტექსტის ნაწილობრივი ცვლილება და აქ გვარის „შევარდნამე“ გამოჩენა, მნიშვნელოვანი გასაღებია წინარე სიუჟეტის ასახსნელად. სიმფსონების ოჯახში მოდის მოხუცი ხატმწერი, ვინმე ედუარდი. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ოთახში ედუარდის გამოჩენის შემდეგ ქალაქში შუქი მალევე ქრება: „უცებ შუქი გენერატორის თუხთუხთან ერთად იწყებს ციმციმს და ნელ-ნელა ქრება. სადღაც შორიდან ათობით უკმაყოფილო შემახილი ისმის.“ (ბურჭულაძე 2010, 31). ეს ეპიზოდი, რაღაც კუთხით საქართველოს წარსულის იმპლიციტურ რეკონსტრუქციადაც შეიძლება მივიჩნიოთ, ვინაიდან საუბარია „ბნელი ოთხომოცდაათიანების“ სახელით მოხსენიებულ საქართველოს ისტორიულ წარსულზე, 90-იან წლებზე. ედუარდს შემოაქვს შავი საღებავი და

კედელზე დიდ შავ ხვრელს ხატავს. ეს არის საქართველოს ისტორიის ერთგვარი გადააზრება. ედუარდი ხარაჩოვანი ჩამოვარდება. მას დამარხავენ. სწორედ ზემოთ მოყვანილი ინტერტექსტი მიანიშნებს მის საფლავზე და იქ ჩასმული გვარი შევარდნაძე იმ კონკრეტულ ფაქტზე, რომ ტექსტში საუბარია 90-იანების ბნელ, უშუქო, გაჭირვებულ დროსა და იმდროინდელ მმართველზე, ედუარდ შევარდნაძეზე. ამდენად, ნახევრად შეცვლილი ინტერტექსტი წარმოადგენს სიუჟეტის გასაღებს. 90-იანი წლები და მისი აქტუალიზაცია, მოცემულ ტექსტში ირონიზებულია.

მოთხრობაში „წერილი დედას“ ვკითხულობთ შემდეგს: „თურმე სულ ტყუილად მიმტკიცებდი ბავშვობაში: თავს არ მოიკლავს ქართველი არაო. მოიკლავს რომელია! საკუთარ ოჯახსაც არ ამოჟუჟავს რო! ავტომატი მანახე, ამოჟუჟავს განახებო“ (ბურჭულაძე 2010, 160). ამ შემთხვევაში ორ ინტერტექსტთან გვაქვს საქმე. პირველი ეს არის ლადო ასათიანი ლექსი „საქართველოში“, რომელიც ემსახურება მეორე ინტერტექსტის ემოციურად უფრო გამძაფრებას და პაროდირებას. „ავტომატი მანახე, ამოჟუჟავს განახებო“ ეს არის ქართული ხალხური ანდაზის იმპლიციტური ინტერტექსტი: „გაჭირვება მანახე, გაქცევას განახებო“. ამ შემთხვევაში სამოქალაქო ომსა და ისევ 90-იან წლებზეა საუბარი. სახეშეცვლილი და პაროდირებული ინტერტექსტი კი მიზნად ისახავს იმ ირონიულ-სატირული მდგომარეობის აღწერას, რომელშიც 90-იან წლებში საქართველო აღმოჩნდა.

კიდევ ერთ ანდაზაზე როგორც ინტერტექსტზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. „შეჩვეული ჭირი გვირჩვენია შეუჩვეველ ლხინს“ (ბურჭულაძე ხსნადი 2010, 228). აქ ავტორი აკრიტიკებს ადამიანების გაუბედაობას, შიშს სიახლეების ძიების და დამკვიდრების მიმართ. ერთგვარად ეს შეიძლება იყოს, ასევე კრიტიკა ტრადიციული მიდგომებისადმი, რომლებშიც ახლისთვის ადგილი არ მოიძებნე, ან რომლისაც თავად ეშინია სიახლის.

ღია დასასრული არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი ეპატაჟური ტექსტებისა. ერეკლე დეისაძისა და ზაზა ბურჭულაძის ტექსტებში მოთხრობებს ხშირად აქვთ ღია დასასრულები. სავარაუდოა, რომ ეს ავტორის სიკვდილის<sup>195</sup> ფენომენს უკავშირდება, რაკი მკითხველი იქცევა თანაავტორად, რომელმაც თავად უნდა დაასრულოს მოთხრობა. ტექსტს საბოლოო მნიშვნელობას მკითხველი ანიჭებს. ავტორი მხოლოდ ზოგჯერ ახსენებს თავს მკითხველს. საანალიზოდ აღებულ ტექსტებში ავტორის სიკვდილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ამის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია მოთხრობა „შვიდი ბრძენი“. აქ ძნელია გარკვევა იმისა, რა არის რეალობა და რა არის ილუზია თუ პარანოია. ძნელია, იმსჯელო მთავარი მოქმედი პირის ან მოთხრობლის ფსიქიკურ მდგომარეობაზე, თუმცა აშკარაა, რომ ტექსტის ბოლოს, როცა პროტაგონისტი მეშვიდე და ბოლო ბრძენს შეხვდება, ის მას ეტყვის:

- გააჯვი!

პულტის ღილაკს საჩვენებელ თითს აჭერს და მაშინვე ყველაფერი ქრება!“ (ბურჭულაძე 2010, 300).

მოთხრობაც ასე სრულდება. მოთხრობელი გაქრა, მასთან ერთად უჩინარდება ავტორიც.

მოთხრობა „აქსანა“ მკითხველთან მუდმივი ინტერაქციის პროცესზეა აგებული. ტექსტი მეორე პირშია დაწერილი. აქ ავტორი მკითხველს საკუთარი წესით თამაშს აიძულებს. ამ შემთხვევაში მკითხველის როლი იცვლება. ის აღარ არის პასიური რეციპიენტი, არამედ თავად წარმოადგენს აქტორს და თანაშემოქმედს მხატვრული ტექსტისა. ავტორის როლი შედარებით სუსტდება, ხოლო მკითხველს ტექსტის

---

<sup>195</sup> როლან ბარტმა შემოიღო ტერმინი „ავტორის სიკვდილი“, რომელიც ტექსტში ავტორის როლის შემცირებას ან ტექსტიდან მის სრულ გაქრობას გულისხმობს. ესეც პოსტმოდერნული ტენდენციაა. პოსტმოდერნში ავტორი ჩაანაცვლა თავად ტექსტმა (ბარტი 2015, 22).

კითხვის პროცესში მეტი ავტონომია ენიჭება. სწორედ ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს ტექსტის მეორე პირში შექმნა.

ერეკლე დეისაძის მომდევნო მოთხრობაში *კონტროლი* ავტორი წამიერად გამოდის თხრობის პროცესიდან და მკითხველს სასხვათაშორისოდ მიმართავს, შემდეგ კი ისევ თხრობას უბრუნდება:

ბილი მკვლელია, ღვთის სამსახურში მდგარი წმინდა კიბორგი, ცენტრალური ქუჩის მაღალსართულიანი კორპუსის სახურავზე მწოლარე საშიშროება, რომელიც ოპტიკური სამიზნის დინჯი მოძრაობით პირველი მსხვერპლის ძიებაშია. თქვენ ამის შესახებ არაფერი იცით. მშვიდად დააბიჯებთ უღრუბლო ზეცის წიაღში და ტვინი ათასი სისულელით გაქვთ გამოტენილი. ხელზე თითებიდან გადაჭრილი ტყავის თათმანები უკეთია. (დეისაძე 2010, 65)

იმავეს აკეთებს ლაშა ბუღაძე მოთხრობაში *პირველ რუსი*. ის დროდადრო მკითხველს მიმართავს:

ქრისტიანებო! ათი მცნება ხომ იცით... [] ქრისტიანებო, უკუღმართად დაწერილი ისტორია უნდა წაგაკითხოთ მეფეთ მეფე თამარის სუე უბედურ რუს ქმარზე!...[] მოკლედ იმ ზამთარზე ლაპარაკს აქ მოვრჩეთ. შევისვენოთ. მამაო ჩვენო ვთქვათ, ვიტრაპეზოთ და მერე თხრობაც განაგრძოთ...[] ახლა რიცხვებს უყურეთ: თამარ მეფე ხო ოცდაშვილ იანვარს გარდაიცვალა? მამამისი, გიორგი მესამე ოცდაშვიდ მარტს... (ბუღაძე 2006, 315-321).

და ზაზა ბურჭულაძე მოთხრობაში *ხსნად კაგკა* :

ერთი შეხედვითაც ჩანდა, რო ეს უკანასკნელი მშვენივრად აღზრდილი, მეტისმეტად თავაზიანი და თავმდაბალი იყო, ისე რო, მკითხველო, შენც კი ინატრებდი ასეთ გოგონას. (ბურჭულაძე 2010, 214).

სამივე შემთხვევაში იშლება, ირღვევა დიეგეტური საზღვრები ფიქციურ და რეალურ სამყაროებს შორის. აღნიშნულის ფუნქცია კი, ამ კონკრეტულ შემთხვევებში, ავტორის მიერ მკითხველისთვის დროდადრო თავის შეხსენებაა. მეორე მხრივ, კი ამის ფუნქცია უნდა იყოს მკითხველის როლის გააქტიურება და ავტორის სიკვდილი, რაც პოსტმოდერნიზმის ცნობილი ნიშნებია.

ბიბლიური ალუზიები ზაზა ბურჭულაძის ტექსტების ერთ-ერთი მახასიათებელი ნიშანია. მოთხრობის *წერილი დედას* მთავარი გმრი იხსენებს, მეგობარს, რომელსაც ღილების შეგროვება უყვარდა. უფრო სწორად, თვითონ იგონებდა ისტორიებს ამ ღილების გარშემო. ერთ-ერთი სტუმრობის დროს ის მეგობარს სთხოვს ღილები ანახოს, რა დროსაც აღნიშნული მეგობარი ცუდად გახდება და ბოდვას დაიწყებს. : „- მაშინ ღილები არ იყო. ღილის მაგივრად თოკს ხმარობდნენ. ოცდაათი ვერცხლით სავსე ქისა სწორედ ამ თოკზე დაიკვიდა...“ (ბურჭულაძე 2010, 146) იუდა ისკარიოტელმა 30 ვერცხლად გასცა მაცხოვარი. ქრისტეს შეპყრობის შემდეგ მან თავი ჩამოიხრჩო (მათე, თ. 26-27). სწორედ ამ ბიბლიურ ალუზიაზე უნდა მიანიშნებდეს ზემოთ მოყვანილი ციტატი. აქვე ვხვდებით შემდეგ ციტატას: „რა მნიშვნელობას აქვს, რას ეძებ. მნიშვნელოვანია, ეძებდე. თუ ჰპოვე კიდეც, ხომ მთლად ღვთის წყალობაა... მშვენიერი ხარ, შეჩერდი წამო!“ (ბურჭულაძე 2010, 150). ამ შემთხვევაში „შეჩერდი წამო“ არის ალუზია გოეთეს *ფაუსტისა*. აღნიშნული ტექსტის თანახმად, მეფისტოფელი, ემმაკი ფაუსტთან დებს შეთანხმებას, რომლის თანახმადაც სიტყვების „წამო შეჩერდი“ წარმოთქმის შემთხვევაში, მეფისტოფელი მის სულს დაეპატრონება.

ბიბლიურ ალუზიას ვხვდებით, ასევე შემდეგ მოთხრობაში *ფონოგრამა*: „მე ლედვიც მიყვარს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ პირველივე ლედვის ხეზე უთუოდ თავი უნდა ჩამოვიხრჩო. ძაანაც რომ მოვინდომო, ხედავთ აქ სადმე ლედვს? ისე, აქ არც მაყვლოვანია.“ (ბურჭულაძე 2010, 267). ლედვის ხეზე თავის ჩამოხრჩობა, ისევ იუდა ისკარიოტელის თვითმკვლელობას უნდა უკავშირდებოდეს. ხოლო, ბიბლიური სწავლების თანახმად, სინას მთაზე მოსე წინასწარმეტყველმა აალებული მაყვლის ბჩქი იხილა, რომელიც არ იწვოდა. მოთხრობაში მაყვლის ბურქის ხსენება, სწორედ აღნიშნულ ბიბლიურ ალუზიას უნდა აღნიშნავდეს.

ზემოთ გამოვყავით ის ძრითადი დისკურსული მახასიათებლები, რომლებიც საანალიზო ტექსტებს გააჩნიათ. თითქმის ყველაფერი, რაც ეპატაჟურ ტექსტებშია

მოცემული, არის პოსტმოდერნიზმის მახასიათებელი ნიშანი: ინტერტექსტუალობა, ავტორის სიკვდილი, სკაბრეზული ენა, არსებული პრაქტიკების დეკონსტრუქცია და ა.შ. გამომდინარე აქედან, შეიძლება ითქვას, რომ ტექსტებში არსებული პოსტმოდერნული მახასიათებლები ხელს უწყობს ტექსტების ეპატაჟურად აღიარებას. უფრო მეტიც, ეპატაჟურობა არ არის ლიტერატურული მიმდინარეობა, მიმდინარეობა არის პოსტმოდერნიზმი, ხოლო ეპატაჟი ის სოციალური მარკერი, რომელიც მიუღებელ პოსტმოდერნულ ტექსტებს მიემართებათ. წარსულის აქტუალიზაცია და მისი ამ გზით დეკონსტრუქცია, ეთნონაციონალისტური და ტრადიციული ნორმებისა და ღირებულებებისადმი ეჭვი, უნდობლობა და მათი ასევე დეკონსტრუქციის მცდელობა და სკაბრეზული ენა არის ის მნიშვნელოვანი ელემენტები, რომლებიც საანალიზოდ აღებულ ტექსტებში გამოიკვეთა. აღნიშნული მახასიათებლების წინა თავეებში გამოკვეთილ ნორმებთან და ღირებულებებთან შეუთავსებელია, რის გამოც საანალიზოდ აღებული ტექსტები აღიქმებიან როგორც ეპატაჟური.



## დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში გამოკვლეულ იქნა ეპატაჟურობა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ისეთი ტრადიციული, კოლექტივისტური და ეთნო-კულტურული ღირებულებების მქონე ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, ლიტერატურული ეპატაჟი მიიჩნევა დევიაციად. ტექსტების დევიანტურობას განაპირობებს ის თემები, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდიან საზოგადოებაში გავრცელებულ სოციალურ ნორმებთან და ღირებულებებთან და, რომლებსაც ეპატაჟური ტექსტები შეიცავენ. ეპატაჟურ ტექსტებში შეინიშნება გაბატონებულ დისკურსებში არსებული ნორმების რღვევა, მარგინალიზებული თემებისა და საკითხების წინ წამოწევა და ამით დისკურსული წესრიგი სუბვერსია. რაკი ქართულ რეალობაში რელიგიური, ისტორიული, ეთნო-კულტურული, ნაციონალისტური და კოლექტივისტური დისკურსები ითვისებენ დისკურსულ ძალაუფლებას და ამტკიცებენ აპრიორი ჭეშმარიტების ფლობის პრივილეგიასა და უფლებას, მათთვის სრულიად მიუღებელი ხდება ეპატაჟურ ტექსტებში განხორციელებული ცდა ალტერნატიული რეალობის შექმნისა, წარსულის გადააზრებისა, რეალობის დეკონსტრუქციისა თუ დეკანონიზაციისა.

ეპატაჟური ტექსტების დისკურსის კრიტიკული ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ტექსტებში ქართული ისტორიული რეალობის შესახებ არსებული ძველი და ტრადიციული ცოდნა იცვლება, იშლება ან ავტორის მხრიდან ალტერნატიული რეალობაა შემოთავაზებული. ეს კი წინააღმდეგობაში მოდის რეცეფციის შედეგად გამოკვეთილ მოცემულობასთან, რომლის თანახმადაც ქართულ რეალობაში არსებობს გარკვეული საკითხები, რომლებიც ხელშეუხებელია და რომელთა შესახებაც მსჯელობა არ შეიძლება. ასეთია, მაგალითად, ისტორიისა და რელიგიის საკითხები. წინამდებარე კვლევაში გაანალიზებული ტექსტები კი არამხოლოდ ისტორიულსა და რელიგიურ, არამედ ყველა ხელშეუხებელ საკითხს ხსნიან ტაბუს. ეპატაჟური ტექსტებისთვის არ არსებობს ტაბუდადებული თემები. რის გამოც

აღნიშნული ტექსტები კონფლიქტში მოდიან დადგენილ საზოგადოებრივ ნორმებთან. ეპატაჟური ტექსტების ძირითად მახასიათებლებად კი გამოიკვეთა იმ სააზროვნო პატერნების დეკონსტრუქცია, რომლებიც აქსიოლოგიურ ჭეშმარიტებებად მიიჩნეოდა. ეპატაჟური ტექსტებში უგულვებელყოფილია ის ფასეულობები და შეხედულებები, რომლებიც ტრადიციულად არსებობს. საქართველო არის ქვეყანა, რომლისთვისაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტრადიციების არსებობა და დაცვა. შესაბამისად, ეპატაჟური ლიტერატურა, რომელიც არღვევს ტრადიციულ შეხედულებებს, მისთვის მიუღებელი ტენდენციაა. პაროდირებისა, დეკანონიზაციისა და კარნავალიზაციის პრინციპები, რომლებიც ხშირია ეპატაჟურ ტექსტებში, ასევე შეუთავსებელია ქართულ რეალობაში დომინანტი დისკურსების მიერ წარმოებულ ცოდნასთან, მით უმეტეს მაშინ, როცა დეკანონიზაციის ფარგლებში უარყოფილია ყველა სახის კანონი, მათ შორის — მორალური, რელიგიური, ეროვნული.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რომელიც ეპატაჟურ ტექსტებს აქვთ, არის ის, რომ ეპატაჟური ტექსტები ააქტიურებენ იმ ცოდნებს, რომლებიც სოციალურ რეალობაში არსებობს, შლიან, ეჭვი შეაქვთ ან უგულვებელყოფენ მათ. ეპატაჟური ტექსტები ტაბუს ხსნიან არერთ საკითხს, მათ შორის ისტორიული წარსულისა და წმინდანთა ცხოვრების ხელშეუხებლობას, ხშირადაა პაროდირებულია ეთნონაციონალისტური ნარატივები, რომლის მიხედვითაც ქართველობა განსაკუთრებული და გამორჩეული ეროვნულობაა, ეჭვქვეშაა დაყენებენ რეალობის ღვთაებრივი ბუნების არსებობა და ისეთი ეთნონაციონალისტური შეხედულებები, რომელთა მიხედვითაც ქართველებში გამორჩეული პატრიოტიზმი არსებობს, პაროდირებულია აპოკალიფსური და სხვა რელიგიური ნარატივები და წინ არის წამოწეული ისეთი მარგინალიზებული საკითხები, როგორცაა არატრადიციული ორიენტაცია. არატრადიციული ორიენტაცია მისაღებ და ნორმალურ ქცევადაა წარმოჩენილი. ასევე, დესაკრალიზებულია ოჯახის მნიშვნელობაც და შეცვლილია ტრადიციული

ქართველის მახასიათებლები, რომლის თანახმადაც ქართველი უნდა იყოს ტრადიციული ორიენტაციის, რელიგიით მართლმადიდებელი და ნაკლებად გამოხატული ინდივიდუალისტური ღირებულებების მატარებელი. და ბოლოს, კარნავალიზებულია და პაროდირებულია ნაციონალური სიმბოლოები (ნაციონალური სიმღერა, გერბი და დროშა). ამ ყველაფრისთვის კი გამოყენებულია სკაბრეზული ენა და ტექსტებში ხშირად გვხვდება უცენზურო სიტყვები. რაც საზოგადოების მხრიდან მძაფრად უარყოფით განწყობებს აყალიბებს.. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ტენდენციები, რომლებიც თავს იჩენს ეპატაჟურ ტექსტებში, დამახასიათებელია პოსტმოდერნული ლიტერატურისთვის. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ პოსტმოდერნული ესთეტიკა ხელს უწყობს ეპატაჟურობას. სწორედ ამ მახასიათებლების გამო ეპატაჟური ტექსტები ეწინააღმდეგება გაბატონებულ დისკურსებში მოქმედ ნორმებს, რის გამოც იწვევენ აჟიოტაჟს და სკანდალს.

ყველაფერ ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ეპატაჟური ტექსტები აღიქმება როგორც „საშიში“, „ამორალური“ და, შესაბამისად, მიუღებელი ქართული სოციალური რეალობისთვის. როგორც რეცეფციის ანალიზის შედეგად დადგინდა, კონკრეტული ტექსტები მიიჩნევიან საფრთხედ, რის გამოც მათი გარიყვა და მარგინალიზება ხდება. მათი ავტორები კი მიიჩნევიან დელიკვენტებად, რომელთა წინააღმდეგაც სოციალური კონტროლი ააქტიურებს მთელ რიგ სანქციებს, რათა დაისაჯონ მოქმედი დელიკვენტები, ხოლო პოტენციური დელიკვენტობის საფრთხე აღმოიფხვრას. დისკურსული ძალაუფლების მქონე ერთეულების მიერ დადგენილი ნორმების შეუსრულებლობა კი იწვევს სოციალური სანქციის გააქტიურებას. ძირითადი სანქციები, რომლებიც ამ პროცესში გამოიყენება, არის ეპატაჟური ტექსტების ავტორებისთვის ეროვნულობისა და იდენტობა „ქართველის“ ჩამორთმევა, „ჩვენ“-ჯგუფიდან გარიყვა, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება, მათ მიერ დაწერილი ტექსტების აკრძალვა და მათთვის იარლიყის „ეპატაჟური“ მიკერება, რომელიც, თავის მხრივ, იღებს სანქციის ფორმას.

ამრიგად, წინამდებარე კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ეპატაჟურობა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში არის სოციალური კონსტრუქცია და, შესაბამისად, ლიტერატურული ეპატაჟი არის სოციალური პროდუქტი, რომელიც შედეგია მხატვრული ტექსტებში ასახული დისკურსების სოციალურ რეალობაში არსებულ დომინანტურ ნორმებთან შეუთავსებლობისა.

## ბიბლიოგრაფია:

### მხატვრული ტექსტები:

1. ბურჭულაძე, ზაზა. 2010. *ხსნადი კაფკა*. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
2. ბულაძე, ლაშა. 2006. პირველი რუსი. კრებულში: *მესამე სართული*. თბილისი: არტე
3. დესაძე, ერეკლე. 2010. *საიდუმლო სირობა*. თბილისი : ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

### სამეცნიერო ლიტერატურა:

### ქართული სამეცნიერო წყაროები:

1. არონსონი, ელიოტ. 2014. *სოციალური ცხოველი*. რედ. ნინო ჯავახიშვილი. მთარგმნ. ქეთევან თოდაძე, ანა მაყაშვილი და ესმა ბერიკიშვილი. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. ბარქაია, მაია. 2017. პროგრესული ნეოლიბერალიზმი და ულტრამემარჯვენე პოლიტიკა: რატომ უნდა ვეძებოთ ემანსიპაციის და სამართლიანობის სხვა გზა?! *სტატიების კრებული*. რედ. ლაშა ქავთარაძე: 165-81. თბილისი: ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC).
3. ბოგიშვილი დიანა, ირინა ოსეფაშვილი, ელენე გავაშელიშვილი და ნინო გუგუშვილი. 2016. *ქართული ეროვნული იდენტობა: კონფლიქტი და ინტეგრაცია*. რედ. ავთანდილ ბესელია. თბილისი: ნეკერი

4. გამსახურდია, ვლადიმერ. 2016. *ქართველთა ეთნიკური იდენტობის ასპექტებისა და სტრუქტურის კვლევა მოდერნულ კონტექსტში*. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა
5. გაფრინდაშვილი, ნანა. 2012. *შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის თეორიული საფუძვლები*. თბილისი: მერიდიანი
6. დელფორი, მელვინ და ევერეტ დენისი. 2009. *მასობრივი კომუნიკაციის გააზრებისთვის*. რედ. ანა ჭაბაშვილი. მთარგმნ. ლელა ფიროსმანაშვილი. თბილისი: საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი.
7. თევდორაძე, ნინო. 2011. *ტექსტის ლინგვისტიკა*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
8. კალჭუნი, გრეგ, დონალდ ლაითი და სუზენ კელერი. 2008. *სოციოლოგია*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
9. მახარობლიძე, თამარ. 2015. ზე-პრეფიქსის შესახებ ქართულში. *ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითები*. მთავრ. რედ. გიორგი გოგოლაშვილი. [https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/161700/1/Qartvelur\\_Enata\\_Strukturis\\_Sakitxebi\\_2015\\_N13.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/161700/1/Qartvelur_Enata_Strukturis_Sakitxebi_2015_N13.pdf)
10. მეჭურჭლიშვილი, თამარ. 2018. *თანამედროვე ქართული ლიტერატურის ეპატაჟური გავლენა საზოგადოებაზე*. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სამაგისტრო ნაშრომი.
11. როლან ბარტი. 2015. ავტორის სიკვდილი. მთარგმნ. მალხაზ ხარბედია. *ლიტერატური თეორიის ქრესტომათია. III*: 221-229. თბილისი : GCLAPress
12. სუმბაძე, ნანა. 2012. *თაობები და ღირებულებები*. თბილისი: საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი.
13. სხირტლაძე, ნინო. 2015. *პიროვნული იდენტობის ჩამოყალიბება ქართულ კონტექსტში- რადენობრივი და თვისებრივი მიდგომა*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (დისერტაცია)

14. ტულუში, ლაშა, კობა თურმანიძე, მალხაზ გაგუა, ცისანა ხუნდაძე, გურამ ანანეიშვილი და თინათინ ზურაბიშვილი. 2019. *ანტილიბერალური პოპულიზმი და რუსული გავლენის საფრთხე საქართველოს რეგიონებში*. თბილისი: ევროპული ინიციატივა- ლიბერალური აკადემია.
15. შანიძე, აკაკი. 1980. *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
16. შარაშენიძე, ნინო. 2015. „უნდა“ მოდალური ფორმის ეპისტემიური მნიშვნელობისთვის ქართულში. *ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითები*. მთავრ. რედ. გიორგი გოგოლაშვილი.  
[https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/161700/1/Qartvelur\\_Enata\\_Struqturis\\_Sakitxebi\\_2015\\_N13.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/161700/1/Qartvelur_Enata_Struqturis_Sakitxebi_2015_N13.pdf)
17. შონია, მურად. 2013. *ზოგადი სოციოლოგიის საფუძვლები*. რედ: ვანო ჭიაურელი. თბილისი.
18. წიფურია, ბელა. 2016. *ქართული ტექსტი საბჭოთა/ პოსტსაბჭოთა/ პოსტმოდერნულ კონტექსტში*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
19. წოწკოლაური, დავით. 2011. ვაჟა-ფშაველა ეროვნული და საკაცობრიო ღირებულებების ბუნებრივი საწყისების შემფასებელი. *სამი საუნჯე*. N 2: 5-16
20. წულაძე, ლია, ფლორა ესებუა, ირაკლი კახიძე, ანა კვინტრაძე, ირინა ოსეფაშვილი და მარიამ ამაშუკელი. 2016. *ევროპეიზაციის პერფომანსი-პოლიტიკური და პოპულარული დისკურსები ევროპეიზაციის შესახებ საქართველოში*. თბილისი: ნეკერი
21. ჭელიძე, ანა. 2009. *ნაციონალისტური და რელიგიურ-ნაციონალისტური დისკურსები საქართველოში*. თბილისი.  
<https://rustaveli.org.ge/res/docs/4dd60132ab649e65d603dc45bfa841915539b8b0.pdf>  
[f 14/7/2021](https://rustaveli.org.ge/res/docs/4dd60132ab649e65d603dc45bfa841915539b8b0.pdf)

უცხოური სამეცნიერო წყაროები:

22. Adamzik, Kirsten. 2004. *Sprache: Wege zum Verstehen*. Tübingen: A Francke Verlag.
23. Becker S. Howard. 1973. *Outsiders: Studies in the Sociology of Deviance*. New York: The Free Press.
24. Becker, Howard S. 1997. *Outsiders: Studies in the Sociology of Deviance*. New York: A Division of Macmillan Publishing Co.
25. Boudon, Raymond, Francois Bourricaud. 1989. *A Critical Dictionary of Sociology*. Trans. and ed. Peter Hamilton. New York: Routledge
26. Chong, Dennis, James N. Druckman. 2007. A Theory of Framing and Opinion Formation in Competitive Elite Environments. *Journal of Communication. Annual Review of Political Science. No. 57* (December): 99-118.
27. Coleman, S. James. 1990. *Foundations of Social Theory*. Cambridge: The Belknap Press of Harvard University Press.
28. Dijk, Teun Adrianus van. 1995. Discourse Analysis as Ideology Analysis. *Language and Peace*. Eds. C. Schäffner and A. Wenden, 17-33. Aldershot: Dartmouth Publishin.
29. Dijk, Teun Adrianus van. 1998. *Ideology: A Multidisciplinary Approach*. London: SAGE
30. Dijk, Teun Adrianus van. 2001. Discourse, Ideology and Context. *Folia Linguistica* XXXV/1-2. 11-40.
31. Dijk, Teun Adrianus van. 2008. *Discourse and Power*. New York: Palgrave Macmillan
32. Dijk, Teun Adrianus van. 2010. *Discourse and Context. A Sociocognitive Approach*. New York: Cambridge University Press.



33. Donsbach, Wolfgang and Michael W. Traugott. 2008. *The SAGE Handbook of Public Opinion Research*. Eds. Wolfgang Donsbach and Michael W. Traugott. London: SAGE Publications Ltd
34. Dotter Daniel. 2015. The Process of Deviantization. In *The Handbook of Deviance*. ED. Erich Goode, 103-120. Oxford: Wiley-Blackwell
35. Druckman, James N. 2001. On the Limits of Framing Effects: Who Can Frame?. *The Journal of Politics*. No.4 (November): 1041- 1066.  
<https://www.jstor.org/stable/2691806> (01 .06.2021)
36. Durkheim, Emile. 1984. *The Division of Labour in Society*. Tr. W.D. Halls. London: MACMILLAN
37. Entman, Robert M. 2010. Media framing biases and political power: Explaining slant in news of Campaign 2008. 389-408. London: SAGE
38. Entman, Robert M. 2009. Nature, Sources, and Effects of News Framing. In *The Handbook of Journalism Studies* . ed. Karin Wahl-Jorgensen and Thomas Hanitzsch. 175-191. New York: Routledge
39. Entman, Robert M.1993. Framing: Toward Clarification of a Fractured Paradigm. *Journal of Communication. Annual Review of Political Science*. no. 43. (Autumn): 51-58
40. Erikson T. Kai. 1962. Notes on the Sociology of Deviance. *Social Problems*, Vol. 9. No 4 (Spring): 307-314
41. Fairclough, Norman. 1989. *Language and Power*. London: Longman
42. Fairclough, Norman. 1992. *Discourse and Social Change*. Cambridge: Polity Press.
43. Fairclough, Norman. 2001. The Discourse of New Labour: Critical Discourse Analysis. In *Discourse as Data. A Guide for analysis*. Eds. Margaret Wetherell, Stephanie Taylor and Simeon J. Yates. London: Sage in association with The Open University.

44. Fairclough, Norman. 2003. *Analysing Discourse: Textual analysis for social research*. London: Routledge
45. Fairclough, Norman. 2003. *Analysing Discourse. Textual analysis for social research*. London: Routledge
46. Fillmore, Charles J. 1982. Frame semantics. *Linguistics in the morning calm: Selected papers from the SICOL – 1981*. ED. The Linguistic society of Korea. 112-136. Seoul: Hanshin.
47. Fiske, Alan Page. 1992. The Four Elementary Forms of Sociality: Framework for an Unified Theory of Social Relations. *Psychological Review*. Vol. 99, No. 4 : 689-723
48. Foucault, Michel. 1977. *Die Ordnung des Diskurses*. Inauguralvorlesung am Collège de France – 2. Dezember, 1970. Frankfurt: Ullstein Buchverlage
49. Foucault, Michel. 1981. *Archäologie des Wissens*. Übersetzt von Ulrich Köppen. Frankfurt am Main: Suhrkamp
50. Goffman, Erving. 1986. *Stigma: Notes on the Management of Spoiled Identity*. London: Penguin.
51. Goode, Erich. 2015. The Sociology of Deviance. In *The Handbook of Deviance*. Ed. Erich Goode, 3-27. Oxford: Wiley-Blackwell
52. Herring, Susan C. (ed), 1996. *Computer-mediated communication: Linguistic, social and cross-cultural perspectives*. Amsterdam: John Benjamins Publishing Company.
53. Inglehart, Roland and Christian Welzel. 2005. *Modernization, Cultural Change, and Democracy. The Human Development Sequence*. Cambridge: Cambridge University Press
54. International Council on Human Rights Policy. 2010. *Modes and Patterns of Social Control: Implications for Human Rights Policy*. Geneva, Switzerland: International Council on Human Rights Policy.
55. Jäger, Siegfried and Florentine Maier. 2009. Theoretical and Methodological Aspects of Foucauldian Critical Discourse Analysis and Dispositive Analysis. In: *Methods of*

- Critical Discourse Studies*. Eds. Ruth Wodak and Michael Meyer, 34-61. London: SAGE
56. Janda, Kenneth, Jeffrey M. Berry and Jerry Goldman. 2011. *The Challenge of Democracy: American Government in Global Politics*. 11<sup>th</sup> Ed. USA: Cengage Learning
57. Janowitz, Morris. 1975. Sociological Theory and Social Control. In *American Journal of Sociology*. Vol. 81. No. 1 (Jul.): 82-108
58. Knoblauch, Hubert. 2000. Topik und Soziologie. In *Topik und Rhetorik*. Ein interdisziplinäres Symposium. Hgg. Thomas Schirren und Gert Ueding. 650-667. Tübingen: Niemeyer
59. Krippendorff, Klaus. 2004. *Content Analysis: An Introduction to Its Methodology*. 2<sup>nd</sup> edition. London: SAGE
60. Link G. Bruce and Jo C. Phelan. 2001. Conceptualizing Stigma. In *Annual Review of Sociology*. Vol. 27 (August):363-85
61. Link, Jürgen. 2006. Diskursanalyse unter besonderer Berücksichtigung von Interdiskurs unter Kollektivsymbolik. In *Handbuch Sozialwissenschaftliche Diskursanalyse: Theorien und Methoden*. Hrsg. Reiner Keller. Wiesbaden: Verlag für Sozialwissenschaften, 407-430.
62. McQuail, Denis. 2010. *Mass Communication Theory*. London \_ New Delhi: SAGE. 6<sup>th</sup> edition
63. Merton, K. Robert. 1968. *Social Theory and Social Structure*. New York: The Free Press
64. O'Brien, Laurie and Brenda Major. 2005. The Social Psychology of Stigma. In *Annual Review of Psychology*. Vol. 56 (February):393-421
65. Paltridge, Brian. 2012. *Discourse Analysis*. 2<sup>nd</sup> edition. London: BLOOMSBURY
66. Parsons, Talcott. 1991. *The Social System*. ED. Bryan S. Turner. London: Routledge

67. Reiss, Albert John. Jr. 1951. Delinquency as the Failure of Personal and Social Controls. *American Sociological Review*. 16, No2. (Apr.) <https://www.jstor.org/stable/2087693> (01/06/2021)
68. Rogers, Rebecca. 2011. *An Introduction to Critical Discourse Analysis in Education*. 2<sup>nd</sup> edition. London: Routledge. 186. Quoted in Paltridge, Brian. 2012. *Discourse Analysis*. 2<sup>nd</sup> edition. London: BLOOMSBURY
69. Ross, A. Edward. 1896. Social Control. *Journal of Sociology*. Vol.1, No 5: 513-535
70. Thomas, SanjeeV and Aparna Nair. 2011. Confronting the stigma of epilepsy. In *Annals of Indian Academy of Neurology*. Vol. 14. Iss.3 (July-September): 158-164.
71. Triandis, C. Harry. 1995. *Individualism & Collectivism*. New York: Routledge.
72. Triandis, Harry C. and Christopher McCusker. 1990. Multimethod Probes of Individualism and Collectivism. *Journal of Personality and Social Psychology*. Vol. 59. No 5 : 1006-1020.
73. Weber, Robert P. 1990. *Basic Content Analysis*. 2<sup>nd</sup> edition. London: SAGE
74. Wengeler, Martin. 2007. Möglichkeiten und Grenzen der topologischen Analyse gesellschaftlicher Debatten. In *Diskurslinguistik nach Foucault*. Hg. Ingo Warnke. 164-185. Berlin: De Gruyter.
75. White, Marilyn D. and Emily Marsh. 2006. Content Analysis: A Flexible Methodology. In *Library Trends*. No 55(1), (September): 22-45.
76. Wodak, Ruth, Michael Meyer. 2002. *Methods of Critical Discourse Analysis*. London: SAGE
77. Wodak, Ruth. 2003. Populist discourse: the rhetoric of exclusion in written genres. In *Document Design* 4 (2) : 132-148.
78. Yule, George. 1996. *Pragmatics*. 1<sup>st</sup> edition. Ed. Henry G. Widdowson. New York : Oxford University Press